პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—30 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- საერთაშორისო იმპერიალიზმი პროპაგანდას ეწევა ჩინეთში ინტერვენციის მოსახდენად.
- ვარშავის პრესა აღნიშნავს, რომ საქალაქო არჩევნების შემდეგ პოლონეთში საგრძნობლად გაიზარდა კომპარტიის ავტორიტეტი.
- იტალიაში დაატუსაღეს 40 მუშა, რომელთაც ბრალად ედება კომპარტიის წევრობა.
- სვატოუს რაიონში აჯანყებული ჩინეთის მუშები და გლეხები ებრძვიან რეაქციონერებს.
- ფინეთის მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნები.

შაბათი, 28 მაისი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 119 (1864)

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ

როგორც მოსალოდნელი იყო, თემთა პალატამ, სადაც დიდ უმრავლესობას კონსერვატორები შეადგენენ, ხმების უმეტესობით ფორმალურად დაადასტურა ბოლდუინის მთავრობის წინადადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. რა მდგომარეობა შეიქმნება ამის შემდეგ, რა მოჰყვება შუბლმაგართა ამ ავანტიურისტულ ნაბიჯს,—აი კითხვა, რომელიც ყველას აინტერესებს.

რომ ინგლისელ იმპერიალისტებს ჩვენთან დამოკიდებულების ჩაშლით სურთ ახალი ომის საშიშროება შექმნან, ამას მტკიცება არ ესაჭიროება. მხოლოდ მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად მოახერხებენ ისინი ამ განზრახვის შესრულებას! რამდენადაც საქმე ასეთ განზრახვას ეხება, მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა: კონსერვატორების მხრით სისტემატიურ ანტისაბჭოთა კამპანიას ადგილი ჰქონდა იმთავითვე; მხოლოდ ეხლა ეს კამპანია გაცილებით უფრო აშკარად იწარმოებს. ჩემბერლენების აზრით, მის წარმატებას ხელი უნდა შეუწყოს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეწყვეტის ფაქტმა. რამდენად გამართლდება ეს მოსაზრება?

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ურთიერთობის შეწყვეტა, როგორც ამას თვით ინგლისის სამრეწველო წრეებიც აღიარებენ, სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს ინგლისის ეკონომიკას, რომლის გამოცოცხლების ერთ-ერთ მთავარ წყაროს საბჭოთა ბაზარი შეადგენდა. ბოლდუინი ამაოდ ცდილობს მათი დანუგეშებას კურიოზული განცხადებით, რომ ვაჭრობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის შემდეგშიაც გაგრძელდება. თუ ერთის მხრივ ეს არის ინგლისის საქმიანი ჯგუფების უკმაყოფილების მაჩვენებელი მთავრობის ნაბიჯით, მეორე მხრივ აშკარაა, რომ აღებ-მიცემობა ამ ორ ქვეყანას შორის აწი შეუძლებელი იქნება იმ უკიდურესად მტრული პოლიტიკის პირობებში, რომელსაც კონსერვატიული მთავრობა ჩვენს მიმართ აწარმოებს. ასე რომ ინგლისის სამრეწველო წრეები, ცხადია, მადლობას ვერ ეტყვიან ბოლდუინს და იძულებული გახდებიან ეცადონ ურთიერთობის ჩაშლიდან გამომდინარე, მათთვის დამღუპველ შედეგების შენელებას.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ინგლისის მუშათა მასებში კონსერვატორების ავანტიურა სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდება. თუ ინგლისელ იმპერიალისტების ინტერვენცია საბჭოთა ქვეყანაში 1918—21 წ. დამარცხდა, ეს უეჭველია ინგლისის პროლეტარიატის სათანადო აქტივობასაც მიეწერება. მით უმეტეს, უფრო მედგრად ამოიღებს ის ხმას ეხლა საბჭოთა კავშირის დასაცავად, რამდენადაც კლასობრივი ბრძოლა ინგლისში ძალზე გამწვავებულია დღეს და ინგლისის მუშათა კლასის სოლიდარობის გრძნობა ჩვენი კავშირის მშრომელებისადმი უფრო განმტკიცებულია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ ურთიერთობის შეწყვეტა ნიშნავს უმუშევრობის ზრდას ინგლისში და საერთოდ მისი მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გაუარესებას, რასაც ის ვერ შეურიგდება.

ამნაირად, საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ თავის ავანტიურულ ზრახვების განხორციელებისათვის კონსერვატორებს ზურგი სრულებითაც არა აქვთ გამაგრებული. შეიძლება მათ იმედი აქვთ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამას არ მალავს ჩემბერლენის ორგანო „დეილი ტელეგრაფ“-ი, რომელიც ამბობს, რომ ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა ხელს შეუწყობს სხვა ქვეყნების ამხედრებას მის წინააღმდეგ და რომ ეს დააჩქარებს ერთიანი ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ფრონტის შექმნასო. ჩვენ გვახსოვს, რომ ეს გაზეთი ამასვე წინასწარმეტყველებდა ჩემბერლენის თებერვლის ცნობილ ნოტასთან დაკავშირებით. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ სულ სხვა სურათის მოწმენი გავხდით: სწორედ ამ ნოტის შემდეგ მრავალი სახელმწიფო დაგვიახლოვდა როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. ეხლაც არის ნიშნები, რომ სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები არ გაჰყვებიან ჩემბერლენს.

საქმე ის არის, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტით მათთვის იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები ინგლისის ადგილის დასაკავებლად საბჭოთა ბაზარზე, ჩვენთან აღებ-მიცემობის გასაფართოვებლად. შემდეგ, რაც მთავარია, იმპერიალისტურ სახელმწიფოების ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც დღემდე შეუძლებელს ხდიდა ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნას, ეხლაც ხომ ძალაში რჩება, და ურთიერთობის შეწყვეტას ის ოდნავადაც არ შეუსუსტებია. ამას მოწმობს ჩემბერლენ-ბრიანის შეხვედრა, რომელმაც, როგორც უკვე აღნიშნულია, ვერ გამოიღო ჩემბერლენისათვის სასურველი ნაყოფი,—საფრანგეთის მთავრობამ უარი სთქვა ინგლისთან ერთად გამოსვლაზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამასვე გვეუბნება საფრანგეთის პრესის გამოძახილი ინგლის-საბჭოთა დამოკიდებულების შეწყვეტაზე: საფრანგეთი ამ შემთხვევაში დამოუკიდებელ პოლიტიკას ინარჩუნებს, კონსერვატორების ფანტაზიებს არ აჰყვება და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეცვლა არ არის მოსალოდნელიო. საყურადღებოა აგრეთვე, რომ იტალიის ფაშისტური წრეებიც კი თავდაჭერით ხვდებიან ლონდონის ნაბიჯს. მათ ეჭვი შესდით, რომ იტალიის ხარჯზე ინგლისი რაღაც შეთანხმებას აპირებს საფრანგეთთანო. ასეთ უნდობლობის ატმოსფერაში, რომლითაც გაჟღენთილია ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობა, მეტად საეჭვოა ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა. საფრანგეთის პრესა ამას კიდეც აშკარად აღიარებს. რაც შეეხება ამერიკას, მისი სამრეწველო-საბანკო წრეები ბოლო დროს დიდ საქმიან ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი, და ეს წინააღმდეგ ინგლისის მხრით ანტისაბჭოთა კამპანიის გაძლიერებისა.

რა თქმა უნდა, ინგლისის მთავრობამ მშვიდობიანობის დარღვევის სერიოზული საფრთხე შექმნა. მაგრამ იმ ინტერესთა გადაულახავი წინააღმდეგობა იმპერიალისტურ ქვეყნებ შორის, კლასთა ბრძოლის გამწვავება კაპიტალის სამეფოში, კოლონიალურ ხალხების აჯანყება იმპერიალისტების წინააღმდეგ, ბოლოს, რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის სიძლიერე და ჩვენი მთავრობის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკა — აი ის ფაქტორები, რომლებიც უპირდაპირდებიან კონსერვატორების ომის პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები გააგრძელებენ უფრო ინტენსიურად თავის სააღმშენებლო მუშაობას და ამავე დროს მზად იქნებიან თავისი მკერდით დაიცვან განთავისუფლებული შრომის ერთად-ერთი ქვეყანა იმპერიალისტების ყოველგვარ ავანტიურებისაგან.

სამომხმარებლო კოოპერაციის მორიგი ამოცანები

სრულიად საქართველოს პროფესიონალურ კავშირების მეექვსე ყრილობამ თავის მუშაობის დღის წესრიგში ცალკე საკითხათ გამოჰყო მოხსენება კოოპერაციის შესახებ. ეს სავსებით გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აკუთვნებს კოოპერაციას ყოველთვის და მით უფრო დღეს, როცა ასეთი სიმწვავით სდგას საკითხი ფასების დაკლების და მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ.

რას წარმოადგენს ჩვენი კოოპერაცია (უმთავრესად, სამომხმარებლო კოოპერაცია), როგორია მისი უკანასკნელი დროის განვითარების გზები და საით იზრდება ის? ეს საკითხი ბუნებრივად უნდა დაისვას ჩვენს წინაშე, სანამ კოოპერაციას დავაკისრებდეთ იმ მთავარ ინსტრუმენტის როლს, რომელსაც ის უნდა წარმოადგენდეს და წარმოადგენს კიდეც მთავრობისათვის ბაზრის მოწესრიგების საქმეში. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მეტად საყურადღებო მასალებს იძლევა სამომხმარებლო კოოპერაციის ქვედა ქსელის უკანასკნელათ ჩატარებული არჩევნები.

უდაო ფაქტია ის გარემოება, რომ კოოპერაციის ეკონომიური და ფინანსიური სიძლიერე შეუჩერებლივ იზრდება. ეს გარემოება წარმოადგენს ნოყიერ ნიადაგს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციული და იდეური მუშაობის გაშლისათვის. ციფრები, რომელნიც ჩვენ მოგვეპოება სამომხმარებლო კოოპერაციის ზრდის შესახებ, ამას ყველაზე უფრო თვალსაჩინოთ მოწმობენ.

ასე მაგალითად, 1925 წლის 1 ოქტომბერს ჩვენ გვქონდა სულ 141 კოოპერატივი, რომელიც აერთიანებდა 146 ათასამდე წევრს. 1927 წლის 1 აპრილისათვის კოოპერატივების რიცხვი უმნიშვნელოდ გაიზარდა.—(ის უდრიდა 146), მაგრამ სამაგიეროთ გაცილებით მოიმატა მეპაითა რაოდენობამ, რომელთა საერთო რიცხვი 236 ათას კაცზე მეტს უდრიდა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ შეითვისა პარტიის დირექტივა კოოპერაციაში მოსახლეობის რაც შეიძლება მასიურად გაერთიანების შესახებ და ამ მხრივ მას უკვე მნიშვნელოვანი მიღწევებიც მოეპოება.

მაგრამ ამ დიდ დადებითი მუშაობის გვერდით სამომხმარებლო კოოპერაციას აქვს მთელი რიგი ნაკლულევანებათა რომელთა აღმოფხვრაც მისი მუშაობის მორიგ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. ჩვენ ვლაპარაკობთ პირველ ყოვლისა იმ მავნე, კერძო ვაჭრული სენის შესახებ, რომელმაც ჩვენს კოოპერატივის კედლებშიაც ჰპოვა აქა-იქ თავშესაფარი. ესაა გატაცება მოგების აზარტით. აპარატის მოუწესრიგებლობასთან ერთად, ხშირად ამ სენითაც აიხსნება, რომ ცალკე კოოპერატიული ერთეულები არ ემორჩილებიან ცენტრის მითითებებს საზღვრით. ზედნადები ხარჯების გატარების შესახებ და ზოგჯერ ეს ხარჯები დაწესებულ ნორმაზე ორჯერ მეტია.

ამასთან ერთად ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაცია ხშირად არ მიმართავს მოსახლეობის ეკონომიურად დაინტერესების საშუალებებს. გარდა იმისა, რომ კოოპერაციის დამახასიათებელ თვისებას უნდა შეადგენდეს იაფი ვაჭრობა, არის მთელი რიგი სხვა საშუალებებისა, რომლითაც შეიძლება მშრომელი მოსახლეობის ეკონომიურად დაინტერესება და მისი უფრო მეტად მიზიდვა კოოპერაციაში. ასეთია მაგალითად დივიდენდების დარიგება, პრემიები ნაყიდ საქონელზე და თუ საქონელი განსაზღვრული რაოდენობითაა მიღებული, მისი პირველ რიგში კოოპერატივის წევრებისათვის დარიგება.

ჩვენმა კოოპერატივებმა უკვე კარგა ხანია შემოიღეს პრაქტიკაში მოგების ხარჯზე სოფლის ღარიბ მოსახლეობის კოოპერაციაში ჩარიცხვა. ამგვარ პრაქტიკამ გამოიღო თავისი დადებითი ნაყოფი. შორაპნის მაზრის კოოპერატივებმა გადადვეს მაგალითად 13 ათას მანეთამდე, რომ ამ თანხით კოოპერაციაში შეეყვანათ 4.000 ღარიბესი გლეხი. სხვაგან კი ეს მიღწევები უფრო ნაკლებია. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის კიდევ უფრო გაფართოება. კოოპერაციის ზრდა ღარიბ გლეხთა ხარჯზე ორგანიზაციულ ზრდასთან ერთად ნიშნავს მის სოციალურად გაჯანსაღებასაც.

გარდა ამისა კოოპერაციის მნიშვნელოვან ნაკლათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ ქალთა მონაწილეობა კოოპერაციაში მეტად სუსტია. ასე მაგალითად, სიღნაღის მაზრაში კოოპერაციის რწმუნებულთა საერთო რიცხვში ქალთა რაოდენობა ერთ პროცენტსაც ვერ აღწევს. მდგომარეობა ამ მხრივ არც დანარჩენ მაზრებშია სახარბიელო. შედარებით უკეთესი სურათია ქალაქის კოოპერაციაში. თბილისში მაგალითად კოოპერატივის წევრ ქალთა რიცხვი ოც პროცენტამდე აღწევს.

ქალთა კოოპერაციაში მონაწილეობის საერთო სურათი კი ოდნავათაც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ეს მაშინ, როცა სხვა დადებით შედეგებთან ერთად, ქალის მუშაობას კოოპერაციაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით კოოპერაციის საქმიანობის გაჯანსაღებისათვის. განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ. გამოცდილებით ვიცით, რომ კოოპერაციაში ქალი ყოველთვის ღირსეულათ ასრულებს მაზე დაკისრებულ მოვალეობას. ქალთა მშრომელი მასების მიუზიდავათ კოოპერაციის ორგანიზაციული ზრდა, რაც უნდა ჩქარი ნაბიჯით მიდიოდეს ის წინ, არ იქნება სრული და ჯანსაღი.

ასეთია ზოგადად ის ნაკლულევანებანი, რომელთაც მთელ რიგ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად, ადგილი აქვს ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის ყოველდღიურ მუშაობაში. დასკვნა აქედან თავისთავად გამომდინარეობს. საჭიროა ბრძოლა ამ ნაკლულევანებათა წინააღმდეგ, რომ კოოპერტიული აღმშენებლობა მეტი წარმატებით წავიდეს წინ.

ი. გ—ე.

ინგლისის პარლამენტმა წინააღმდეგ მუშათა პარტიისა მიიღო კონსერვატორების წინადადება ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ

ინგლისის საქმიანი წრეები გმობენ მთავრობის გადაწყვეტილებას

ინგლისური „დეილი ექსპრესი“, სწერს: „არკოსზე თავდასხმის შემდეგ მთავრობას ან უნდა შეეწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ან უნდა გადამდგარიყო“.

ფრანგული „კოტიდიენ“ სწერს: „ჩემბერლენს უნდა ესმოდეს, რომ მიუხედავად ინგლის-საფრანგეთის მეგობრობისა, საფრანგეთი არ გაჰყვება კონსერვატორების ფანტაზიას“.

ფრანგული „ეკო დე-პარი“ სწერს: „როგორც ეტყობა „კონტინენტალური ბლოკი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვერ განხორციელდება“. ინგლისის კონსერვატორების საომარი პოლიტიკა მარცხდება“.

კამათი თემთა პალატაში

გულმავიწყი ხიქსი

ლონდონი, 26 მაისი. თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა **ჯონსტონმა** შეიტანა შეკითხვა: „ვინაიდან ხიქსის წინამოადგილემ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე 1921 წელს თემთა პალატაში აღიარა, რომ **სკოტლენდ იარდის სპეციალური განყოფილება მონაწილეობას იღებდა გაზეთ „პრავდა“-ს ყალბ ეკზემპლიარების დაბეჭდვაში და გავრცელებაში,** ფიქრობს თუ არა ხიქსი, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ზომების მიღება, რათა ჩხრეკას დასწრებოდა ნეიტრალური პირი“?

ხიქსმა უპასუხა, რომ ჯონსტონმა ის არ გააფრთხილა იმის შესახებ, რომ აპირებს ამ კითხვის დასმას.

„გარდა ამისა, განაცხადა ხიქსმა, მე არ მაგონდება ასეთი შემთხვევა“.

ჯონსტონმა განაცხადა: „**თუ მე ხიქსს ვაჩვენებ ასეთი ყალბი გაზეთის ეგზემპლიარს, მიიღებს თუ არა ხიქსი ზომებს. რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნეს ნეიტრალურ პირების დასწრება ჩხრეკის დროს?**

ხიქსმა უპასუხა: „შესაძლოა, რომ ჯონსტონს აქვს ყალბი დოკუმენტის ასლი, მაგრამ მე არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემმა წინამოადგილემ აღიარა, თითქოს სკოტლენდ იარდი ამზადებდა ასეთ დოკუმენტებს?

ჯონსტონი შეეკითხა: „მომავალ დებატების გამო პალატაში, თანახმა იქნება თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრი, სანამ სიტყვით გამოვიდოდეს გადაშალოს და წაიკითხოს ანგარიში მისი წინამოადგილის გამოსვლის შესახებ 1921 წლის მარტში?“.

ხიქსმა განაცხადა, რომ, თუ ჯონსტონი წარუდგენს მას ადგილს ოფიციალურ ანგარიშიდან, ის, რასაკვირველია, გადაათვალიერებს მას.

კენვორტის შეკითხვა

მუშათ პარტიის წევრმა **კენვორტიმ** ბოლდუინს თემთა პალატაში მისცა შეკითხვა, განზრახულია თუ არა რწმუნებულთან ერთად აგრეთვე კონსულების გაწვევა საბჭოთა კავშირიდან და რომელ მთავრობას დაავალებს ინგლისის მთავრობა ბრიტანეთის ინტერესების დაცვას საბჭოთა კავშირში.

ბოლდუინმა უპასუხა, რომ ლენინგრადიდან და ვლადივოსტოკიდან კონსულები გაწვეულ იქნებიან მისიებთან ერთად. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს, ის ჯერ-ჯერობით განხილვის საგანს წარმოადგენს.

შავრაზმელების პარტიული „დისციპლინა“

მუშათა პარტიის დეპუტატი **გარო ჯონსი ბოლდუინს** შეეკითხა, საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების საკითხისათვის კენჭის ყრის დროს მიეცემათ თუ არა უფლება დეპუტატებს ხმა მისცენ საკუთარ შეხედულების თანახმად, და არა პარტიული დისციპლინის მიხედვით.

ბოლდუინმა უპასუხა: „არა, არ მიეცემათ“.

გარო ჯონსი ისევ შეეკითხა: „განა უფრო მტკიცე და ავტორიტეტული არ იქნება პალატის გადაწყვეტილება, როგორც თავისუფალი კენჭის ყრის შედეგი?“.

ამაზე ბოლდუინმა უპასუხა: „მთავრობის პოლიტიკის საკითხებისათვის კენჭის ყრის დროს პარტიული დისციპლინის დაცვა აუცილებლათ საჭიროა“.

მუშათა პარტიის რეზოლუცია

მუშათა პარტიის წევრს კლაინსს შემოაქვს რეზოლუცია ინგლის-რუსეთის ურთიერთობის შესახებ. რეზოლუციას მუშათა პარტიის წევრები ტაშით ხვდებიან.

რეზოლუციის პირველ ნაწილში კლაინსი ეყრდნობა ჩემბერლენის მიერ თემთა პალატაში და ბალფურის მიერ ლორდთა პალატაში გაკეთებულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ **რუსეთთან ურთიერთობის ჩაშლა ზიანს მიაყენებს ინგლისის საშინაო ვაჭრობას და საერთაშორისო მშვიდობიანობას.**

— მთავრობამ ამბობს კლაინსი—ეხლა შესცვალა თავისი გადაწყვეტილება. რამდენადაც მე მესმის, მთავრობა სთვლის, რომ საბჭოთა კავშირი ამჟამად საბრალმდებლო სკამზე ზის. მუშათა პარტია ღებულობს ამ პოზიციას, მაგრამ მოითხოვს, რათა განაჩენი არ იქნეს გამოტანილი მანამდე, სანამ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები არ იქნება მიუდგომლათ და სავსებით გამოკვლეული. მუშათა პარტიამ ეს რეზოლუცია შემოიტანა, ვინაიდან ის დარწმუნებულია, რომ **მთავრობის მიერ წამოყენებული ბრალდებები დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო გამოძიების გზით.**

ვინაიდან **თავდასხმა თვალსაჩინო შეცდომა იყო,** ის გამართლებულ უნდა იქნეს ფართე საზოგადოების თვალში. თუ შინაგან საქმეთა მინისტრს აქვს საფუძველი იფიქროს, რომ რომელიღაც დოკუმენტი მოპარული იყო და ინახებოდა რომელიღაც პირების ხელში, მაშინ **როგორ მოხდა, რომ არც ქურდი და არც ჯაშუში არ არის დაპატიმრებული?.**

შემდეგ კლაინსი, ეყრდნობა რა არკოსის წარმომადგენლების განცხადებებს, პრესაში, რომლებსაც ის თავშეკავებულ და გონიერ პასუხად სთვლის, აცხადებს, რომ ეს პასუხი აძლიერებს მის მოთხოვნილებას გამოძიების აუცილებლობის შესახებ.

— **თუ ასე ადვილია — განაგრძობს კლაინსი—დანაშაულობის სინამდვილის დამტკიცება, რატომ არ უნდა იქნეს საქმე სათანადოთ გამოძიებული. რატომ კმაყოფილდება მთავრობა ეჭვის აღებით და ცარიელი სიტყვებით, როცა მას** საშუალება აქვს სავსებით და საფუძვლიანად დაამტკიცოს იმ პირთა დანაშაული, რომელთაც ის ბრალს სდებს? **ასეთ სერიოზულ საკითხში, რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, პრემიერ მინისტრი არ უნდა ეყრდნობოდეს საეჭვო დასკვნებს.** მას უნდა ჰქონდეს დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც დაარწმუნებენ არა მარტო პალატას, არამედ მთელ ქვეყანას. **ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ ჩვენ გავატაროთ პოლიტიკა, რომელიც ჩამოგვაშორებს უდიდეს ბაზარს 140 მილიონიანი მოსახლეობით.** მუშათა პარტია მოითხოვს საქმის გამოძიებას და დარწმუნებულია, რომ **არავითარი კარგი შედეგი არ მოჰყვება მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელიც მეტად საზიანოა ინგლისის ინტერესებისათვის“.**

ჩემბერლენის სიტყვა

კლაინსის შემდეგ გამოვიდა ჩემბერლენი, რომელსაც კონსერვატორები ოვაციით შეხვდენ.

თავის სიტყვაში ჩემბერლენმა განაცხადა:

— კლაინსმა შემოიტანა რეზოლუცია, რომელიც არ იწონებს მთავრობის გადაწყვეტილებას და მე ვწუხვარ, რომ კლაინსი გამოვიდა იმ მთავრობის დამცველად, რომლის გამართლება შეუძლებელია. კლაინსმა სერიოზული შიში გამოსთქვა იმის შესახებ, თუ როგორ გავლენას მოახდენს ჩვენი მოქმედება ჩვენს ვაჭრობაზე.

რუსეთის საგარეო ვაჭრობა არ არის ჩვეულებრივი სავაჭრო საქმიანობის გამოხატულება. ნაწილობრივ ის წარმოადგენს საჭიროების შედეგს, ხოლო ფართე გაგებით—პოლიტიკურ იარაღს. ერთი წლის წინად მე რაკოვსკიმ მელაპარაკა ვაჭრობაზე არა 10 მილიონის ფარგლებში, როგორც განაცხადა კლაინსმა, არამედ გაცილებით უფრო დიდი თანხის ფარგლებში. სად წავიდა ეს მილიონები? მილიონები გაქრა სივრცეში. დაკვეთები არ ყოფილა განაწილებული. ვაჭრობა არ არის დამოკიდებული დიპლომატიური წარმომადგენლობისაგან. შეერთებული შტატები ისეთსავე ვაჭრობას აწარმოებდენ რუსეთთან, როგორც ჩვენ, მაგრამ არასოდეს არ დათანხმებულან საბჭოთა მთავრობის დიპლომატიურ ცნობაზე ან იმაზე, რომ შეერთებულ შტატებში ყოფილიყო ისეთივე ხასიათის სავაჭრო დელეგაცია, როგორიც იყო ჩვენში. არკოსს შეუძლია განაგრძოს მუშაობა. რუსეთის წარმომადგენლებს შეუძლიათ იმუშაონ არკოსში, მაგრამ მომავალში ისინი არ ისარგებლებენ სპეციალური პრივილეგიებით.

კლაინსმა ციტატები მოიყვანა როზენგოლცის განცხადებიდან და როგორც სჩანს ის ამ განცხადებას სთვლის დამაკმაყოფილებელ პასუხად ბოლდუინის მიერ წამოყენებულ ფაქტებზე. მაგრამ ვისგან გამომდინარეობს ეს პასუხი. ამ პასუხს იძლევა კაცი, რომელიც თვითონ არღვევს საბჭოთა მთავრობის მიერ თავის სავაჭრო აგენტებისათვის შემოღებულ წესებს და საერთაშორისო ურთიერთობაში მიღებულ თავაზიანობის ჩვეულებრივ წესებს.

მუშათა პარტია მოითხოვს, რათა პალატამ აირჩიოს კომისია, რომელსაც მთავრობამ უნდა წარუდგინოს მის განკარგულებაში მყოფი ინფორმაცია. მთავრობა ამ წინადადებაზე არ დასთანხმდება. მაკდონალდმა თავის დროზე გვასწავლა ჩვენ, თუ როგორ იქნება შეფასებული ასეთი გამოძიება. მან ასეთ წინადადებას უწოდა უნდობლობის გამოცხადება. აღნიშნა რა, რომ თუ ასეთი რეზოლუცია მიღებულ იქნა, ის გადასდგამს საჭირო ნაბიჯს. მთავრობა არ დასთანხმდება უნდობლობის გამოცხადებაზე ოპოზიციის მხრით და მოსთხოვს პალატას ნდობის გამოცხადებას და მთავრობის პოზიციის დადასტურებას. თუ მთავრობა ამას ვერ მიიღებს, მთავრობას ეცოდინება რაში მდგომარეობს მისი მოვალეობა.

მთავრობის განკარგულებაში მყოფი ინფორმაცია მოწმობს, რომ მუდამ, შეუწყვეტლივ მსოფლიოს ყველა კუთხეებში, სადაც კი მოიპოება მღელვარების გამომწვევი ელემენტები, საბჭოთა მთავრობა ცდილობდა გამოეყენებია ეს ელემენტები, რათა გაეძლიერებია მღელვარება და ზიანი მიეყენებია ინგლისის ინტერესებისათვის. ჩვენ ხელთ არსებულმა ინფორმაციამ დაგვანახვა, რომ ზინოვიევის წერილი არ ყოფილა ერთად ერთი ან უკანასკნელი დოკუმენტი. ამ ინფორმაციიდან აშკარად სჩანს, თუ რა საზიზღარი როლი ითამაშა საბჭოთა დიპლომატამ და საბჭოთა აგენტებმა არეულობის მოსაწყობათ ჩინეთში. 1924 წელს საბჭოთა მთავრობამ აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა ჩინეთთან და კარახანი დანიშნულ იქნა საბჭოთა ელჩათ პეკინში. მიცემულ ინსტრუქციების თანახმად მას ხელი უნდა შეეწყო აგიტაციისა და საპროტესტო დემონსტრაციებისათვის უცხოელთა ინტერვენციის წინააღმდეგ. ოფიციალურ ბანკეტზე საბჭოთა ელჩი აქეზებდა ჩინეთის მთავრობას გაეუქმებია ჩინეთსა და უცხოეთის სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებები. რუსეთის ფულები საკმაო როლს თამაშობდენ 1925 წელს შანხაიში მოხდარ აჯანყებებში. საბჭოთა აგენტები არ დაკმაყოფილდენ მარტო შანხაით. მათ დაიწყეს მუშაობა კანტონშიაც.

კომინტერნი უგზავნიდა გომინდანს დიდძალ თანხებს სამხედრო კამპანიის საწარმოებლად ინგლის-იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. შანხაიში დემონსტრანტების პროცესის მიერ ინგლის-საფრანგეთის კონცესიებისათვის სროლის ატეხის გამოძიების შედეგებმა ცხადყვეს, რომ დემონსტრანტებს რუსები აქეზებდენ სროლისკენ და რომ ბრძანება სროლის ატეხის შესახებ გასცეს რუსებმა. რომ ამ ინტრიგებში წილი უდევს საბჭოთა მთავრობას, ეს ყველამ კარგად იცის ჩინეთში. ჩვენმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ პირობებს, რომელთაც ემყარებოდა დადებული სავაჭრო შეთანხმება, სისტემატიურად არღვევდა საბჭოთა კავშირი და რომ სავაჭრო წარმომადგენლობა იყო არა მარტო სავაჭრო მუშაობის, არამედ, უმთავრესად, პოლიტიკური პროპაგანდის და ინგლისის საწინააღმდეგო მუშაობის ცენტრი. ინფორმაციამ ცხადყო, რომ სავაჭრო წარმომადგენლობა მონაწილეობას იღებდა ამავე მუშაობაში, იყენებდა რა ბოროტად თავის დიპლომატიურ პრივილეგიებს“.

ჩემბერლენმა მოიგონა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ისტორია, შეეხო აგრეთ წოდებულ „ზინოვიევის წერილს“ და განაცხადა, რომ ამ დოკუმენტის სინამდვილე დაწვრილებით შეისწავლეს მთავრობამ და პოლიციამ, და ინფორმაცია, რომელიც ხელთ აქვს მთავრობას, სავსებით ადასტურებს ამ დოკუმენტის სინამდვილეს. გამორკვეულ იქნა ყველაფერი, როგორ წარმოიშვა ეს დოკუმენტი რუსეთში და რაგვარ მოაღწია მან ლონდონამდე.

კლაინსი (ადგილიდან) ნახეთ თქვენ ოდესმე ამ წერილის დედანი, თუ ხელთ გქონდათ მხოლოდ მისი ასლი?

ჩემბერლენი. დიდი ხანია, რაც განვაცხადეთ, რომ დედანი ჩვენ არ გვინახავს.

ჩემბერლენი განაგრძობს სიტყვას და აცხადებს:

„ყველაფერი, რასაც მთავრობა მოითხოვდა,—ეს იყო თავის შეკავება ინგლისის საკუთარ საქმეებში ჩარევისაგან, თავის შეკავება მტრულ მოქმედებისა და პროპაგანდისაგან ინგლისის ინტერესებისა და ინგლისელ მოქალაქეების წინააღმდეგ. მე არა ერთხელ სერიოზულ კილოთი გამიფრთხილებია საბჭოთა კავშირი, რომ არის საზღვარი, რომლის იქით საშიშია ინგლისის საზოგადოებრივი აზრის გადაცდენა, და რომ ასეთი სახის მოქმედების განგრძობას შეუძლია გამოიწვიოს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა.

მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, საბჭოთა მთავრობა და მისი აგენტები განაგრძობდენ მუშაობას, რაზედაც ჩვენ ვჩივით. მისი უდიდებულესობის მთავრობა ხელისუფლების სათავეში 2 ნახ წლის არსებობის განმავლობაში ეწეოდა მშვიდობიანობის პოლიტიკას მსოფლიოს ყველა ნაწილში. ყოველივე ჩვენს მისწრაფებებს მიეცილწია მშვიდობიანობას ყველა დარგში, თანამშრომლობას ერთა ლიგასთან, მონაწილეობას ლოკარნოში,—ყოველივე ამას გაურბოდა მხოლოდ ერთი სახელმწიფო. იყო მხოლოდ ერთი მთავრობა, რომელიც არა თუ განზე იდგა ამ მუშაობისაგან, რაც მიზნად ისახავდა მშვიდობიანობას და შერიგებას, არამედ ხელს უშლიდა მას,—მთავრობა, რომელიც იმდენადვე მტრულად არის განწყობილი ერთა ლიგისა და ყოველივე მისი საქმისადმი, რამდენადაც მტრულად არის განწყობილი მშვიდობიანობის მეორე დიდი ლიგის—ბრიტანეთის იმპერიის მიმართ. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც განვაგრძობდით ჩვენს ღონისძიებებს და ძალაში ვტოვებდით ურთიერთობას, რომელიც ცალიერი და უშინაარსო გახდა, ვიდრე, დაბოლოს, ჩვენი თავდაჭერა არ ამოიწურა. ჩვენ ჩვენი მოთმინება იმ ზომამდე მივიყვანეთ, რომ მისი შენარჩუნება შემდეგში იქნებოდა უკვე სისუსტე ან სიბრიყვე. მთავრობას აღარ შეუძლია იკისროს პასუხისმგებლობა ისეთ დიპლომატიურ ურთიერთობის შენარჩუნებისათვის, რომელიც არა თუ არ წარმოადგენს მშვიდობიანობის იარაღს, არამედ მხოლოდ მუდმივ ხელს უწყობს საფრთხის გაძლიერებას. მთავრობა მოითხოვს პალატისაგან მისი გადაწყვეტილების აშკარად და არა ორჭოფულად მოწონებას და მას ეჭვი არ შესდის, რომ პალატა მოიწონებს ამას“.

ჩემბერლენი როზენგოლცთან საუბრის შესახებ

ლონდონი, 26 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატის წევრი **კლაინსი** (მუშათა პარტია), ბოლდუინის გუშინდელ განცხადებასთან დაკავშირებით შეეკითხა ჩემბერლენს, შეუძლია თუ არა მას მიაწოდოს თემთა პალატას ცნობა მისი საუბრის შესახებ როზენგოლცთან, არკოსის გაჩხრეკის შემდეგ.

ჩემბერლენმა უპასუხა: „იმას, რაც აღნიშნული იყო წერილობითი პროტესტში, როზენგოლცმა სიტყვიერათ დაუმატა, რომ ეს ნაბიჯი არღვევს არა მარტო სავაჭრო შეთანხმებას, არამედ საერთაშორისო თავაზიანობის წესებსაც. მის ნოტაში მოყვანილი დეტალებს მან დაუმატა ზოგიერთი შემთხვევები, რომლებიც გამორჩა წერილობითი ნოტაში. მაგალითად, მან განაცხადა, რომ შენობაში დაკავებულ ქალებს, რომლებსაც უნდოდათ საპირფარეშოთი სარგებლობა, საპირფარეშოში მიჰყვებოდენ პოლიციელი—მამაკაცები და რომ ქალებს სჩხრეკდენ პოლიციელი—მამაკაცები.

როზენგოლცმა განაცხადა აგრეთვე, რომ ორდერი წარდგენილ იქნა ჩხრეკის დაწყების შემდეგ და რომ ჩხრეკა ზოგიერთ ოთახებში სწარმოებდა რუსეთის წარმომადგენლების დაუსწრებლათ. მან განაცხადა, რომ ასეთ პირობებში ოთახში შეიძლება აღმოჩენილ იქნეს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც იქ არ ყოფილა პოლიციის მისვლამდე.

— როცა მან ეს განაცხადა,—სთქვა ჩემბერლენმა—მე შევაჩერე ის და შევეკითხე, აქვს თუ არა როზენგოლცს მხედველობაში ის, რომ პოლიციამ დოკუმენტები თვითონ შეიტანა ოთახში?

მან მიპასუხა, რომ მას ეს არა აქვს მხედველობაში, მაგრამ რამდენადაც რუსები არ დასწრებიან ჩხრეკას, მათ არა აქვთ არავითარი გარანტია, რომ ეს ასე არ მოხდა. მე განუცხადე როზენგოლცს, რომ აქამდის არ მიმიღია ცნობა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, და ამიტომ ვერაფერს ვერ ვაცნობებ მას ინციდენტის შესახებ, სანამ არ შევეკითხები შინაგან საქმეთა მინისტრს. (ადს).

ლოიდ ჯორჯის სიტყვა

ლოიდ ჯორჯი სხვა ორატორებს დაეთანხმა იმაში, რომ საბჭოთა მთავრობამ მართლაც ვერ შეასრულა დაპირებული სიტყვა.

— „მე სწორად მიმაჩნია,—სთქვა ლოიდ-ჯორჯმა, რომ მთავრობამ უნდა გადასდგას რაიმე ნაბიჯი, **მაგრამ საკითხი იმაშია, არის თუ არა ჭკვიანური ის ნაბიჯი, რომელსაც მთავრობა სდგამს. ფრიად დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ საგარეო პოლიტიკას ჩვენში კარნახობს შინაგან საქმეთა მინისტრი და არა საგარეო საქმეთა მინისტრი.** მე გეთანხმებით, რომ მთავრობა ვალდებული იყო მიეღო ზომები „არკოსის“ გაჩხრეკის შემდეგ, მაგრამ იგი ასეთ უკიდურესობამდე მაინც არ უნდა მისულიყო.

ის, რაც მოხდა, განსაკუთრებული სერიოზული მნიშვნელობის საქმედ მიმაჩნია, იგი თითქმის ომში გვითრევს სახელმწიფოსთან, სადაც 100 მილიონი მცხოვრებია, რომელსაც უჭირავს უზარმაზარი ტერიტორია ევროპასა და აზიაში და ხვდება ჩვენს საზღვრებს მრავალ პუნქტებში.

ეს არის ერთი ყველაზე უფრო სახიფათო გადაწყვეტილებათაგანი, რომელიც კი ოდესმე გამოუტანია მთავრობას.

მექსტონის სიტყვა

მექსტონმა (მუშათა პარტია) განაცხადა,—საიდუმლო აგენტების და პროფესიონალური მატყუარების განცხადებები გამოყენებულია, როგორც იმ ქვეყანასთან კავშირის ჩაშლის გამართლებათ, რომელთანაც ჩვენ უკანასკნელ ხანებში საქმიანი ურთიერთობა გვქონდა. სავაჭრო ხელშეკრულების ძალით ჩვენც ვიკისრეთ ვალდებულება არ მიგვემართა შპიონაჟისათვის, მაგრამ სხვა რა საშუალებით, თუ არა შპიონაჟით ჩვენ მივაკვლიეთ „ზინოვიევის წერილს“?

რა საშუალებით შეაგროვა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს ინფორმაცია?.

მთელი ჩემი სიმპატიები ჩემი საბოლოო მიზნების და საბჭოთა მთავრობის ამოცანებისაკენ არის.

თუ საბჭოთა პროპაგანდის ძალა ინგლისში შესრულებულია დღევანდელი იერიშები, მე **მზადა ვარ, გავაკეთო შეძლებისდაგვარად ყველაფერი, რომ გავაძლიერო ეს პროპაგანდა.**

შემდეგ მექსტონი მოუწოდებდა რუსეთის კომუნისტებს დაეყრდნონ საერთაშორისო მუშათა კლასს და აგრეთვე მუშათა პარტიას გაუადვილონ რუსეთის საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან გაერთიანება.

არტურ პონსობის სიტყვა

არტურ პონსობი (მუშათა პარტია) აკრიტიკებს ჩემბერლენის გამოლაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამბობს, რომ როზენგოლცისადმი წაყენებული ბრალდება შეიძლება წაყენებული იქნეს ყველა სახელმწიფოთა მიმართ. საჭიროა ფაქტებს პირდაპირ შევხედოთ. სიყალბე, მატყუარობა, მოქრთამვა, ქურდობა, მოსყიდვა მუდამ იყო ყველა ქვეყნების ყველა საგარეო საქმეთა სამინისტროებში. ისეთის ბრალდებების წაყენება არ შეიძლება უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებისადმი, რომლის წამოყენებაც მათ შეუძლიათ ჩვენს მიმართ მრავალ შემთხვევაში.

პოლიციის საგანგებო განყოფილებას სურს გაამართლოს თავისი არსებობა და იგი ნახულობს ისეთს შეთქმულობას, როგორიც მთავრობასა სურს, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრის სახით ისეთ ადამიანს, რომელიც აღტაცებულია იმით, რომ შეუძლია დაეყრდნოს პოლიციას, რომელიც ამზადებს ისეთ დოკუმენტებს, რომელიც შეიძლება განხეთქილების მიზეზად მოხდეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი ამაზე უფრო მეტად ინანებს, ვიდრე სხვა რომელიმე.

ხიქსის სიტყვა

ლონდონი, 27 მაისი. სიუზანა, ლაურენსის, რობერტ-ხორნის და არტურ ჰენდერსონის სიტყვების შემდეგ გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი ხიქსი, რომელმაც „არკოსის“ გაჩხრეკის დასაცავად გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვის დასასრულ ხიქსმა კითხა კლაინს,—„რას ნიშნავს მისი განცხადება მანჩესტერში, თითქოს მთავრობა ძალიან დახელოვნდა ყალბი ქაღალდების დამზადებაში“. ასეთი რამეები შეუძლიათ განაცხადონ ფრაქციის ჩვეულებრივმა წევრებმა, მაგრამ ეს სრულიად შეუფერებელია ოპოზიციის ბელადისათვისო.

ხიქსის განცხადებამ გამოიწვია კლაინსის და ხიქსის მკაცრი შეკამათება.

კლაინსმა, რომელიც ფეხზე წამოდგა,—ადგილიდან დაიძახა,—ვფიქრობდი სწორედ იმას, რაც ვსთქვით, და ეხლა კიდევ უფრო განმტკიცდა ჩემი აზრი მას შემდეგ,—რაც ჩემბერლენმა აღიარა, რომ მთავრობის კომისიას, რომელმაც განიხილა „ზინოვიევის წერილის“ საკითხი, არასოდეს არ უნახავს წერილის დედანიო.

შემდეგ კლაინსმა განაცხადა, რომ იგი კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ წერილი ყალბი იყო, რომ ამ წერილით კონსერვატორების პარტიამ შეიძინა საარჩევნო კაპიტალი.

ამით დამთავრდა კამათი,

თემთა პალატის გადაწყვეტილება

ლონდონი, 26 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„კონსერვატორების წინადადება, რომელიც იწონებს მთავრობის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, მიღებულ იქნა 357 111 ხმის წინააღმდეგ“.

შენიშვნა: 1924 წლის არჩევნებზე კონსერვატორებმა თემთა პალატაში მიიღეს 415 ადგილი, ლიბერალებმა—43, მუშათა პარტიამ — 152 ადგილი. (ადს).

პრესის გამოძახილი

ინგლისის პრესა

ვის გაახარებს ურთიერთობის ჩაშლა

ლონდონი, 26 მაისი. „დეილი ექსპრეს“ სწერს:

„არკოსის გაჩხრეკამ მიგვიყვანა ლოღიკურ შედეგებამდე. ყოველივე სხვა დასკვნა კონსერვატორთა მთავრობის დაღუპვა იქნებოდა“.

გაზეთი დასძენს, რომ „**მხოლოდ საზოგადოების უპასუხისმგებლო ჯგუფები იქნებიან კმაყოფილი ურთიერთობის ჩაშლით. არავითარი სარგებლობის მოტანა, მას არ შეუძლია“.**

„ბოლდუინის „განმარტებები“ არ არის დამაკმაყოფილებელი“

„მანჩესტერ გარდიან“ სწერს: „რამდენათ უფრო უკვირდებით საბჭოთა მთავრობისათვის წამოყენებულ ბრალდებების ხასიათს, მით უფრო ნაკლებ სენსაციური ხდება ეს ბრალდებები, რის გამო ბოლდუინის ახსნა-განმარტებები არ არის დამაკმაყოფილებელი“.

ლონდონი, 26 მაისი. მხოლოდ „მანჩესტერ გარდიან“-მა და „დეილი გერალდ“-მა გამოაქვეყნეს მთლიანად როზენგოლცის განცხადება. სხვა გაზეთები დაკმაყოფილდენ განცხადებიდან ადგილების მოყვანით უკომენტაროთ. საუბარი ლიტვინოვთან გაზეთებში გამოქვეყნებულია კიდევ უფრო შემოკლებით, ვინემ როზენგოლცის განცხადება. ზოგიერთ გაზეთებს ის სრულებით არ დაუბეჭდიათ.

რისი იმედი აქვს ჩემბერლენს

ლონდონი, 26 მაისი. „ვესტმინისტერ გაზეტი“. უკეთებს რა კომენტარიებს პოლონეთ-ლიტვის მომავალ კონფერენციას, აღნიშნავს, რომ ინგლისის დიპლომატები თვალსაჩინო როლს თამაშობს პოლონეთის და ლიტვის შერიგების საქმეში. გაზეთის აზრით, პოლონეთ-ლიტვის დაახლოების შესაძლებლობა იყო ერთ-ერთი მოტივი, რომლის გამოც ჩემბერლენი დასთანხმდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტაზე.

„ყოვლად გამოუსადეგარი დაბრკოლება“

ლონდონი, 26 მაისი. ლიბერალური „დეილი ნიუსი“ მოწინავეში აცხადებს:

„უეჭველია, რომ ურთიერთობის შეწყვეტის მუქარა დარწმუნების კარგ საშუალებას წარმოადგენს. **მაგრამ როცა მუქარა იქცევა მომხდარ ფაქტად, იგი იქცევა ყოვლად გამოუსადეგ დაბრკოლებად“.**

„ეჭვების აღმძვრელი პოლიტიკა“

„დეილი ჰერალდი“ სწერს: „**მთელი ისტორია აშკარად წარმოადგენს იმ პოლიტიკის დამთავრებას, რომელიც პარტიულ ინტერესებზეა დამყარებული. ამიტომ ყველასათვის აშკარაა, რომ ეს პოლიტიკა უდიდესი ეჭვის ღირსია“.** (ადს).

გერმანიის პრესა

ბერლინი, 26 მაისი. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ი სწერს: „ლონდონის დიპლომატიურ წრეებში გავრცელებული გამანცვიფრებელი ხმები იმის შესახებ, თითქოს ინგლისის მთავრობას საგარეო მინისტრთან შეთანხმების მიხედვით გამოეთქვას გარკვეული იმედი, რომ არა უგვიანეს ნახევარი წლისა, გერმანიაც შეწყვეტს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, ან სულელური ჭორია, ან თავხედური წამოროშვა. გერმანიას ძალიან სასინანულოდ დაურჩება, თუ ინგლისი ეცდება გადააქციოს ევროპა ბრძოლის ასპარეზად, თვით გერმანია კი არ მიიღებს მონაწილეობას ევროპიული ქაოსის არც მომზადებასა და არც გაძლიერებაში“.

მაშინ, როცა მთელი ბურჟუაზიული პრესა ინგლისის მთავრობის საქციელს უარყოფით უყურებს, სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტსი“ სწერს:

„ბოლდუინის მიერ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, თუ რა იოლად ანაცვალა საბჭოთა კავშირმა ინგლისთან ურთიერთობას პროპაგანდა და ბურჟუაზიული წყობილების დასამხობად. გულგრილობა, რომელსაც მოსკოვი იჩენს, შეცდომაში შეიყვანს მხოლოდ კომუნისტებს, მსოფლიო რევოლუციის პროპაგანდა ამ შემთხვევაში გამოიწვია მხოლოდ მუშათა კლასის მტრების გაძლიერებამ“.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული „ხემნიცერ ფოლკს შტიმმე“ აღნიშნავს, რომ „დოკუმენტების“ გამოყენების უხეირო ცდა ბოლდუინის მთავრობას სასაცილოდ ხდისო.

კონსერვატიული მთავრობა, რომელსაც სასირცხვილოთ თავი მოეჭრა, ყველაფერს შვება, რომ თავის ავტორიტეტი დაიცვას. მშვიდობიანობა საფრთხეშია და საერთაშორისო პროლეტარიატი უნდა მოემზადოს იერიშების მოსაგერიებლად. არასოდეს ანთებული ჩირაღდანი ისე ახლო არ ყოფილა თოფის წამლის საწყობთან, როგორც დღეს. ეს ჩირაღდანი ჩაქრობილი უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობას თავს დაატყდება უდიდესი უბედურება“.

იტალიის პრესა

საბჭოთა ინგლისის ურთიერთობის ჩაშლას, ოფიციოზი „ტრიბუნა“ სწერს: ბოლდუინის განცხადება სავაჭრო ურთიერთობის დატოვების შესახებ არის მინისტრული ოპტიმიზმის ნაყოფი, რომლის დაუსაბუთებლობა გარკვევით განმარტა ლიტვინოვმა.

კონფლიქტი, როგორც სჩანს,—ჯერ-ჯერობით არ სცილდება ინგლის - საბჭოთა ფარგლებს და ამიტომ შეიძლება განხილულ იქნეს ობიექტიურად და დამშვიდებით“.

გაზეთი „სეკოლო“ სწერს: — იტალია - საბჭოთა ურთიერთობას განსაზღვრავს მიზანშეწონილობის თვალსაზრისი, რომელიც ნაკარნახევის იტალიის ინტერესების დაცვის საჭიროებით.

ეს უნდა გაიგოს ყველამ და მათ შორის, მოსკოვმაც.

მეტალურგიის ორგანო „მესაჯერო“ დიდ ყურადღებას იჩენს იტალია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერებისადმი. ბაქო-ბათომის ნავთსადენის გასაყვანად ინგლის-ამერიკელ კომპანიების მიერ სესხის მიცემისა და აგრეთვე „სტანდარტ ოილის“ მონაწილეობის შესახებ ბათომის ნავთის გადასამუშავებელ ქარხნების მოწყობაში ცნობების გამო გაზეთი აცხადებს:—ამგვარი შეთანხმება მოასწავებს თვითის მსოფლიო მონოპოლიტების განმტკიცებას ახალ საწარმოო რაიონებში იმ ერთა საზარალოდ, რომელთაც თავისი საჭიროება უნდა დააკმაყოფილონ შავი ზღვის მხრიდან მოტანილი ნავთით“. პირველ რიგში ასეთ ერთა რიცხვს ეკუთვნის იტალია, რომლის მიერ საბჭოთა ნავთის და ნახშირის შეტანის კომპენსაცია იქნებოდა იტალიის სამრეწველო ნაწარმოებთა შეძენა საბჭოთა კავშირში. (ადს)

შვეციის პრესა

ინგლისი განმარტოებული დარჩება

სტოკჰოლმი, 26 მაისი. კონსერვატიული „სტოკჰოლმ დაგბლატი“ ათავსებს რედაქტორ ესენის წერილს, რომელიც გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ ინგლისი ამ ახლო მომავალში ზეგავლენას მოახდენს სხვა სახელმწიფოებზე, რომ მათაც მიბაძონ ინგლისის მაგალითს. ესენი ეჭვობს, რომ ინგლისის ეს პოლიტიკა წარმატებით დაგვირგვინდეს. (ადს).

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

რაც მოსალოდნელი იყო მოხდა: ფინ-იუ-სიანის ჯარმა 24 მაისის დეპეშის ცნობით, დაიპყრო სტრატეგიული თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი ქალაქი ჩენ-ჯოუ, კვანძი ხანკოუ-პეკინის და ლუნხაის რკინის გზებისა. ამავე დეპეშის ცნობით, რევოლიუციონური ჯარების მეორე წყება ტან-შენ-ჩის მეთაურობით მედგრად წინ წამოუწევია და აუღია იენ-ჩოუ და უახლოვდება ფინ-იუ-სიანის ჯარების მიერ დაპყრობილ ჩენ-ჯოუს. ამ დღეებში უნდა ველოდეთ რევოლიუციონურ ჯარების ორი წყების შეერთებას.

ეხლა რიგი მიდგა კაი-ფანზე. ეს არის მთავარი ქალაქი ხე-ნანის პროვინციისა. მართალია, ჩენ-ჯოუს სტრატეგიული მნიშვნელობის მხრით კაი-ფინ-თან უპირატესობა აქვს, მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობა კაი-ფინისა მეტად თვალსაჩინოა. კაი-ფინი მდებარეობს იმავე ლუნხაის რკინის გზაზე, რომელიც შედის პროვინცია ძიან-სუს ტერიტორიაში, სადაც ამჟამად ჩან-ძო-ლინის მომხრე ჩან-ცუ-ჩანი იბრძვის ჩან-კაი-შის წინააღმდეგ.

უკანასკნელ დეპეშის ცნობით, არც აქ სწყალობს ბედი ჩრდილოელ მილიტარისტებს; ჩან-კაი-შის ჯარს სასტიკად დაუმარცხებია ჩან-ცუ-ჩანის ჯარი და უკანასკნელი იხევს სუი-ჩოუ-ფუს მიმართულებით. ეს უკანასკნელი ქალაქი მდებარეობს ძიან-სუს პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, იქ, სადაც ლუნხაის რკინის გზა სჭრის ნანკინ-პეკინის რკინის გზას და აქვე მთავრდება. რასაკვირველია, ჩან-კაი-შის ჯარების უახლოესი მიზანი სწორედ ამ სუი-ჩოუს აღება .თუ ეს მოხდა და იმავე დროს რევოლიუციონურმა ჯარებმა დაიკავეს კაი-ფინი, მეტად საინტერესო მდგომარეობა შეიქმნება, როდესაც რევოლიუციონური ჯარები ფინ-იუ-სიანის საერთო მეთაურობით და ჩან-კაი-შის ჯარები, ეს ორი მოპირდაპირენი ერთსა და იმავე ხაზზე გამოვლენ და დაახლოებით საერთო ფრონტს შექმნიან ერთსა და იმავე მოპირდაპირის წინააღმდეგ.

როგორ გაიშლება ამის შემდეგ სამხედრო ოპერაციები, რა მიმართულებით განაგრძობს მოქმედებას ფინ-იუ-სიანი პეკინისაკენ, ან და ჩან-კაი-ში, ამჟამად ძნელი გამოსაცნობია. ჯერ-ჯერობით, შექმნილ სტრატეგიულ პირობების გამო, ჩან-კაი-ში იძულებულია თავის ოპერაციებით საგრძნობი დახმარება გაუწიოს რევოლიუციონურ ჯარებს. შეიძლება თავისი სურვილის წინააღმდეგ იგი უზრუნველყოფს რევოლიუციონურ ჯარების მარჯვენა ფრთას, რომელსაც წინააღმდეგ შემთხვევაში ძიან-სუს და შანდუნის პროვინციების მხრიდან დიდი საშიშროება მოელოდა.

ასე თუ ისე, ჯერ-ჯერობით რევოლიუციონურ ჯარებს წილად დიდი გამარჯვება ხვდა, ჩენ-ჯოუს აღებით მათ დააგვირგვინეს და დაამთავრეს პეკინის მიმართულებით წარმოებული ოპერაციის პირველი ხანა, ხანა მომზადებისა და დასაწყისისა. რასაკვირველია, ამიერიდან რევოლიუციონურ ჯარების მოქმედების მთავარ მიმართულებათ დარჩება ხანკოუ-პეკინის რკინის გზა. მაგრამ იგივე ჯარი უყურადღებოთ ვერ დასტოვებს მდ. ხუან-ხეს ველს, რომელიც დაახლოვებით კაი-ფინიდან შედის შან-დუნის პროვინციაში. ჯერ-ჯერობით არ არის ცნობები ,თუ რა ზომებს ღებულობს ჩან-ძო-ლინი ჩენ-ჯოუსთან წაგებულ საქმის გამოსასწორებლად. ჩაშიჩუმი არ ისმის აგრეთვე პროვინცია შან-სის მხრიდან:

არის ცნობები ძიან-სუს პროვინციიდან სუნ-ჩუან-ფანის დატყვევების შესახებ ჩან-კაი-შის ჯარების მიერ, თუ ეს ცნობა ნამდვილია, მაშინ ძიანსუს პროვინცია მთლად გადავა ჩან-კაი-შის ხელში და აღნიშნულ პროვინციაში ჩრდილოელ მილიტარისტების წინააღმდეგობა საბოლოოდ დაძლეული იქნება. იმავე პროვინციის დაპყრობა გაუადვილებს ჩან-კაი-შის ჯარებს მოქმედებას და ჩრდილოეთისაკენ წინსვლას, რადგანაც მათი მარჯვენა ფრთა უზრუნველყოფილი იქნება. ფინ-იუ-სიანის ჯარები ბევრათ უფრო დაახლოვებული არიან პეკინს, ჩან-კაი-შის ჯარები კი კაი-ფინ-სიუ-ჯოუს ხაზს (ლუნხაის რკინის გზას, რომლის ხაზზე ფინ-იუ-სიანის ჯარები უკვე იმყოფებიან) საკმაოდ დიდი მანძილით არიან დაშორებული (250-300 კილომეტრით).

გუან-დუნის პროვინციაში (ქ. კანტონით) გლეხთა მოძრაობას პირდაპირ სტიქიური ხასიათი აქვს. სვატოუს რაიონი აჯანყებულ გლეხობის ხელშია. კანტონის ეხლანდელ რეაქციონურ მთავრობას მეამბოხეთა წინააღმდეგ 30 ათასი ჯარი გაუგზავნია, მაგრამ გლეხები მეტად სერიოზულ წინააღმდეგობას უწევენ რეგულიარულ ჯარებს. გუან-დუნის გლეხობა სამაგალითო და თავდადებულ დახმარებას უწევს უხანის მთავრობას, იცავს და უზრუნველყოფს სამხრეთის მხრით მის ზურგს.

ამ მოკლე ხანში დიდი ამბებია მოსალოდნელი ლუნხაის რკინის გზის ხაზით. თუ აქ ვერ შესძლეს ჩრდილოელ მილიტარისტებმა რევოლიუციონურ ჯარების წინსვლის შეჩერება, შეიძლება პეკინამდე ველარას გახდნენ. ჩენ-ჯოუ-პეკინის გზის გაყოლებაზე, თითქმის არ მოიპოვება ისეთი ხელსაყრელი პოზიციები, სადაც შეიძლებოდეს მედგარი თავდაცვის მოწყობა, თუ კი დასავლეთით მდებარე პროვინცია შანსის მფლობელი კვლავ ნეიტრალიტეტს დაიცავს. და თუ პირიქით, ეს უკანასკნელი ჭკუას იხმარს და გადმოვა ფინ-იუ-სიანის ჯარების მხარეს, მაშინ პეკინის საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვლება.

ი. გედევანიშვილი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესის გამოძახილი

ავსტრიის პრესა

ვენა, 26 მაისი. ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ავსტრიაში. ყველა გაზეთები ბოლდუინის განცხადებას უძღვნიან სპეციალურ მოწინავე წერილებს. საერთოდ პრესა აღნიშნავს, რომ მსოფლიო ომის საფრთხე საგრძნობლად მოახლოვდა.

სოციალ-დემოკრატიული „არბეიტერ ცეიტუნგი“ სწერს:

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისისადმი ყოველ მეგობრულად განწყობილი ქვეყნის საელჩოში გაცილებით მეტი რაოდენობით არის ისეთი მასალა, რომელიც ნახულ იქნა არკოსის გაჩხრეკის დროს. ინგლისის პროლეტარიატი კატეგორიულად დაჰგმობს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გარდა, გამოიწვევს უმუშევრობის ზრდას და სამუშაო ხელფასის შემცირებას. ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ინგლისს მიბაძოს ეხლა რომელიმე სახელმწიფომ. უფრო მოსალოდნელი. პირიქით, რომ ინგლისის მიერ დაკარგულ ბაზრებს სხვა ქვეყნები დაეუფლებიან. მაგრამ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა ხელს შეუწყობს ანტი-რუსული ბლოკის შექმნას. ყველა ქვეყნების პროლეტარიატმა აუცილებლად უნდა უყუროს შექმნილ მდგომარეობას. მისი ამოცანაა—დაიცვას რევოლიუციონური რუსეთი კონტრრევოლიუციონური პოლიტიკისაგან, ინტერვენციისაგან, როგორი ფორმითაც არ უნდა მოხდეს ეს. პროლეტარიატმა უნდა გამოაშკარავოს კაპიტალისტური მთავრობების ვერაგობა, რომელნიც ერთის მხრით, ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ იწვევენ კონფერენციას, რომელმაც უნდა მოსპოს საერთაშორისო პოლიტიკური კრიზისის მიზეზები, და მეორეს მხრით, საერთაშორისო ურთიერთობიდან დევნიან ევროპის უდიდეს სახელმწიფოს. (ადს).

საფრანგეთის პრესა

საფრანგეთი ინგლისს არ გაჰყვება

პარიზი, 26 მაისი. მემარცხენე ბლოკის ორგანო „კოტიდიენი“ სწერს: „ბოლდუინის არგუმენტები არ ავალებს საფრანგეთს გაადევნოს რუსეთის დიპლომატები. ჩემბერლენისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ გულითადი თანხმობა საფრანგეთსა და ინგლისს შორის არა საკმაო იმისათვის, რომ საფრანგეთი გაჰყვეს ინგლისის კონსერვატორების ფანტაზიას, რომელსაც ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრიც კი მწუხარებით ემორჩილება“.

მემარჯვენე პრესა ილაშქრებს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გაგრძელების წინააღმდეგ. (ადს).

პარიზი, 26 მაისი. პერტინაქსი „ეკო დე პარი“-ში სწერს: „კონტინენტალური ბლოკი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ალბად ვერ განხორციელდება. იუწყებიან, რომ პუანკარემ ჩიჩერინს მოსთხოვა საფრანგეთის ფინანსიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ბრიანი კი არწმუნებდა მას, რომ დაუშვებელია საფრანგეთის შინაურ საქმეებში ჩარევა. მაგრამ ჩიჩერინს და რაკოვსკის შეეძლოთ მიმხვდარიყვენ, რომ საფრანგეთი მზად არის განაახლოს მოლაპარაკება. საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში არაფერი არ შეცვლილა“ (ადს).

იაპონიის პრესა

ტოკიო, 26 მაისი. ლიბერალური „ოსაკა მაინიჩი“, რომელიც კომენტარიებს უკეთებს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტას,—სწერს:

— მოსალოდნელია, რომ რუსები გადასდგამენ ახალ ნაბიჯს ჩინეთში,—გამოიყენებენ რა იმ დიდ გავლენას, რომელიც მათ აქვთ ჩინეთის მოსახლეობის ფართო მშრომელთა მასსებში. ინგლისელები არ დააყოვნებენ მიიღონ კონტრ ღონისძიებები. ჩვენ გვმართებს განზე გავუდგეთ ამ კონფლიქტს, მაგრამ ამავე დროს თვალყური ვადევნოთ არ დაიჩაგროს ჩვენი ეროვნული ინტერესები“.

უნგრეთის პრესა

ვენა, 26 მაისი. უნგრეთის ბურჟუაზიული გაზეთების კომენტარიებს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეწყვეტის გამო, საბჭოთა კავშირის მიმართ აქვთ მეტად მტრული ხასიათი. ინგლისის მოქმედებას გაზეთები სთვლიან მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად და მიესალმებიან მას. ეს არის პირველი სერიოზული ნაბიჯი ანტი-საბჭოთა ბლოკის შესაქმნელად—ბოლშევიზმის განსამარტოვებლად და გასანადგურებლად. მემარჯვენე გაზეთები აღნიშნავენ, რომ უნგრეთს ადვილად შეუძლია შეუერთდეს ასეთ ბლოკს იმდენად, რამდენადაც მას აქვს გამოცდილება ბოლშევიზმთან ბრძოლაში, რამდენადაც მას არასოდეს არ დაუჭერია მხარი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისათვის (ადს).

ჩეხოსლოვაკიის პრესა

ბოლდუინი სახელმწიფო ინტერესებს აბუჩად იგდებს

პრაღა, 26 მაისი. „პრაგერ ტაგებლატი“ (ლიბერალური ბურჟუაზიის ორგანო) სწერს: „ისეთი დიდ პოლიტიკური მოღვაწისაგან, როგორც ბოლდუინია, ძნელი მოსალოდნელი იყო, რომ იგი ასე ზერელედ მოეპყრობოდა სახელმწიფო ინტერესებს. ბოლდუინმა პარლამენტში განაცხადა, რომ ურთიერთობის შეწყვეტას საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს. ეს ჩრდილს ჰფენს მისი მტკიცების სიმართლეს, ვინაიდან მხოლოდ ინგლისელ სპეკულიანტების ორგანო ეწევა აგიტაციას ურთიერთობის შეწყვეტისათვის. საზოგადოებრივი აზრის ნამდვილ განწყობილებას მოწმობს ის, რომ მუშათა პარტიის ხმების რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება“. (ადს).

ამერიკის პრესა

რეაქციონერების ნაადრევი ზეიმი

ნიუ-იორკი, 26 მაისი. პრესა აქვეყნებს დაწვრილებით ცნობებს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. რეაქციონური პრესა აღფრთოვანებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის უარყოფის პოლიტიკამ, რომელსაც ატარებდენ შეერთებული შტატები, გაიმარჯვა.

„ვაშინგტონ პოსტი“ სწერს, რომ ურთიერთობის შეწყვეტა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არის ერთ-ერთი მეტად ხელსაყრელი მოვლენა უკანასკნელ თვეებში. (ადს).

საქმიან წრეების აზრი

ლონდონი, 27 მაისი. „მანჩესტერ გარდიენ“ ბეჭდავს ინტერვიუს საზოგადოება „ცენტროსოიუზ-ლიმიტედ“-ის დირექტორ უაიზთან, რომელმაც განაცხადა:

„ბოლდუინის განცხადების შედეგათ, ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობა იმდენად გაძნელდება, რომ თითქმის შეუძლებელი გახდება მათი გაგრძელება. ეს განსაკუთრებით შეეხება ინგლისის საქონლის შესყიდვას.

შემდეგ უაიზმა აღნიშნა, რომ ყველა დოკუმენტები, რომლებიდგანაც ბოლდუინს მოჰყავდა ციტატები, „ან ნაყიდია, ან ცრუპარულია ინგლისის საიდუმლო პოლიციის მიერ. როგორც სჩანს ჩვენი ჯაშუშები აწარმოებენ იმავე მუშაობას, რომელშიაც ბოლდუინი ბრალს სდებს რუსებს“.

დასასრულ უაიზმა აღნიშნა, რომ „ინგლისის მთავრობამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ინგლისის ვაჭრობის იმ დარგს, რომელიც თანდათან მეტ მნიშვნელობას ღებულობდა. კონსერვატიული პარტიის დეპუტატებს გაუჭირდებათ მანქანების საამშენებლო მნიშვნელობის პატრონებისათვის და უმუშევარ მუშებისათვის პასუხის გაცემა, ვინაიდან ისინი ხიკსის უგნურებას უპირატესობას ანიჭებენ ინგლისის მრეწველობის ინტერესების წინაშე“.

იტალიის პოზიცია

რომი, 26 მაისი. რომის ავტორიტეტულ წრეებში ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტისა და ამასთან დაკავშირებით იტალიის პოზიციის შესახებ აღნიშნავს, რომ ერთის მხრით მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ინგლის-იტალიის თანამშრომლობის განმტკიცება უკანასკნელ თვეებში და მეორეს მხრით ის გარემოება, რომ მთავრობასთან ახლო მდგომი გავლენიანი ეკონომიური წრეებისათვის არ არის საკმაოდ პოპულიარული ყოველი ისეთი ნაბიჯი, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს იტალია-საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას. ხაზ გასმით აღნიშნავენ, რომ იტალიის ვაჭარ-მრეწველთა წრეების ინტერესები საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის განვითარების დარგში იზრდება მრეწველობის კრიზისის გამწვავებასთან ერთად.

ფაშისტური პრესის დუმილს იტალიის პოზიციის შესახებ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის გამო, პოლიტიკური წრეები ხსნიან იმით, რომ მთავრობამ წინასწარ უნდა გამოარკვიოს ისეთი საკითხები, როგორც მაგალითად, ბრიანის ჩემბერლენთან გალაპარაკების შინაარსი, რომელმაც იტალიის იზოლიაციის ერთგვარი შიში გამოიწვია რომში.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის რწმუნებული ემზადება წასასვლელათ

მოსკოვი, 27 მაისი. 27 მაისს ლიტვინოვი ინახულა ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა პიტერსმა და განუცხადა, რომ მას აქვს მისი მთავრობის განკარგულება მისიის გაწვევის შესახებ. პიტერსმა თხოვა, რომ მას და მის თანამშრომლებს გაუადვილონ მგზავრობა. (ადს).

მისიის გამგზავრების წინ

ლონდონი, 27 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „გადმოგვცემენ, რომ ნოტის ჩაბარების მომენტიდან, საბჭოთა მისიას მიეცემა ვადა 7-დან 10 დღემდე ინგლისიდან გასამგზავრებლად. ინგლისის წარმომადგენლები რუსეთში გამოწვეული იქნებიან დაახლოებით ამავე დროს. (ადს).

ინგლისის მთავრობის მორალური დამარცხება.

ბერლინი, 27 მაისი. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი აღნიშნავს, რომ თემთა პალატაში გამართულმა კამათმა გამოიწვია მთავრობის მძიმე მორალური დამარცხებაო. ჩემბერლენის შეშფოთებულმა სიტყვამ, რომელიც მოკლებული იყო ფაქტიურ შინაარს და აგრეთვე ლოიდ-ჯორჯის ბრწყინვალე სიტყვამ უკიდურესობამდე გაამწვავეს მთავრობის, ისედაც მძიმე მდგომარეობაო. მართალია, მთავრობას პალატაში ჰყავს, უმრავლესობა, მაგრამ მორალურად იგი საბოლოოდ გაკოტრდაო.

1927 წელი—1917 წელი არაა

ლონდონი, 27 მაისი. მრავალი გაზეთები დღეს აქვეყნებენ შემდეგ ამონაწერებს ლიტვინოვის განცხადებიდან: ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეთი“ სწერს: „საბჭოების წინააღმდეგ ახალი გამოწვევა გვაგონებს, შეიარაღებულ ძალით გადატრიალების მოხდენის ცდას 1917 წელში რომელიც ძვირად დაგვიჯდა. ლიტვინოვმა, გამოცდილი ვექილის ხელოვნებით, ხელი ჩასჭიდა ამ პუნქტს და უნდა ვიფიქროთ, რომ ის არ დაივიწყებს ამას ევროპას და მთელ მსოფლიოს. იმ დროს, როცა შუბლმაგარნი სიხარულს მისცემიან, არის იმის ნიშნები, რომ ზოგიერთ პასუხისმგებელ კონსერვატიულ წრეებში თავი იჩინა უკმაყოფილებამ. ამის შესახებ „ტაიმსი“ სწერს: არავითარი დამოკიდებულება არც ერთ ქვეყანასთან არ შეიძლება აგებულ იქნეს მხოლოდ შთაბეჭდილებაზე. ეს სტადია საბჭოთა კავშირთან გათავდა და ჩვენ უახლოეს ამოცანას წარმოადგენს, ჩვენი რუსეთის პოლიტიკის უფრო საღ ნიადაგზე წარმოება“ (ადს).

როგორ უპასუხებენ საბჭ. კავშ. მუშები ურთიერთობის ჩაშლაზე

მოსკოვი, 27 მაისი. ყოველ კუთხიდან იტყობინებიან მრავალრიცხოვან მიტინგების შესახებ, რომელიც იმართება ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლის გამო. სარატოვში გამართულ მიტინგზე გამოტანილ რეზოლიუციაში სხვათაშორის ნათქვამია: ჩვენ-მშვიდობიანობის მომხრენი ვართ, მაგრამ თავდაცვისათვის ყოველთვის მზად ვართ“. ნიჟნი ნოვგოროდში მუშებმა დაადგინეს ყოველთვიურად გადარიცხონ ერთი პროცენტი საჰაერო ფლოტის ფონდში.

სიმფეროპოლის რკინისგზელებმა ფული შეაგროვეს საჰაერო ესკადრილიის „24 მაისი 1927 წელი“-ს შესაქმნელად, დღე როდესაც ბოლდუინმა განაცხადა ურთიერთობის ჩაშლის შესახებ (ადს).

გაზეთი აკრიტიკებს მუშათა პარტიას

ლონდონი, 27 მაისი. „დეილი მეილ“, „მორნინგ პოსტ“ და „დეილი ტელეგრაფი“ მკაცრად აკრიტიკებენ მუშათა პარტიის პარლამენტარული ფრაქციის და დეპუტატების რეზოლიუციებს. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს:

„მუშათა პარტიის პარლამენტარული ფრაქციის ყოველგვარი შეჭრა საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის მარცხდებოდა და გუშინდელი დღე არ იყო გამონაკლისი საერთო წესიდან“. (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება.

პარიზი, 27 მაისი. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, სადაც იგი მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს ებრძოლონ ეროვნული გაერთიანების მთავრობას და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მის მოქმედებებს. შემდეგ კომპარტია მოუწოდებს მუშებს ხელი შეუშალონ ომის სამზადისს, ებრძოლონ სამხედრო კანონებს, მორალურად და მატერიალურად მხარი დაუჭირონ პარტიას და მონაწილეობა მიიღონ 29 მაისის დემონსტრაციაში.

სამხრეთ-აფრიკის კავშირი

ლონდონი, 27 მაისი. რეიტერის სააგენტო კაპშტატიდან იუწყება: „სამხრეთ-აფრიკის კავშირის დეპუტატთა პალატის დღევანდელ სხდომაზე, კავშირის პრემიერმა ჰერცოგმა განაცხადა, რომ სამხრეთ-აფრიკის კავშირის მთავრობა სავსებით იყო გაცნობილი იმ ამბებს, რომლებმაც მიიყვანეს ინგლის-საბჭოთა კავშირი ურთიერთობის დარღვევამდე. ჰერცოგმა განაცხადა, რომ სამხრეთ-აფრიკის კავშირის მთავრობა არავითარ ზომებს არ მიიღებს ამ საკითხის გამო (ადს).

ავსტრიის საზოგადოებრივი აზრი

ვენა, 26 მაისი. ინგლის-საბჭოთა კავშირის განხეთქილების შესახებ „ვინერ ალგემეინე ცეიტუნგ“-ი სწერს:

ავსტრიას სხვა არა დარჩენია რა რომ ისარგებლოს ხელსაყრელი კონიუნქტურით. ჩვენ ვიქნებით უკანასკნელი იმათგან, რომელნიც მოისურვებენ მონაწილეობა მიიღონ რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებაში. რუსეთის დასჯას ჩვენ ვანდობთ ღმერთს და ინგლისს, ჩვენ კი გვსურს რუსეთს მივყიდოთ ჩვენი საქონელი.

თუ დღევანდელი გაზეთების მიხედვით ვიმსგლისის მოქმედებას სერთოდ უარყოფით ხვდება. სამრეწველო წრეები ოპტიმისტურად არიან განწყობილი და ფიქრობენ, რომ ნაწილი შეკვეთებისა, რომელიც ინგლისში იყო გაცემული, გადაეცემა ავსტრიას.

მშრომელთა ხმა

მოსკოვი, 27 მაისი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები, რომ ხდება დიდი მიტინგები ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო. მშრომელნი იწონებენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას და აღშფოთებული არიან ინგლისის მთავრობის საქციელით. მიტინგები ხდება აგრეთვე სოფლებში. (ადს).

კანადამ გადასწყვიტა დაარღვიოს შეთანხმება

საბჭოთა კავშირთან

ოტტავა, 26 მაისი. მთავრობის სპეციალურად მოწვეულ სხდომის დასასრულს პრემიერმა მაკენზი კინგმა განაცხადა, რომ კანადის მთავრობამ გადასწყვიტა ჩაშალოს შეთანხმება საბჭოთა კავშირთან.

კინგმა აღნიშნა, რომ კანადა მოქმედობს დამოუკიდებლად საკუთარი ინფორმაციის მიხედვით.

— ჩვენ,—განაცხადა კინგმა, არ გვაქვს საბუთები რუსების მხრით კანადაში წარმოებულ ჯაშუშობის დასამტკიცებლად. ურთიერთობის შეწყვეტის მიზანი უფრო საერთო ხასიათის არისო.

დასასრულ კინგმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან ოფიციალური ურთიერთობის ჩაშლა არ ნიშნავს საბჭოთა-კანადის შორის ვაჭრობის შეწყვეტასო.

პოლონეთი არჩევნების შემდეგ

პრესა კომუნისტების გავლენის ზრდის შესახებ.

ვარშავა, 26 მაისი. ბარტელის ორგანო „ეპოქა“ სწერს:

„ვარშავის არჩევნების შედეგი იყო ერთგვარი სენსაცია, რომელიც მეტად სამწუხარო განწყობილებას იწვევს. კომუნიზმი სახელმწიფოს დედაქალაქში გაიზარდა დიდ ძალად, როგორც რაოდენობით, ისე მორალური მხრით. მთელი ხმების თითქმის 17 პროცენტი მიიღეს კომუნისტურმა ხმებმა, და ეს ნიშნავს იმას, რომ დედაქალაქის ყოველი მეექვსე სრულწლოვანი მოქალაქე არის კომუნისტი. ეს ფაქტი დამაფიქრებელია. შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ეს აუარებელი ხალხი, რომელმაც საიდუმლო კენჭის ყრის დროს ხმა მისცა გაუქმებულ სიას, მოსყიდული იყო. შეუძლებელია მასიური გავლენის ხელოვნურად, ფულით გამოწვევა. იგი არის მასიური ფსიქიკის, ღრმა რწმენის და იდეური შეგნების შედეგი. ამიტომ არის იგი განსაკუთრებით საშიში“ (ადს).

იმპერიალისტები ჩინეთში

მილიონი დოლარი.

ნიუ-იორკი, 26 მაისი. „უორლდ“-ის შანხაელი კორესპონდენტი იუწყება: „თუმცა უცხოელმა მწარმოებლებმა ჩინეთში ვერ განახორციელეს ინტერვენცია, მაგრამ ეს იდეა მათ მაინც არ მიუტოვებიათ. მწარმოებელთა კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ინტერვენციის პროპაგანდისათვის ერთი მილიონი დოლარის გადადების შესახებ“ (ადს)

ხანკოუს გასამაგრებლად

შანხაი, 26 მაისი. შანხაიდან ხანკოუში გაგზავნილია კიდევ ორი იაპონური გამანადგურებელი, 150 ქვეითი რაზმი და 6 საველე ზარბაზანი. ამ ნაწილების გაგზავნა გამოწვეულია სერიოზული მდგომარეობით.

იაპონელების ევაკუაცია

შანხაი, 26 მაისი. „ტოხო“-ს სააგენტო იუწყება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გასცა განკარგულება ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში შექმნილი სერიოზული მდგომარეობის გამო დაიწყო მზადება კალგანიდან, ჩიფინიდან და კაიფინიდან იაპონელ ქვეშევრდომთა საევაკუაციოდ (ადს).

გლეხების აჯანყება.

კანტონი, 26 მაისი. გუანდუნის პროვინციაში გრძელდება მუშათა და გლეხთა სტიქიური აჯანყება. აჯანყებულებთან საბრძოლველად გაიგზავნა 30.000 ჯარისკაცი. მთელი რაიონი სვატოუს მახლობლად აჯანყებულების ხელშია. აჯანყებულები სერიოზულ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ჯარებს (ადს).

ჩჟან-ძო-ლინის მოციქული

შანხაი, 26 მაისი. გავრცელებული ხმების მიხედვით, ინგლისის ელჩი ჩავიდა შანხაიში ჩჟან-ძო-ლინის დავალებით, რომ მოელაპარაკოს ჩან-კაი-შის ზავის, შეკვრის შესახებ ჩრდილოეთ ნანკინს შორის (ადს).

გემი „ლენინის ხსოვნის“ საკამანდო შემადგენლობა

შანხაი, 26 მაისი. „სოვტორგფლოტ“-ის შანხაის განყოფილებამ მიიღო დეპეშა, რომ ცინდაოში ჩასული გემი „ლენინის ხსოვნა“-ს საკომანდო შემადგენლობის ნაწილი, რომელიც შეიპყრეს ჩრდილოელებმა. მათ შორის არიან 11 ჩინელი და 32 რუსი. კომანდის დანარჩენი ნაწილის ბედი გამოურკვეველია.

სიტყვა მუშათა კლასს ეკუთვნის

დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის,—ეს არის, ერთის მხრივ, ჩვენდამი მომართულ თავხედურ მუქარის, პროვოკაციის და მტრული გამოსვლების მთელი ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი, მეორეს მხრივ,—ეს არის გამოსავალი პუნქტი შუბლმაგართა ხროვის შემდგომი ბრძოლისა და იერიშებისათვის საბჭოთა სახელმწიფოს და საერთაშორისო მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ხიკსის შერლოკ ხოლმსისებური „საგმირო საქმენი“ ძალიან სულელურად გამოიყურებიან, და კაბინეტმა, რომელიც იძულებული იყო ეს დაეფარა, სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდო თავისი თავი. მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელ საგარეო პირობების შექმნას ურთიერთობის ჩაშლისათვის.

მისი მიზანი—შექმნილი მდგომარეობის შემდგომი გამოყენების საშუალებები, — აი რაზე უნდა იყოს მიჯაჭვული საერთაშორისო პროლეტარიატის ყურადღება.

მაშინ, როცა ობივატელურ წრეებიდან ქვეყნდება ყოველგვარი „თეთრი წიგნები“ და ითხზება სისხლის სამართლის—დეტექტიური რომანები ფოტოკამერებში, ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი „დეილი ტელეგრაფ“-ი ამხელს ინგლისის პოლიტიკის ნამდვილ მამოძრავებელ მოტივებს, რამაც გამოიწვია ურთიერთობის ჩაშლა. თურმე, „ამ ნაბიჯით ინგლისი სასიკვდილო ლახვარს სცემს საბჭოთა კავშირის პრესტიჟს ახლო, შუა და შორეულ აღმოსავლეთში. ჩინეთში, სპარსეთში, ავღანისტანში და ოსმალეთში ამ ნაბიჯის შედეგებს მალე დავინახავთ“.

ეს არის ნათქვამი პირდაპირ და საკმაოდ გულახდილად. მაგრამ ამით არ განისაზღვრება „დეილი ტელეგრაფ“-ის მოსაზრებები.

„მეორეს მხრივ, განაპირა სახელმწიფოებს, დაწყებული ფინეთიდან და გათავებული რუმინეთით, გამხნევებს სიმტკიცე, რომელიც ლონდონმა გამოიჩინა. ისეთ დედაქალაქებში, როგორიცაა ბელგრადი და პრაღა, უკვე ველარ გაიგონებთ ლაპარაკს საბჭოთა მთავრობის ცნობის განზრახვის შესახებ“.

დაბოლოს, — ლაპარაკობს იგივე გაზეთი: „ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლა უფრო საღ ხასიათს მისცემს ერთა ლიგის ღონისძიებებს, როცა მასში ველარ გავიგონებთ ხმას ბოლშევიკებთან თანამშრომლობის შესახებ“.

ეს მსჯელობა ნათელს ჰფენს მოქმედებათა მთელს პროგრამას, რაც, რასაკვირველია, მოფიქრებული იყო და სრულდებოდა დიდი ხნით ადრე ურთიერთობის ჩაშლამდე. ეს პროგრამა ამხელს ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას, როგორც ევროპის მშვიდობიანობის ყველაზე საშიშ მტერს, როგორც ძალას, რომელიც სტიმულს აძლევს ახალ სისხლისმღვრელ კონფლიქტებს და პროვოკაციის გზით ცდილობს ამ კონფლიქტების გამოწვევას.

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლა — ეს არის ინგლის-საბჭოთა კავშირის ბრძოლის მოფიქრებული გეგმის ნაწილი; ამ ბრძოლაში ინგლისი ცდილობს ჩააბას დანარჩენი სახელმწიფოები. აი კონსერვატორების მიერ გადადგმულ ნაბიჯის ერთად-ერთი და სწორი ახსნა.

ასეთსავე ვერსიას აყენებს სხვა მოსაზრებათა შორის თვით ბურჟუაზიული ლიბერალური პრესაც („მანჩესტერ გარდიენ“), თუმცა, რასაკვირველია, ის ფიქრობს, რომ კონსერვატორების საქციელის ასეთი ახსნა „საშინელი იქნებოდა“.

„საშინელია“ თუ არა ასეთი ახსნა, ამის გამორკვევა ბატონ ლიბერალებს მივანდოთ. მაგრამ ეს რომ ერთად-ერთი სწორი ახსნაა, ამას ღაღადებს „დეილი ტელეგრაფ“-ის წერილიდან ზემოთ მოყვანილი ამონაწერები.

მით უფრო განსაცვიფრებელია, სხვანაირად რომ არ ვსთქვათ, მუშათა პარტიის ბელადების საქციელი.

რას ლაპარაკობენ ისინი თავის დეკლარაციაში?

ისინი, რასაკვირველია, ჰკიცხავენ ურთიერთობის გაწყვეტას და აღიარებენ, რომ „ამას მოჰყვება სერიოზული საერთაშორისო შედეგები და შეაფერხებს ვაჭრობისა და მრეწველობის აღდგენასო“, მაგრამ იმის მაგიერ, რომ გაჰკიცხონ ეს ნაბიჯი, როგორც ამ სისტემის ნაწილი და დაუკავშირონ ის კონსერვატიული კაბინეტის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საერთო რეაქციონურ ხასიათს, იმის მაგიერ, რომ ინგლისის მუშათა კლასის ყურადღება მიაპყრონ ახალ საერთაშორისო კონფლიქტების იმ უეჭველ საფრთხისაკენ, რომელსაც შეიცავს კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკა, საერთოდ აღებული, — დეკლარაციის ავტორები უმთავრესად ემყარებიან იმას, რომ ურთიერთობის ჩაშლამდე საჭირო იყო „იმ სპეციალური საპარლამენტო კომისიის ანგარიშის მოსმენა, რომელიც დაარსებულ იქნა ყველა ფაქტების და დოკუმენტების შესასწავლად“.

პოლიტიკურ და პრინციპიალურ მიდგომას საკითხისადმი, ამ საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით დაყენებას სცვლის ობივატელური სინანული იმის გამო, რომ კონსერვატიულმა კაბინეტმა ბატონ პარლამენტარებს არ არგუნა ბედნიერება მოესმინათ საკუთარი საპარლამენტო კომისიის ანგარიში.

ეს დეკლარაცია ზედმეტჯერ ამტკიცებს, რომ მუშათა პარტიის ბელადებს ყველაზე მეტად ქვეყანაზე ეშინიათ იმისი, რომ მათ არ დასწამონ „თანაგრძნობა კომუნიზმისადმი და არალოიალური დამოკიდებულება ბურჟუაზიისადმი. გერმანელ სოციალ-დემოკრატიულ ბელადების მოღალატურ პოზიციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურმა ორგანომ დღემდე დრო და შემთხვევა ვერ ნახა, რომ გამოხმაურებოდა ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფლიქტს.

ვენის მუშათა გაზეთი, ოტტო ბაუერის ორგანო, თუმცა ექომაგება საბჭოთა კავშირს და ჩინეთის რევოლიუციას, მაგრამ, იმის მაგიერ, რომ გაჰკიცხოს თუნდაც იმავე „ფორვერტს“-ის საკვირველი დუმილი და მეორე ინტერნაციონალის დანარჩენ პარტიების ორპირული პოზიცია ამ საკითხში, სასტიკად უსაყვედურებს კომუნისტებს, რომლებიც, თურმე ნუ იტყვით, ძირს უთხრიან სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას და მით ასუსტებენ პროლეტარიატს. ჯერ მარტო ეს ღაღადებს, თუ რა ფასი აქვს ვენის მუშათა გაზეთის რადიკალურ ფრაზებს, ვინაიდან, არსებითად რომ ვსთქვათ, მთელი ეს ფილოსოფია შეიცავს იმავე ლოზუნგს, რომელიც ამას წინად ერთიანი ფრონტისაკენ მოწოდების საპასუხოდ წამოაყენეს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადებმა: „რეაქციასთან საბრძოლველად, პირველ ყოვლისა, საჭიროა ბოლო მოუღოთ კომუნისტებსო!“

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლით საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში იწყება ახალი ხანა, რომელიც შეიცავს შემდგომ გართულებებს და კაპიტალის შემდგომ ცდებს რკინის ხელით ჩააქროს პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც სულ უფრო ძლიერდება, და აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. ევროპის მუშათა კლასის წინაშე ისმება ახალი საპასუხისმგებლო ამოცანები. როგორც არასოდეს, მწვავე ხდება რეფორმისტულ ბელადების ახალი, კიდევ უფრო გაუგონარი გამცემლობის საფრთხე, როგორც არასოდეს, გადაუდებელია ამ ბელადების მხილების ამოცანა.

ინგლისის დიპლომატიას კიდევ ბევრი თავის მტვრევა დასჭირდება, რომ განახორციელოს ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მეტოქეობა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის და საბჭოთა კავშირის ძლიერების განმტკიცება დიდათ აძნელებს ამ ამოცანას. მაგრამ საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების ღალატი იქნება, რომ ევროპის მუშათა კლასმა და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა გული დაიმშვიდონ ამ მოსაზრებებით, რომ მათ გულზე ხელდაკრებით თვალყური ადევნონ კაპიტალისტური რეაქციის ბნელი ძალების მუშაობას.

მოსალოდნელ საფრთხეების სწორი შეგნება და ჩვენთან ერთად ბრძოლისათვის მზად ყოფნა,—აი რას უკარნახებს ეხლანდელი პირობები როგორც საბჭოთა კავშირის მშრომელებს, ისე საერთაშორისო მუშათა კლასს.

„პრავდა“.

მოსკოვი, 27 მაისი

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-6 ყრილობა

ამხ. გუდაძე

(საჩხერე)

აღნიშნავს რომ მაზრებში სუსტად მიმდინარეობს ფასების დაკლება. ზოგიერთმა მთავარმა მაღაზიებმა დაუკლეს ფასები, მაგრამ მათ განყოფილებებში დაკლება არ ტარდება. ცხოვრებაში არ ტარდება აგრეთვე მოგების საპაიო კაპიტალში გადარიცხვა.

ამხ. პისკუნოვი

(ახალციხე)

ეხება წარმომადგენლობების გაუქმებას და აღნიშნავს, რომ გაუქმების შემდეგ ზედნადები ხარჯები მაინც არ შემცირდა. ცეკავშირი პროვინციას აწოდებს შინა-მრეწველობის პროდუქციას, მაგრამ ამ პროდუქტებს იღებს არა პირველი ხელიდან, არამედ კერძო პირისაგან, რაც აძვირებს საქონელს.

კოოპერაცია ადგილებზე არ აწარმოებს საზოგადოებრივ და კულტურულ დარგებში.

ამხ. აბრამოვი

(აჭარისტანი)

აჭარისტანში უკვე მეშვიდე თვეა არ არსებობს კოოპერატიული ცენტრი. მოხსენებაში აღნიშნული არ ყოფილა, თუ რა ზომები მიიღო ამ მხრივ ცეკავშირმა. ბათომის კოოპერაცია მძიმე მდგომარეობაშია; არ აქვს საკუთარი თანხები. ცუდათაა დაყენებული საქონლის მიწოდება ადგილებისათვის. ჯერ კიდევ ადგილი აქვს იძულებით ასორტიმენტს. საჭიროა პრემიების შემოღება მყიდველებისათვის. აუცილებელია საპარმო თათბირების ხშირად მოწვევა კოოპერაციაში.

ამხ. გოდაბრელიძე

(პროფსაბჭო)

აღნიშნავს, რომ წარსული დირექტივა ფასების დაკლების შესახებ არ არის შესრულებული. მაგალითად 1926 წლის პირველი მაისიდან 1927 წლის პირველ მაისამდე ფასები უნდა შემცირებულიყო ოცი პროცენტით. შემცირდა მხოლოდ 11 პროცენტით. ფასების დაკლება არ სჩანს კერძო ბაზარზე. ჩვენ გამოვიკვლიეთ მუშის ბიუჯეტი. გამოირკვა რომ კოოპერაცია, ვერ აკმაყოფილებს მუშებს, პირველი მოთხოვნილების საგნებით და ისინი იძულებული არიან მიმართონ კერძო მოვაჭრეებს. თავის მოთხოვნილების 70 პროცენტს მუშები იკმაყოფილებენ კერძო ბაზარზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელფასი არ გადიდებულა ათი პროცენტით. აუცილებელია მუშათა კოოპერაცია გადავიდეს წვრილი კრედიტის სისტემაზე.

ამხ. აკირტავა

(მუშათა და გლეხთა ინსპექცია)

აღნიშნავს რომ ზოგიერთ ორგანიზაციებში ფასების დაკლება ვერ ტარდება ისე, როგორც საჭიროა. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა გამოკვლევა საიდანაც გამოირკვა, რომ ტრესტების მიერ გატარებული ფასების შემცირება ვერ აღწევს მომხმარებლამდე. ამ შემცირებას ნთქავს საქონლის გამტარებელი ქსელი. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ იქ, სადაც მრეწველობამ არ შეუმცირებია ფასები კოოპერაციას სრულებით არ გაუტარებია ფასების დაკლება. იქ კი, სადაც მრეწველობამ გაატარა ფასების დაკლება იგი მომხმარებლამდე არ მისულა. ასეთი მდგომარეობაა მაგალითად ათ პუნქტში. მათ შორის ბათომის და ქუთაისის მუშკოოპში, სიღნაღის ეპოში და სხვა.

ფასების დაკლების გარდა ჩვენ გვაქვს მეორე დირექტივა, რომლის მიხედვით პირველ ივლისისათვის ადმინისტრატიული სამეურნეო ხარჯები შემცირებული უნდა იქნეს 15 პროცენტით. ზოგიერთ ორგანიზაციებში ეს დირექტივა არ სრულდება. პირიქით ხარჯები უფრო იზრდება. *).

მერვე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ჭილიძე.

გრძელდება კამათი ამხ. ცაგარელის მოხსენების გარშემო.

ამხ. ჯანაშია

ლაპარაკობს მუშა-მოსამსახურეებისათვის კრედიტის მიცემის შესახებ კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან და აღნიშნავს, რომ კერძო მოვაჭრეები საქონელს აძლევენ ნისიად კავშირების წევრებსაც, რითაც იმსახურებენ მუშების ყურადღებას. იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ მუშა-მოსამსახურეების დიდი რიცხვი ეტანება კერძო მოვაჭრეებს. საჭიროა მორიგ საკითხად დაისვას კოოპერაციიდან საქონლის ნისიად გაცემის საქმის მოწესრიგება.

ამხ. ვანო ბოლქვაძე

(მუშკოოპი)

აღნიშნავს, რომ კამათში გამოსული ორატორები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ფასების დაკლება მუშათა კოოპერაციაში ვერ სწარმოებს სათანადოდ. აღნიშნავდენ თითქოს ზოგიერთ საქონელს მოემატა ფასები. ეს არ არის მართალი. ამხ. ბოლქვაძე ეხება ფასების დაკლებას ზოგიერთ საქონელზე და ადარებს ეხლანდელ ფასებს გასული წლის ფასებთან, საიდანაც ირკვევა, რომ ფასების დაკლება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ჩვენი მორიგი ამოცანა—ამბობს ამხ. ბოლქვაძე—არა მარტო ფასების დაკლებით გავაუმჯობესოთ კოოპერაციის მუშაობა, არამედ სხვა მხრივაც ხელი შეუწყოთ მისი მუშაობის გაძლიერებას მუშა-მოსამსახურეების სასარგებლოდ.

ამხ. მახათაძე

(ხაშური)

აღნიშნავს, რომ სოფლის კოოპერატივებში არ არის ისეთი საქონელი, რომელიც ესაჭიროება მშრომელ მოსახლეობას და რომლის ყიდვაც შეეძლება მცირე ჯამაგირიან მქონე მუშა-მოსამსახურეს. კოოპერატიული მაღაზიების თანამშრომლები გულგრილად ეპყრობიან მყიდველებს.

ამხ. პანაციდისი

(ბორჩალო)

ეხება ხარჯების შემცირების საკითხს და აღნიშნავს, რომ ხარჯების შემცირებასთან ერთად აუცილებელია კოოპერატიული აპარატის რაციონალიზაცია და კოოპერატივების ცენტრალიზაცია ბორჩალოს მაზრაში. საჭიროა აგრეთვე ხელმძღვანელობის გაძლიერება.

ამხ. ლაბაზიძე

(სიღნაღი)

პროვინციებში ფასების დაკლების კამპანია სათანადოდ ვერ მიმდინარეობს, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. ადგილები მრავალ ცირკულიარებს იღებენ, მაგრამ მათში არ არის აღნიშნული, თუ როგორი მეთოდით უნდა სწარმოებდეს ფასების დაკლება.

პრაქტიკულ ნიადაგზე უნდა იყოს დაყენებული კოოპერატივებიდან, წვრილი ნისიის გაცემის საკითხი, მუშებმა იციან, რომ კერძო მოვაჭრეები მათ ტყავს აძრობენ, მაგრამ მაინც იმათთან მიდიან, რადგან საშუალება არა აქვთ თავისი მოთხოვნილება სავსებით დაიკმაყოფილონ კოოპერატივებში.

ამხ. საბახტარიშვილი

ეხება კოოპერატივის მუშაობის სუსტ მხარეებს და აღნიშნავს, რომ კერძო ვაჭრები ხშირად კარგი ღირსების საქონელს უფრო იაფად ჰყიდიან, ვიდრე კოოპერატივები. საჭიროა ზოგიერთ საქონელზე ფასები დაკლებული იქნეს არა 5—10 პროცენტით, არამედ 20—30 პროცენტით, თუ ეს საზარალო იქნება კოოპერატივისათვის, მაშინ ფასების გაძვირება შეიძლება ისეთ საქონელზე, რომელსაც ფუფუნების ხასიათი აქვს. აუცილებელია კრედიტის საკითხის მოგვარება.

ამხ. მატინიანი

(ახალ-ციხე)

თუ ჩვენ შევადარებთ კოოპერაციის ეხლანდელ მდგომარეობას გასული წლების მდგომარეობასთან, შევნიშნავთ, რომ კოოპერატივებს დიდი მიღწევები აქვთ. მაგრამ ეს არის მხოლოდ თბილისში. რა გაკეთდა ამ მხრივ ადგილებზე, მაგალითად, ახალციხის მაზრაში? უნდა ითქვას, რომ ბევრი არაფერი გაკეთებულა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთა შორის 15.000 ქალია. ეს კარგია, მაგრამ რა მუშაობა ჩაატარა ცეკავშირმა ქალების რიცხვის უფრო გასადიდებლად და მათ აქტიურად ჩასაბმელად კოოპერაციის მუშაობაში. ამ მხრივ მუშაობა სუსტია. ცეკავშირმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მაზრებს, სადაც ყველაფერი ისე არ არის, როგორც საჭიროა.

ამხ. ცაგარელის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, კამათში გამოსულმა ორატორებმა მე მისაყვედურეს, რომ ჩემს მოხსენებაში არ შევეხე კოოპერაციის მუშაობის საორგანიზაციო დარგს. ეს მართალია. მე ჩვენი მუშაობის ეს დარგი არ აღვნიშნე მხოლოდ იმიტომ, რომ დრო მეტად განსაზღვრული მქონდა.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ კოოპერაციის მუშაობას მრავალი ნაკლი ახასიათებს. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ აქამდე მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. ამჟამად კი მიუღებელია მთელი რიგი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სოფლად საჭირო საქონელი არ იშოვება, აღნიშნავდენ აქ ორატორები. ამას ჰქონდა ადგილი, მაგრამ მიღებულია ზომები ამ ნაკლის აღმოსაფხვრელადაც. ცეკავშირის მუშაობა ადგილებზე სუსტია. მაგრამ ეს გამოწვეულია იმით, რომ ინსტრუქტორების შტატი მცირეა, რის გამო საჭირო ხელმძღვანელობას ვერ უწევთ ადგილებს. ამას გარდა, ინსტრუქტორების გაგზავნა ადგილებზე ძვირი ჯდება. ეს ხარჯები კი ისევ საქონელს ედება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა დაიწუნა ჩვენი მუშაობა ფასების დაკლების დარგში. ფასების დაკლება არ შეადგენდა ჩემი მოხსენების საგანს. ამიტომ მე მასზე დაწვრილებით არ შევჩერებულვარ. მიუხედავად ამისა, მე მაინც აღვნიშნე გაკვრით, რომ ფასების დაკლების დარგში ჩვენ გვაქვს საგრძნობი შედეგები. ამხ. აკირტავამ აღნიშნა, რომ ფასების დაკლება ვერ აღწევს მომხმარებლამდე, რადგან შუა გზაზე სდგას კოოპერაციაო. მან სთქვა, რომ სიღნაღის „ეპომ“ არ დაუკლო სათანადოთ ფასები სახურავ რკინეულობაზე, მაშინ, როდესაც მრეწველობამ 15 პროც. დაუკლო ფასებსო. ეს არ არის მართალი. მრეწველობას არ დაუკლია ფასები. ეს გუშინ რეპლიკის სახით დაადასტურა ლითონის ტრესტის წარმომადგენელმა; ამხ. როჟდესტვენსკიმ. არც ის ცნობებია სწორი, რომელიც ეხება ნავთის ფასების დაკლებას.

მე მოხსენებაში აღვნიშნე, რომ ჩვენმა ცდამ ფასების დაკლების დარგში გამოიღო შედეგი. მე ეს ეხლაც უნდა განვიმეორო, ჩვენ დაკლება გვაქვს საშუალოდ 8 პროცენტი. პირველ ივნისამდე ჩვენ შევსძლებთ გავატაროთ კიდევ დაკლება 2 პროც.

აქ აღნიშნული იყო, რომ საქონლის გაგზავნა მაზრებში გვიანდება. ეს მართალია. მაგრამ მიღებულია გადამჭრელი ზომები, რომ მომავალში ამას აღარ ექნეს ადგილი.

საჭიროა, რასაკვირველია, წვრილი ნისიის გატარება, ამაში მე ვეთანხმები ორატორებს, მაგრამ ეს საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია კოოპერაციის ფინანსიურ მდგომარეობასთან. ნისიის გატარება ქალაქში შესაძლებელია, მხოლოდ მცირე მასშტაბით. მუშას შეიძლება მიეცეს მოკლე ვადიანი კრედიტი ადმინისტრაციის გარანტიით.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მივაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ კოოპერაციის გვერდით არ იყოს მისი მეტოქე ორგანიზაცია. უკვე არის სათანადო ორგანოების დადგენილება, რომ დაიხუროს ასეთი ორგანიზაციები და ალბად დაიხურება ქუთაისის აღმასკომის მაღაზია.

კომისიის არჩევა

მოხსენების გამო პრაქტიკულ წინადადებების შესამუშავებლად არჩეული იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ცაგარელი, ათოევი, პანაციდისი, გოდაბრელიძე, ბუაძე, ემელიანოვი, მატინიანი, ბოლქვაძე, აბრამოვი; ზენია; ნიკიტინი, ლაბაზაძე; აკირტავა და ათაბეკოვი.

საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანები

(ამხ. ფანცხავას მოხსენება)

მომხსენებელი, აღნიშნავს, რომ პროფკავშირების რიცხობრივად და საკავშირო მასსების მოთხოვნილებათა შეუწყვეტელი ზრდის გამო, ამოცანები, რომლებიც დღემდე კავშირების წინაშე იდგა და რომლებიც გამოიხატებოდა მასსების ინტერესების საუკეთესო დაცვაში, საკავშირო აპარატის მასსებთან დაახლოვებაში და საკავშირო დემოკრატიის გატარებაში, შემდეგშიაც აქტუალურ ამოცანებად რჩება.

საკავშირო აპარატის მასსებთან დაახლოვებისათვის აუცილებელია საკავშირო ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების სრული განტვირთვა ზედმეტ ფუნქციებისაგან. უნდა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა საერთო კრებების მოწვევის და ჩატარების საქმეში.

გასული წლის განმავლობაში, როგორც ეს აღნიშნული იყო პროფსაბჭოს მოხსენებაში, კავშირების ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. საჭიროა მომავალშიც გატარებული იქნეს სათანადო ღონისძიებები კავშირების ფინანსიური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად. მიღებული უნდა იქნეს ზომები იმ წევრების წინააღმდეგ, რომლებიც დროზე არ იხდიან საწევრო გადასახადებს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს წევრებისათვის კავშირების ფინანსიურ მდგომარეობის გაცნობას, რისთვისაც საჭიროა მოხსენებები.

სოფლად მუშაობის დარგში გასული წლის განმავლობაში პროფსაბჭოს დიდი მიღწევები ჰქონდა, რიცხობრივად და ორგანიზაციულად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშაკთა კავშირი. კავშირის შემდგომი ზრდა უნდა ხდებოდეს იმ ელემენტების ხარჯზე, ვისთვისაც დაქირავებული შრომა არსებობის ძირითად წყაროს წარმოადგენს. კავშირის წევრად არ შეიძლება მიღებულნი იქნენ [illegible], რომლებიც ტყის დამზადებაში თავიანთი საქონლით მუშაობენ და ის პირები, რომლებიც დაქირავებულ სამუშაო ძალით სარგებლობენ. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობის წარმოებას, მოჯამაგირეებს და მწყემსებს შორის. უნდა გაძლიერდეს მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, უნდა გავრცელდეს მათ შორის მასიური პოპულიარული ლიტერატურა სხვადასხვა საკითხებზე და მოჯამაგირეები ჩაბმულნი უნდა იქნენ სხვადასხვა პროფესიონალურ, პარტიულ, საბჭოთა სკოლებსა და კურსებზე. მათ შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის გაძლიერების მიზნით უნდა გაუმჯობესდეს ქოხ-სამკითხველოების, წითელ-კუთხეების და კლუბების მუშაობა.

პროფსაბჭომ თავის შემდგომ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მუშაობას ახალგაზრდათა შორის. ახალგაზრდობის საერთო საკავშირო მუშაობაში უკეთესად გამოყენების მიზნით პროფორგანიზაციებმა უნდა შექმნან ისეთი მდგომარეობა, რომ არჩეული ახალგაზრდობა დატვირთული იქნეს საერთო პროფესიონალურ მუშაობით არა მარტო ახალგაზრდების, არამედ მოზრდილი მუშების ინტერესების დაცვის საქმეში.

საჭიროდ უნდა იქნეს ცნობილი აგრეთვე მუშაობის გაძლიერება ქალთა შორის. იმ დაწესებულება-წარმოებებში, რომლებშიაც ქალები უმრავლესობას შეადგენენ. ფაბქარხადგილკომებში გამოყოფილი უნდა იქნეს ჯამაგირიანი არჩეული მუშა-ქალები.

ასევე გამოყოფილი უნდა იქნენ ჯამაგირიანი მუშა-ქალები იმ კავშირების ცენტრალურ გამგეობებში, რომლებშიაც ქალთა რაოდენობა სჭარბობს.

განვლილ პერიოდში პროფმუშაობა პროლეტარულ სტუდენტთა შორის საგრძნობლად გაცხოველდა. საჭიროა მომავალში მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნეს. კერძო, მიღებული უნდა იქნეს ზომები სახელმწიფო სტიპენდიების რიცხვის გასადიდებლად და სტუდენტების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დასასრულ, მომხსენებელი შეეხო მუშაობას საინჟინერო ტექნიკურ ძალთა შორის. ამ დარგში მუშაობის კიდევ გასაძლიერებლად საჭიროა, საინჟინერო-ტექნიკურ ძალების მატერიალური უფლებრივ და ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებათა დაცვის გაძლიერება საკავშირო ორგანოების საშუალებით; ამ ძალების აქტიურად ჩაბმა საკავშირო მუშაობის ყველა დარგებში და მათი მონაწილეობა საერთო საკავშირო კრებებსა და კონფერენციებზე, რაც ხელს შეუწყობს საინჟინერო ტექნიკურ ძალთა მონაწილეობის გაძლიერებას. საჭიროა იმ ღონისძიებათა დამუშავებაში, რომლებიც მიმართული იქნება საინჟინერო-ტექნიკურ პერსონალის ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესებისაკენ.

საჭიროა აგრეთვე ხელი შეეწყოს საინჟინერო ტექნიკურ ძალების შემდგომ ჩაბმას საერთო საკავშირო კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში, და განსაკუთრებით ტექნიკურ და საწარმო ცოდნათა საერთო საკავშირო მასაში გავრცელების საქმეში. ამისათვის საჭიროა, ლექციების ხშირად წაკითხვა. მონაწილეობის მიღება საფაბრიკო-საქარხნო სკოლების და პროფტექნიკურ კურსების მუშაობაში, პოპულიარულ ბროშურების, სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურის გამოცემა და სხვა.

ამხ. ფანცხავას მოხსენებით დასრულდა 27 მაისის დილის სხდომა.

მეცხრე სხდომა

ყრილობის საღამოს სხდომა შესდგა რუსთაველის თეატრში. სხდომას დაესწრენ ფაბქარხადგილკომების და კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლები.

სხდომაზე მოხსენებით საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე გამოვიდა ამხ. მიხ. კახიანი.

საბჭ. კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობა

ამხ. კახიანის მოხსენება

— ამხანაგებო, მთავარი საკითხი, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო მდგომარეობას არის ურთიერთობის გამწვავება ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის—ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. უკანასკნელი ცნობები ამბობენ, რომ ინგლისის პარლამენტმა ხმების უმრავლესობით მიიღო დადგენილება ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ საბჭოთა კავშირთან.

ასეთი დადგენილება იმოქმედებს საერთაშორისო ძალთა განწყობილებაზე. ეს უნდა იცოდეს ყოველმა მუშამ, ყოველმა წითელარმიელმა.

ინგლისის მთავრობის ასეთი მოქმედება ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი. ინგლისის შუბლმაგართა მთავრობა დიდი ხანია მოითხოვდა ამას. მაგრამ მთავრობის შემადგენლობაში იყო ზომიერი ფრთა. ეხლა, როგორც სჩანს, ეს ფრთა მიემხრო კაბინეტის დანარჩენ წევრებს.

რამოდენიმე თვის წინად ინგლისის მთავრობისაგან ჩვენ მივიღეთ ნოტა. ამ ნოტაში იყო მუქარა ჩვენს მიმართ.

ამ ნოტის შემდეგ მოხდა თავდასხმა პეკინში და ლონდონში ჩვენს წარმომადგენლობაზე. უკანასკნელი თავდასხმა ლონდონში უმაგალითო თავდასხმა იყო. 1921 წელში ჩვენ ინგლისის მთავრობასთან დავდევით ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა ინგლისში ნორმალურ პირობებში უნდა ყოფილიყო ჩაყენებული. მიუხედავათ ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრის ჯოინსონ ხიკსის ბრძანებით პოლიცია თავს დაესხა ჩვენს წარმომადგენლობას და დაარბია წარმომადგენლობის შენობა. დაამტვრიეს შკაფები, სეიფები და წაიღეს სხვადასხვა ქაღალდები. ჩვენ ამის წინააღმდეგ სასტიკად გავილაშქრეთ, განვაცხადეთ პროტესტი. ჩვენ შევეკითხეთ ინგლისის მთავრობას, სურს თუ არა მას ჩვენთან ურთიერთობის გაგრძელება. მაგრამ პასუხს დააგვიანდა. სჩანდა, რომ ინგლისის მთავრობა მსჯელობდა, თუ რა ზომები მიეღო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სამშაბათს პარლამენტში განმარტებით გამოვიდა ბოლდუინი, რომელმაც განაცხადა, რომ სავაჭრო წარმომადგენლობაში ნაპოვნია რაღაც დოკუმენტებიო. ამიტომ საბჭოთა კავშირთან აღარ შეიძლება ურთიერთობის გაგრძელებაო.

ამხანაგებო, ინგლისის მთავრობა დიდი ხანია ემზადებოდა ამისათვის. მაგრამ აქამდე ვერ მოახერხა ეს. იგი ეძებდა მოკავშირეს, მაგრამ ვინაიდან მოკავშირე ვერ იპოვა, გადაწყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედა.

ურთიერთობის გაწყვეტა ნიშნავს მზადებას ომისათვის პირველი პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ბოლდუინმა განაცხადა, რომ ჩვენ, მართალია, ვწყვეტთ სავაჭრო ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, მაგრამ რუსეთს შეუძლია ივაჭროს ინგლისის ცალკე ფირმებთანო. რისთვის დასჭირდა მას ეს? იმისათვის, რომ გაექარწყლებინა ამ ნაბიჯის შთაბეჭდილება საქმიან წრეებში, რომლებსაც უნდოდა ჩვენთან ვაჭრობა და, რომლებსაც განზრახული ჰქონდა ჩვენთვის კრედიტების მიცემა. მაგრამ ბოლდუინის განცხადება არ არის მართალი. როდესაც ჩვენი წარმომადგენლობა დასტოვებს ლონდონს, ინგლისთან ვაჭრობა შეუძლებელი იქნება. ასეთ განაცხადა ჩვენმა ვაჭრობის კომისარმა.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ჩვენ ურთიერთობის გაწყვეტიდან? რასაკვირველია, ეს ართულებს ჩვენს მდგომარეობას. შეიძლება ჩვენ ისეთი ტემპით ვერ განვავითაროთ ჩვენი ვაჭრობა, როგორც ეს აქამდე იყო, მაგრამ ურთიერთობის გაწყვეტა უფრო იზარალებს ინგლისი.

ამას გარდა, ურთიერთობის გაწყვეტა აძლიერებს ომის მომხრეებს. ამიტომ ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ის მშვიდობიანობის პოლიტიკა, რომელსაც აქამდი ვატარებდით. ამასთანავე ყველა ჩვენგანი სადარაჯოზე უნდა იდგეს. უნდა გავაძლიეროთ წითელი არმია და წითელი ფლოტი. ეს უნდა დაიხსოვნოს თვითოეულმა მუშამ და თითოეულმა გლეხმა.

მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, მე მაინც უნდა განვაცხადო, რომ იგი არ არის ისეთი, რომ ჩვენ პესიმიზმს მივეცეთ. არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ურთიერთობის გაწყვეტა, ეს ჩვენი დამარცხებაა, რადგან ეს, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ინგლისის პოლიტიკის დამარცხებაა.

როგორი პოზიცია დაიჭირეს ამ საკითხში ინგლისის მენშევიკებმა—ინგლისის მუშათა პარტიამ. მათ წინადადება შეიტანეს პარლამენტში, რომელშიაც აცხადებენ, რომ თავრობას პრინციპიალურად უნდობლობას არ უცხადებენ, მაგრამ მოითხოვენ კომისიის გამოყოფას საკითხის შესასწავლად. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ინგლისის მენშევიკები, ეს გამოცდილი მოღალატეები და გამცემლები, გვერდში ამოუდგენ შუბლმაგარ კონსერვატორების მთავრობას და ხელი მოაწერეს საზიზღარ აქტზე, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ასევე მოღალატურად მოიქცა მუშათა პარტია მეორე საკითხში, პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ კანონის განხილვის დროს. მათ დასტოვეს პარლამენტის სხდომა და მხოლოდ ცარიელი პროტესტი განაცხადეს. მათ ეშინიათ ნამდვილი ბრძოლის, ამიტომ ამ კანონის წინააღმდეგ ბრძოლას აპირებენ მხოლოდ პაპიროსის არ მოწევით და მაგარი სასმელების არ მიღებით პროტესტის ნიშნად.

ეხლა მე მინდა შევეხო საერთაშორისო მდგომარეობის მეორე საკითხს. იმ დროს, როდესაც ინგლისში ასეთი ამბები დატრიალდა, ჟენევაში მოწვეული იყო საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზია ერთის მხრივ სცდილობს ომში ჩააბას საბჭოთა კავშირი, მეორეს მხრივ კი მოლაპარაკებას აწარმოებს ჩვენთან ეკონომიურ საკითხებზე.

ჩვენი მიზანი იყო გამოგვეყენებია საერთაშორისო ტრიბუნა ჩვენი აღმშენებლობის პოპულიარიზაციისათვის. კონფერენციაზე მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღიარებს აღმშენებლობის ორი სისტემის არსებობას. ბურჟუაზია თუმცა არ სცნობს ჩვენს სოციალისტურ სისტემას, მაგრამ მაინც იძულებულია აღიაროს იგი. ჟენევის კონფერენციაზე მოხდა ამერიკის და საბჭოთა კავშირის დელეგაციების ერთგვარი დაახლოება. ეს მომასწავებელია იმის, რომ ამერიკა ჩვენთან საქმიან კავშირს დაიჭერს.

ამხანაგებო, მსოფლიო ბურჟუაზია ამჟამად დაინტერესებულია ჩინეთის ამბებით. ჩინეთის მშრომელების გამოსვლა დიდი რევოლიუციონური მოვლენაა. ჩინეთის რევოლიუცია ეხლა თავის განვითარების მეორე პერიოდს განიცდის. ბურჟუაზია ჩამოშორდა რევოლიუციას და კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადავიდა. თუმცა ჩან-კაი-შიმ უღალატა რევოლიუციას, მაგრამ ამით რევოლიუციის საქმე არ შეფერხებულა. ჩინეთის რევოლიუციონური მთავრობა (უხანის) სწორ გზას დაადგა. მან შემოიკრიბა თავის გარშემო ყველა რევოლიუციონური ძალები და პეკინზე გალაშქრება დაიწყო ფინ-იუსიანის მეთაურობით.

როგორ უნდა შევაფასოთ ჩვენ ჩინეთის რევოლიუცია?

ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ საჭიროა ჩინეთში საბჭოების მოწყობა. ეს არ არის სწორი, რადგან საბჭოები მაშინ იძულებული იქნებიან ბრძოლა გამოუცხადონ გომინდანის პარტიის მთავრობას, რომელიც უხანის ტერიტორიაზე არსებობს. ეს ზიანს მოაყენებს რევოლიუციას და გააძლიერებს ჩვენს მტრებს. ამიტომ საბჭოების დაარსება ჯერ ნაადრევია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ გომინდანის გარშემო გავაერთიანოთ მუშათა და გლეხთა მასსები.

ამას გარდა, ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ კომპარტია უნდა გამოვიდეს გომინდანიდან. არც ეს არის სწორი. პირიქით, საჭიროა მუშაობა ჩვენი გავლენის გასაძლიერებლათ გომინდანის შიგნით. ჩვენი გამოსვლა გომინდანიდან გააძლიერებდა მის მემარჯვენე ფრთას.

საერთაშორისო მდგომარეობა ამჟამად, როგორც ხედავთ, ხასიათდება გართულებებით ჩინეთში და ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? ჩვენ ომი არ გვინდა. ჩვენ ჩაბმული ვართ მშვიდობიან აღმშენებლობაში. მაგრამ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ახალ იმპერიალისტურ ომს ამზადებს. ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ ყოველთვის მზად ვიქნებით საბჭოთა კავშირის დასაცავად. საერთაშორისო პროლეტარიატი მიიღებს ზომებს ამ ომის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ თუ მან ეს ვერ მოახერხა, იმას მაინც შესძლებს, რომ ამ იმპერიალისტურ ომს გადააქცევს სამოქალაქო ომათ, რომელიც ბოლოს მოუღებს ბურჟუაზიის ბატონობას.

ასეთია საერთაშორისო მდგომარეობა. გადავიდეთ ეხლა ჩვენი შინაური მდგომარეობის დახასიათებაზე.

ჩვენი მრეწველობა თანდათან იზრდება. ჩვენ უკვე გავსცილდით ომის წინა ხანების მდგომარეობას. თანდათან ვითარდება ჩვენი მსხვილი მრეწველობა. ჩვენ აღვადგინეთ და გაფართოვებთ მძიმე ინდუსტრიას, რომ დამოუკიდებელი ვიქნეთ უცხოეთისაგან. ჩვენი სამანქანო მრეწველობა ჩქარის ტემპით იზრდება. ომის წინა ხანებთან შედარებით მრეწველობის ამ დარგში ჩვენ ამ ჟამად გვაქვს 134 პროცენტი.

ფართოდ ვითარდება აგრეთვე ელექტროფიკაციის საქმე. საქართველოში ჩვენ უკვე ავამუშავეთ ზაჰესი. ჩქარა მუშაობას დაიწყებს აბაშის სადგური, შემდეგ აჭარისწყალის ჰიდრო სადგური და წელს შევუდგებით რიონის სადგურის აგებას.

იგივე ითქმის სოფლის მეურნეობაზე. აქაც აუცილებელია გეგმიანი მუშაობა. საჭიროა წინასწარ გამორკვევა იმისა, თუ სად რა გვესაჭიროება. საჭიროა სოფლის მეურნეობა გაუმჯობესებულ წესით იქნას წარმოებული. როგორ შეიძლება ამის მიღწევა? შეიძლება კოოპერაციის საშუალებით. ამიტომ მას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამჟამად ჩვენ უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ ფასების დაკლებას, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშის რეალური ხელფასის გასადიდებლად და მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების განსხვავების მოსასპობად. ფასების დაკლება არ დამთავრდება პირველ ივნისს. ჩვენ შემდეგშიაც გავატარებთ მას. კამპანიას, რომელიც ეხლა მიმდინარეობს ფასების დასაკლებად, ახასიათებს ზოგიერთი ნაკლი. ყველა საქონელზე არ ტარდება ფასების დაკლება. ამას გარდა, შემჩნეულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაძვირება. ეს გამოწვეულია იმით, რომ კოოპერაცია სათანადო ყურადღებას არ აქცევს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებას.

ფასების დაკლებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია მეორე ჩვენი სადღეისო ამოცანა—ბრძოლა ბიუროკრატიზმთან. ბიუროკრატიზმი ჩვენში არ აღმოიფხვრება მანამდი, სანამ არ გაიზრდება მშრომელთა კულტურული დონე, რადგან ბიუროკრატიზმი უკულტურობის ნაშთია. ამიტომ პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ კულტურული მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შორის.

დასასრულ, მე მინდა შევჩერდე საბჭოების გადარჩევაზე. გადარჩევაში ჩაბმული იყო ფართო მასები. უპარტიოთა რიცხვი საბჭოებში გაიზარდა. ეხლა ჩვენ გვმართებს გავაძლიეროთ მუშაობა საბჭოების მუშაობის გასაცხოველებლად.

ამჟამად ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად კაპიტალისტური ქვეყნების მუქარისა, განვაგრძოთ ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენსკენაა მოპყრობილი ყველა ქვეყნების მშრომელთა თვალები. ამიტომ უნდა შევინარჩუნოთ საბჭოთა კავშირი. ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ სამეურნეო ფრონტზე, რომ განვამტკიცოთ ჩვენი მდგომარეობა და მე მგონია, რომ დღეს ჩვენი დევიზი ასეთი იქნება: ჩვენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად ვიბრძოლებთ მანამ, სანამ საბოლოოდ არ დამარცხდება ბურჟუაზია და არ გაიმარჯვებს მსოფლიო რევოლიუცია. (ტაში).

მოხსენების შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო

„გაერთიანებულ სხდომაზე ფაბქარხკომებისა და კავშირების ცენტრალურ გამგეობათა წარმომადგენლებთან ერთად, მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა გამოსთქვამს თავის უღრმეს აღშფოთებას ინგლისის კონსერვატიულ-შუბლმაგარ მთავრობის პროვოკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ.

იმის შემდეგ, რაც იმპერიალისტურმა ინგლისმა იგემა სასტიკი დამარცხება ბრძოლაში რუსეთის ძლევამოსილი მუშათა კლასის წინააღმდეგ და იძულებული გახდა დამდგარიყო მშვიდობიანი ურთიერთობის გზაზე პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ქვეყნის მიმართ, ინგლისის იმპერიალიზმის „ავი სულები“ ყველა ღონეს ხმარობდენ, რომ დაერღვიათ ის მშვიდობიანობა, რისთვისაც იღწვოდა საბჭოთა ქვეყნის მთავრობა როგორც თავის ფარგლებში, ისე მის გარეთ. ინგლისის იმპერიალისტები მით უფრო სცდილობდენ ამ მშვიდობიანობის დარღვევას, რომ არ გაუმართლდათ ყველა იმედები, რასაც ისინი ამყარებდენ სავაჭრო დიპლომატიურ ურთიერთობაზე საბჭოთა კავშირთან. იმპერიალისტურ ინგლისის მესვეურებს იმედი ჰქონდათ, რომ ურთიერთობის მოწესრიგებას საბჭოთა კავშირთან მოჰყვებოდა დათმობა კაპიტალისტური ელემენტების წინაშე და ჩვენი ეკონომსისტემის თანდათანი კაპიტულიაცია.

ცხოვრებამ გააცრუა შუბლმაგარი კონსერვატორების ყველა იმედები.

ძველ კაპიტალისტ-მემამულეთა რუსეთის ნანგრევებზე შენდება გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, ეს არ აძლევდა და არ აძლევს მოსვენებას ბატონ კონსერვატორებს.

მეორეს მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არაჩვეულებრივი ზრდა ჩინეთში და, საერთოდ, აღმოსავლეთში, აგრეთვე ინგლისის მუშათა კლასის გარევოლიუციონერება,—იყო და არის მიზეზი იმის, რომ ინგლისის კაპიტალისტური წრეები ჰკარგავენ წონასწორობას და გადადიან იერიშზე იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც დაღუპვას უმზადებს მათ.

ამ იერიშებიდან პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს სამთამადნო მუშათა საყველთაო აფიცვა, რომელშიც საკმაოდ დიდი როლი ითამაშა მაკდონალდ-პერსელის ტიპის ინგლისელმა შემთანხმებლებმა, სამხედრო ინტერვენცია ჩინეთში და ინგლისის პროფესიონალურ ორგანიზაციების დარბევა, პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ კანონის მიღების გზით, კანონის, რომელმაც რამდენიმე ასი წლით უკან დახია ინგლისის მუშათა კლასის უფლებრივი მდგომარეობა.

ყველაფერი ეს იყო ნიადაგის მომზადება შეტევისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მშვიდობიანობის სადარაჯოზე მდგომი საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ არ წამოეგებულიყო შუბლმაგარი ინგლისელი [illegible] პროვოკაციულ ანკესზე.

მაგრამ უკანასკნელი ამბების—პეკინში საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის შემდეგ, რომელიც მოხდა ინგლისის კურთხევით, და ჩხრეკის მოხდენის შემდეგ საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციის შენობაში, ლონდონში—აივსო საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოთმინების ფიალა.

ემყარება რა მშრომელთა ნება-სურვილს, საბჭოთა კავშირის მთავრობამ დღევანდელ ინგლისის მესვეურებს პირდაპირ დაუსვა კითხვა: სურთ თუ არა მათ ჩვენთან ნორმალური სავაჭრო-დიპლომატიური ურთიერთობის გაგრძელება?

კონსერვატორების მთავრობა, პირისპირ დაყენებული ასეთი კითხვის წინაშე, იძულებული გახდა ჩამოეხადა მშვიდობიანობის პირბადე და გაეწყვიტა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ურთიერთობის შეწყვეტა ნიშნავს ახალი ომის საფრთხის მოახლოვებას. ომის ამ საფრთხის წინ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს შეუძლიათ თქვან: „ეს საფრთხე მომწიფდა იმ დამარცხებების შედეგად, რომლებსაც განიცდის იმპერიალისტური ინგლისი როგორც თავის საერთაშორისო პოლიტიკაში, მაგალითად—ჩინეთში, ისე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიურ პოლიტიკაში, რის დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია, სადაც დაისახა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო დაახლოვების შესაძლებლობა“.

შექმნილი ომის საფრთხე ვერ შეაშინებს საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს. თუ მტერი გაბედავს ჩვენზე თავდასხმას, მიიღებს ღირსეულ პასუხს. ეს პასუხი მით უფრო მტკიცე იქნება, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს მხარეზე არის მსოფლიო პროლეტარიატი და კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების ჩაგრული ერები.

ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, მაგრამ მზად ვართ ომისათვისაც!

გაუმარჯოს მშვიდობიანობას, ძირს ომი!

ძირს საერთაშორისო ბანდიტები, რომლებიც სცდილობენ ომის გამოწვევას!

გაუმარჯოს ჩინეთის ძლევამოსილ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას“!

---

* ზევით მოყვანილი ხუთი ამხანაგის სიტყვები წარმოთქმული იყო ყრილობის 26 მაისის საღამოს სხდომაზე. მაგრამ ტექნიკურ მიზეზების გამო გაზეთის გუშინდელ №-ში ვერ მოთავსდა.

პარტიული ცხოვრება

აზერბ. კ. პ. (ბ) ცკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი

ბაქო, 27 მაისი. გაიხსნა აზ. კ. პ. ცკას და ცენტრ. საკონტ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი. დღის წესრიგში სდგას: საბჭოთა არჩევნების შედეგები სოფლად, მოხსენებები ნაციონალიზაციის საერთო შედეგების, იუსტიციის სახ. კომისარიატის ორგანოების რეორგანიზაციის, პარტიის ყრილობის და ამხ. ზინოვიევის გამოსვლების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **მირზოიანი**, რომელმაც განაცხადა შემდეგი: „წლევანდელ საარჩევნო კამპანიაში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. წელს კამპანიის ჩასატარებლად გაგზავნილი იყო 200 ამხანაგი, რომელთაც ყველგან მოაწყვეს ღარიბ და უპარტიო გლეხთა ფართე კონფერენციები. საარჩევნო კამპანია არც წელს ჩატარებულა უნაკლოდ. თუ გასულ წელს საარჩევნო ინსტრუქცია გაგებული იქნა ისე, რომ საარჩევნო ხმის უფლება ძალიან ფართო წრეებს მიეცათ, წელს არჩევის უფლების მქონეთა რიცხვი ძალიან იქნა შეზღუდული. სულ აზერბეიჯანში საარჩევნო უფლება ჩამოერთვა 8 პროც., ალაგ ალაგ კი 15 პროცენტსაც. არჩევნებში ყველაზე მეტი აქტიობა გამოიჩინა ღარიბმა გლეხობამ. დასწრება უდრიდა 80 პროც.,—ხოლო ქალების მონაწილეობა 28 პროცენტს. სასოფლო საბჭოებში არჩეულია სულ 38.495 წევრი, რომელთაგან 41,3 პროც. ღარიბი გლეხებია, 15 პროც. მოჯამაგირეები, 20 პროც. საშუალო შეძლების გლეხები. გაიზარდა პარტიულების პროცენტი.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სოფლის მოსახლეობის ფენებად დანაწილებას და ამბობს, რომ აზერბეიჯანის სოფლის განვითარება თანდათან ამცირებს ღარიბ გლეხობის რიცხვს და ამრავლებს საშუალო შეძლების გლეხობას, რომელიც აზერ. სოფლის ძირითად ფენას წარმოადგენს. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გლეხური მოსახლეობის ყველა ფენები კულტურულად და პოლიტიკურად ამაღლდენ და უყენებენ პარტიას ახალ მოთხოვნილებებს. პარტია უნდა გაუძღვეს მასების აქტიობას და კულაკის განსამარტოებლად კიდევ უფრო გამაგროს ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხთა კავშირი.

უჯრედთა მდივნების გამოშვება

თანახმად საქ. კომ. პარტიის (ბ) ცკას დადგენილებისა ა. წ. 25 აპრილიდან მოეწყო თბილისში კურსები. 25-26 აპრილს უკვე დაიწყო ნორმალური მეცადინეობა. მსმენელებად იყვნენ მოწვეულნი ამხანაგები საქართველოს ყველა კუთხეებიდან. კურსებზე სულ იყო 30 კაცი.

კურსების მოწყობა დროული იყო, რადგან სოფლად ეხლა, ვინემ ოდესმე.

კურსებს განაგებდა ამხ. გიორგი სხულუხია, რომელიც დაუღალავად მუშაობდა. მსმენელები ყოველ დღიურად მეცადინეობდენ ოთხ-ექვს საათს, საღამოს კი ორი საათით ეწყობოდა პრაქტიკული მეცადინეობა ამხ. ორაგველიძის და სხულუხიას ხელმძღვანელობით. მსმენელები ბეჯითად მუშაობდენ.

მსმენელებს ეძლეოდა რვეულები, ფანქრები, წიგნები და სხვ.

კვირა - უქმე დღეებში ეწყობოდა ექსკურსიები — მაგალითად ლენრაიკომის საწარმოო უჯრედებში, ზაჰესში, რევოლუციონურ მუზეუმში და სხვ. გუშინ, 27 მაისს, მოხდა ხსენებულ კურსების საზეიმო გამოშვება.

იერემი იმნაიშვილი.

უნივერსიტეტის მსმენელთა შერჩევის შესახებ

გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღების პირობები. საბჭოთა კავშირის სხვა კომუნისტური უმაღლესი სასწავლებლებიც მიმართავენ ადგილობრივ ორგანიზაციებს სტუდენტების შერჩევისა და გადაგზავნის შესახებ.

წარსული გამოცდილებით ვიცით, რომ ამ საკითხს ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას აქცევდენ. ამიტომ იყო, რომ კომუნისტურ სასწავლებლებში ხვდებოდენ ისეთი ამხანაგები, რომელთაც არ შეეძლოთ შეეთვისებიათ პროგრამით გათვალისწინებული კურსი და სასწავლებლის ხელმძღვანელნი იძულებულნი იყვნენ მიემართათ ისეთ არასასურველ საშუალებისათვის, როგორიცაა სტუდენტთა შემადგენლობის „წმენდა“. გარდა იმისა, რომ ეს სრულიად უსარგებლო ხარჯებს იწვევს, მას დეზორგანიზაცია შეაქვს სწავლის მსვლელობაში და ამასთანავე ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევს იმ ამხანაგებში, რომელნიც საქმის სარგებლობის მოსაზრებით სასწავლებლის კედლებს გარეშე ჰყვებიან.

რომ ასეთ მდგომარეობას ბოლო მოეღოს, საჭიროა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით და მეტი სიფრთხილით მოეკიდონ კომუნისტურ უნივერსიტეტში გასაგზავნ კანდიდატების შერჩევას. ამხანაგების შერჩევის დროს მხედველობაში მისაღებია ყველა გარემოებანი, როგორც პარტიული და საწარმოო სტაჟი, ისე ამხანაგის საერთო მომზადება, მისი ოჯახური და ფიზიკური მდგომარეობა, ასაკი და სხვა.

სწავლის მიღების მსურველები, საბედნიეროთ, ჩვენს პარტიაში საკმაოზე მეტია. ასე რომ შერჩევის შესაძლებლობაც დიდია. საჭიროა მხოლოდ ადგილობრივი პარტორგანიზაციები დროზე შეუდგენ ამ საქმეს, რომ მეტი სიჩქარით, როგორც ეს წინად ხშირად ხდებოდა, არ შეფერხდეს კანდიდატების შერჩევა. ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული სტუდენტთა მიღების პირობები ერთხელ კიდევ მოაგონებს ჩვენს პარტორგანიზაციებს.

ზ. უ—ლი.

თბილისის კომიტეტი

ქალთა შორის მუშაობის ნაკლულევანებათა შესახებ

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის გუშინდელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება ქალთა სადელეგატო კრებების მუშაობის შესახებ. პრეზიდიუმმა სადელეგატო კრებების საქმიანობაში მიღწევებად ჩასთვალა პროგრამის დროულად დასრულება, კრებებზე დასწრებისა და დელეგატ ქალების აქტიობის მოგვარება, სექციების ნორმალური მუშაობა, პრაქტიკული საქმიანობის გაძლიერება და სხვა.

ამ მიღწევებთან ერთად პრეზიდიუმმა აღნიშნა მრავალი ნაკლიც, რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ: კრებების შემადგენლობიდან ნება-ყოფლობით გასულა დელეგატ ქალთა საკმაოდ დიდი პროცენტი (ლენ-რაიონში 54 პროცენტი, არსენალის—22,5 პროც., მესამე რაიონში—84,5 პროც. და 4 რაიონში—47 პროც.).

სადელეგატო კრებებს არ ჰყავთ თვალსაჩინო სახელმძღვანელოები და არ აქვთ ლიტერატურა ნაციონალურ ენებზე, რაც აძნელებს გავლილ პროგრამის შეთვისებას.

რაიკომების საგიტ-საპროპაგანდო განყოფილებათა და აგრეთვე ქალთა განყოფილებათა ხელმძღვანელობა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ არ სწარმოებდა სადელეგატო კრებათა პროგრამული საკითხების მეთოდიური დამუშავება. სუსტი იყო ხელმძღვანელობა კრებების ხელმძღვანელებისადმიც. დელეგატები არ იყვნენ დაკავშირებული თავიანთ ამრჩევლებთან.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, მომავალში.

1. თბ. კომიტეტის და რაიკომების ქალთა განყოფილებებმა პერიოდულად მოიწვიონ კრებების ხელმძღვანელთა თათბირები.
2. სადელეგატო კრებათა პროგრამის ცალკე საკითხები მეთოდიურად იქნეს დამუშავებული.
3. პრაქტიკაზე მყოფ დელეგატ ქალთა თათბირების მოწვევის გზით გაძლიერებულ იქნეს პრაქტიკანტების მუშაობა.
4. გაძლიერდეს ამრჩევლებთან კავშირი დელეგატ ქალთა ანგარიშების ხშირი მოსმენის გზით.
5. დელეგატი ქალები არ იქნენ ჩაბმული არჩევით ორგანოების მუშაობაში სადელეგატო კრებების მეცადინეობის დროს.
6. რამდენადაც შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს სადელეგატო კრებათა შემადგენლობის სიჭრელე მომზადების დონის მიხედვით.

ქ. ს—ლი.

თათბირი პარტინფორმაციის შესახებ

26 მაისს საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება „პარტ-ინფორმაციის მორიგი ამოცანების შესახებ. პირველი სიტყვით ამ საკითხზე გამოვიდა ამხ. პაველენკო (ა.-კ. სოლქო კომ.) მთავარ ნაკლად ჩვენს მუშაობაში—აღნიშნა მომხსენებელმა უნდა ჩაითვალოს ის რომ ადგილები აგვიანებენ მასალის დამუშავებას. ეს გარემოება კი,—ამბობს მომხსენებელი, აბრკოლებს სწორ ხელმძღვანელობის საკითხს.

გადადის რა გეგმიანობაზე აღნიშნავს რომ ადგილებზე გეგმები ვრცელი იწერება და მისი განხორციელება კი 50 პროც. ხდება. ჩვენს მსხვილ საწარმოო რაიონებში ინფორმატივის გამოყენება ეხლახან იწყობა. მხოლოდ საჭიროა მის განვითარებას მივცეთ სწორი გეზი.

რაც შეეხება უჯრედებს შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ მუშაობაში ორგ-კომისიის წევრები.

ამთავრებს რა მოხსენებას აღნიშნავს რომ საჭიროა გაძლიერდეს ხელმძღვანელობა ქვედა ორგანიზაციებზე, ამ მიზნით კი გამოყენებულ უნდა იქნას ინსტრუქტორები და დირექტიული წერილები. თუ შესაძლებელი იქნება საჭიროა შეიქმნას მოკლე ვადიანი კურსები საკ. კ. პ. (ბ) ცკასთან ინფ. მომუშავეთა კვალიფიკაციის აწევის მიზნით. შემდეგ ამავე საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ცკას წარმომადგენელი ამხ. ცირული: განვლილი ერთი წელი—ამბობს მომხსენებელი, ხასიათდება ინფორმაციის გამოცოცხლებით ჩვენ საკავშირო კ. პ. (ბ) ც-თან მოწვეულ თათბირის შემდგომ მთელი რიგი მიღწევები გვაქვს, თუ წარსულ წელს ინფორმაციის მუშაობა ამოიწურებოდა მხოლოდ მშრალი საანგარიშო მოხსენებების შედგენით ეხლანდელი პარტ-ინფორმაცია ჯამს უკეთებს ამა თუ იმ საკითხზე ჩატარებულ კამპანიის შედეგები. აბდენს გამოკვლევას თუ რამდენად ტარდება ადგილებზე პარტიის ესა თუ ის დირექტივები. მოსკოვის ორგანიზაციებში ინფორმაციული მუშაობა იმდენად გაძლიერდა რომ იგი ორგანიზაციულ დარგში მუშაობის საუკეთესო დამხმარედ შეიქნა.

ხშირად ამა თუ იმ ჩატარებულ კამპანიაზე იწერება ყველა ადგილებიდან ანგარიშები, რომელიც სქემის მიხედვით ძალიან ჰგავს ერთმანეთს, უფრო კი მიზანშეწონილია ცალკე მომუშავის მიერ იგზავნებოდეს საკუთარი გამოცდილებებიდან, წერილობითი მასალები. ამხ. ცირულის მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიხურა საღამოს სხდომა.

ამხ. ცირულის მოხსენების ირგვლივ გუშინ დილის სხდომაზე გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს 18-მდე ამხანაგმა. მათ შორის ამხ. რუბენმა.

ამხ. რუბენის სიტყვა

ინფორმაციის ორგანიზაციის მხრივ, სთქვა ამხ. რუბენმა, ჩვენ ბევრათ ჩამორჩებით მოსკოვს. რასაკვირველია, მოსკოვს ჩვენ ინფორმაციის მხრივ ყოველ პირობის გარეშე ვერ შევედრებით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ინფორმაცია ჩამორჩება მუშაობის იმ საერთო ტემპს, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში.

ეს უმთავრესად მიეწერება იმ გულგრილობას, რომელსაც იჩენს ინფორმაციისადმი ჩვენი ამხანაგები. ამავე დროს კარგად დაყენებულ ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიულ მუშაობის წარმატებით განვითარებისათვის. დაგვიანებული ინფორმაცია ხშირად ჰკარგავს მთელ თავის აზრს.

საჭიროა გადიდებულ იქნეს იმ პარტიულების კადრები, რომელნიც ჩაბმულნი იქნებიან საინფორმაციო მუშაობაში. ინფორმატორების ასეთი კადრები უნდა გაფართოვდეს ჩვენს რესპუბლიკანურ კომპარტიათა ცენტრალურ და სატახტო ქალაქების კომიტეტებში. ეს კადრები უნდა შეიქმნას პარტუჯრედებშიაც, ვინაიდან, რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო რთულდება ჩვენი მუშაობა წარმოებებში, დაწესებულებებში და უნივერსიტეტებში.

ინფორმატორები უნდა გამოყოფილ იქნან საორგანიზაციო კომისიებიდან. იქ, სადაც ასეთი კომისიები არ არის, ინფორმაციაზე უნდა იმუშაონ უჯრედების მიერ გამოყოფილ ამხანაგებმა.

იყო ამ მუშაობაში მავნე გადახრებიც. ინფორმატორს ადარებდენ მუშკორს, მას ირჩევდენ და საქმე წარმოედგინათ ისე, რომ ინფორმატორმა ცნობები უნდა მიაწოდოს შემდგომ ორგანიზაციას თავის ორგანიზაციის გარეშე. ეს გადახრა უნდა აღმოიფხვრას. გარდა ამისა, რომ ჩვენ შევქმნათ ინფორმატორების კვალიფიციური კადრი, ისინი ხშირ-ხშირად არ უნდა იცვლებოდენ.

ამხანაგები აქ ამბობდენ, რომ ზოგჯერ პარტიულ კომიტეტების ხელმძღვანელები ნაკლულევანებათა მიჩქმალვის მიზნით არ იძლევიან სწორ ინფორმაციას. მე არ ვფიქრობ, რომ ეს მტკივნეულ საკითხს წარმოადგენდეს საინფორმაციო მუშაობაში, მაგრამ თუ სადმე ასეთ მაგალითებს აქვს ადგილი, საჭიროა ინფორმატორმა იმოქმედოს შემდგომ პარტიულ ორგანიზაციების საშუალებით.

ამასთანავე შემჩნეულია, რომ საინფორმაციო მუშაობაში სჭარბობს საორგანიზაციო განყოფილების საკითხები. ეს ბუნებრივია, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ სხვა განყოფილებებიც. ეს გარემოება უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში განსაკუთრებით მაშინ, როცა ინფორმაციის ორგანოები ადგენენ გეგმას თავიანთ შემდგომი მუშაობის შესახებ.

როგორ ვმუშაობთ

(ლორის-ბამბაკი)

სოფ. შინიხი ერთად ერთი სოფელია, რომელმაც პირველად აატრიალა აჯანყების დროშა მენშევიკური ბატონობის წინააღმდეგ 1921 წელში. პირველად კომუჯრედი მოეწყო ამ სოფელში მენშევიკური რეჟიმის უძნელეს პერიოდში, ჯერ კიდევ 1918 წ., მაგრამ იმავე წელში ორგანიზაცია დაანგრიეს, ამხანაგები დაატუსაღეს და ზოგნი კი მთებში შეიმალენ. ამ დევნამ კიდევ უფრო დაამჭიდროვა ლორის ბამბაკის მაზრის რევოლუციონური გლეხობა და ორგანიზაციის განადგურებისთანავე ხელ ახლად ჩაისახა კომუჯრედი.

ეხლა სოფ. შინიხის პარტუჯრედი აერთიანებს 20 პარტიულ ამხანაგს. კრებები უფრო ხშირად ღიაა. უჯრედში გასარჩევი საკითხები უმთავრესად ეხება გლეხების საარსებო ინტერესებს.

პოლიტწრე მეცადინეობს ორჯერ კვირაში. გლეხები მეცადინეობას ხალისით ეკიდებიან, მაგრამ ქალების მუშაობაში ჩაბმა კი მოიკოჭლებს. უჯრედში არ არის არც ერთი ქალი. პარტუჯრედი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ყოველ გვარ ცნობებისათვის მას მიმართავენ. ამჟამად უჯრედმა აიღო ღარიბი და საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილის პარტიაში მიღების კურსი. კომპარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობით საუკეთესოდ მუშაობს პიონერთა რაზმი. რომელიც აერთიანებს 100 ბავშვს.

უჯრედის წევრი.

მათხოვრობა და მასთან ბრძოლა

(პრაქტიკული წინადადება)

მათხოვრობა ჩვენში საკმაოდ გავრცელებულია, ძველმა რეჟიმმა ჩვენ მემკვიდრეობით დაგვიტოვა მოსახლეობის ისეთი ჯგუფები, რომლებიც ეწევიან მათხოვრობას. იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომებმა კიდევ უფრო გაამრავლა მათხოვართა რიცხვი. მათხოვრობის განვითარებას ჩვენში ხელი შეუწყო აგრეთვე სოციალური და ბუნებრივი ხასიათის სხვა ფაქტორებმაც, როგორც, მაგ.; მიწის სივიწროვემ, უმუშევრობამ, ხშირმა სტიქიურმა უბედურებამ და სხვ. ერთი სიტყვით, უდავო ფაქტია, რომ ჩვენ გვყავს მათხოვრების თვალსაჩინო კონტინგენტი.

ყველაზე უფრო საინტერესოა პირველი ჯგუფად: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან სიმულიანტები და პროფესიონალური მათხოვრები; მეორე ჯგუფში შედიან ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადაქცეულან პროფესიონალ მათხოვრებათ, მაგრამ მისული არიან ამ საზღვარზე; მესამე ჯგუფში კი ჩარიცხულ უნდა იქნენ შემთხვევით გაჭირვებაში ჩავარდნილი პირები, ანუ დროებითი მათხოვრები.

ყველაზე უფრო საინტერესოა პირველი ჯგუფის მათხოვრები. ესენი არიან გახრწნილი, გადაგვარებული და მოლიპულ გზაზე შემდგარი ელემენტები. პატიოსან შრომას ისინი გაურბიან, ვინაიდან მათხოვრობით უფრო მეტ შემოსავალს იღებენ. ცხოვრებას ატარებენ ლოთობასა და გარყვნილებაში. მათ უმრავლესობას კარგათ იცნობენ სისხლის სამართლის მილიციის ორგანოები სადაც ისინი სხვადასხვა დანაშაულობისათვის რამდენჯერმე არიან გატარებული რეგისტრაციაში. მათხოვრების ეს ჯგუფი ახერხებს საკმაო ფულის შოვნას. მათ ხშირათ დაქირავებული ჰყავთ რამდენიმე ბავშვი, რომლებსაც ამათხოვრებენ და ამით ზრდიან თავის შემოსავალს.

მაგრამ, როგორც ვსთქვით, არიან ისეთი პირები, რომლებიც მათხოვრობაში დახელოვნებული და გამოქნილი არ არიან. მათ ძლიერ უჭირთ, მაგრამ ხელის გაწოდებისა და ხმის ამოღების სცხვენიათ. ამათ რიცხვს ეკუთვნის მათხოვრობის მესამე ჯგუფი, ანუ შემთხვევით გაჭირვებაში ჩავარდნილი პირები. ესენი ხშირათ მთელი კვირაობით ვერ შოულობენ ლუკმა პურს, ვინაიდან არ აქვთ შესწავლილი ყველა ის ხერხები და წესები, რომელიც საჭიროა მათხოვრობისათვის და ასეთები [illegible]. ეს კატეგორია უმტკივნეულოდ და ადვილათ უბრუნდება მშრომელთა ოჯახს. რაც შეეხება მათხოვრების მეორე ჯგუფს, უნდა აღინიშნოს, რომ ის ერთგვარ რეზერვს წარმოადგენს, რომელიც ავსებს მათხოვრების. როგორც პირველ, ისე მესამე ჯგუფს. ეს გადასვლა პირველ ან მესამე ჯგუფში დამოკიდებულია განსაზღვრულ პირობებზე. ყოველ შემთხვევაში, ერთი აშკარაა—მეორე ჯგუფის მათხოვრები კიდევ არ არიან მთლად ჩაფლული წუმპეში და მათი გადარჩენა, „გაადამიანება“ კიდევ მოსახერხებელია.

როგორ და რა გზით უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა მათხოვრობის წინააღმდეგ?

მათხოვრობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენის აზრით, უნდა დავიწყოთ ერთი გავრცელებული ჩვეულების [illegible] — მოწყალება მათხოვრებისათვის ქუჩაში ან სახლში „მოწყალების“ მიცემის შეწყვეტით. ცალ-ცალკე და კერძოთ დახმარების გაცემა იმიტომ არის უარსაყოფი, რომ ეს დახმარება უმრავლეს შემთხვევაში ხელში უვარდებათ არა ნამდვილად გაჭირვებულებს, არამედ უღირს და გახრწნილ ელემენტებს.—უარებილი მასალები, რომლებიც მოიპოება სოც. უზრუნველყოფის ორგანოებს, ადასტურებს, რომ ზოგიერთი მათხოვარი სხვადასხვა მახინაციების საშუალებით დიდ-ძალ ფულს შოულობს, ხელ გაშლილათ ცხოვრობს და ლოთობასა და გარყვნილებაში ატარებს დროს. სამაგიეროთ არიან არა პროფესიონალური მათხოვრები, რომელთაც ცუდათ აქვთ შესწავლილი ეს „ხელობა“. მათი მდგომარეობა მეტად აუტანელია. სირცხვილისაგან ისინი ვერც კი ბედავენ ხელის გაწოდებას და მოწყალების მოთხოვნას. თუ ვინმე „აჩუქებს“ მათ რამეს— ხომ კარგი, თუ არა—ხმას არ იღებენ. სწორედ მათხოვრების ეს ჯგუფი მართლაც, რომ საშინელ გაჭირვებას განიცდის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველგვარი გაუგებრობის, შეცდომის და უსამართლობის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნება რომ არავითარი დახმარება არ აღმოეჩინოს ქუჩაში გამვლელ, ან სახლში შემოსულ მათხოვარს. მათხოვართა უზრუნველყოფა, მათთვის დახმარების აღმოჩენა უნდა სწარმოებდეს ერთი აპარატის, ერთი დაწესებულების მიერ, რომელიც ორგანიზაციულად გაანაწილებს გაჭირვებულთა შორის ფულად და ნატურალურ საშუალებებს. საშუალებათა ცენტრალიზაცია. — აი, მეორე ღონისძიება მათხოვრობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საიდან უნდა გამოვნახოთ ეს საშუალებები? თავის-თავად ცხადია რომ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, ნივთიერი ხელმოკლეობის გამო, ჯერ კიდევ არ შეუძლია საკუთარი ძალ-ღონით სავსებით გადაჭრას მათხოვრობის საკითხი. გაივლის დრო, ჩვენი მეურნეობა იმდენად აყვავდება, როცა მათხოვრობა თავის-თავად მოისპობა, მაგრამ მანამდე საჭიროა ფართე საზოგადოების დახმარება, მისი აქტიურად ჩაბმა ამ საქმეში.

ერთ-ერთი წყარო საიდანაც შეიძლება შესდგეს სათანადო ფონდი მათხოვრობასთან—არის კერძო პირების და ოჯახების მიერ გადადებული და მათხოვრების დასახმარებლად დანიშნული წვლილი. ხშირად შეხვდებით ისეთ პირს, ან ოჯახს, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც აძლევს მათხოვარს ფულს, პურს, ძველ ტანსაცმელს ან სხვა რამეს. ასეთი კერძოთ და ცალ ცალკე გაცემული დახმარების მიზანშეუწონლობა ჩვენ ზემოთ უკვე დავამტკიცეთ. ამიტომ ჩვენ ვაყენებთ ამ დაქსაქსულ საშუალებების ცენტრალიზაციის საკითხს. გაცილებით უმჯობესი იქნება, თუ აღნიშნული ფული, პური, ძველი ტანსაცმელი და სხვა საგნები გადაეცემა ერთ დაწესებულებას, რომელიც გაუძღვება მათხოვართათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს.

საჭირო სახსრების გაღება მათხოვრობის აღმოსაფხვრელად უნდა დაეკისროს აგრეთვე ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებს. რუსეთის საქალაქო საბჭოები ამ მხრივ დიდ თაოსნობას იჩენენ, კერძოთ მოსკოვის საბჭომ გადასდო ამ საქმისათვის 1926 წელში ერთი მილიონი მანეთი. ჩვენი აღმასკომები კი გულგრილათ ეკიდებიან მათხოვრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს, რაც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი საზოგადოებრივი და პარტიული ორგანიზაციებიც, — პროფკავშირები, კომკავშირი, წითელი ჯვარი, ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი კომისია და სხვა—უნდა ჩაებან ამ საქმეში, მხოლოდ გაერთიანებული და შეკავშირებული ძალებით შევსძლებთ წარმატებით ვაწარმოოთ ბრძოლა მათხოვრობის წინააღმდეგ.

ვინ უნდა აწარმოოს უშუალოდ ბრძოლა მათხოვრობის წინააღმდეგ და ვის უნდა გადაეცეს ის საშუალებები, რომელიც საჭიროა ამ საქმისათვის? ჩვენის აზრით, მათხოვრობის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა აწარმოოს „ქალაქის გაჭირვებულთა დამხმარე საზოგადოებამ“, რომელიც იმუშავებს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ. ამ საზოგადოების წესდება უკვე დამტკიცებულია ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ. განზრახულია ასეთი საზოგადოებები მოეწყოს საქართველოს ყველა ქალაქებში. ჯერ-ჯერობით ასეთი ასზოგადოება დაარსდება ქ. თბილისში. საზოგადოების მიზანია აღმოუჩინოს დახმარება როგორც ფულით, ისე ნატურით და შრომით ყველა გაჭირვებულთ, რომლებიც ვერ იღებენ დახმარებას სოც. უზრუნველყოფის და სოც. დაზღვევის ორგანოებიდან. საზოგადოება მიზნათ ისახავს აგრეთვე დაარსოს საინვალიდო და საბავშო სახლები, გახსნას უფასო სასადილოები, მოაწყოს შრომის არტელები და სხვ. ამავე საზოგადოებას დაეკისრება აწარმოოს ბრძოლა მათხოვრების წინააღმდეგ.

ის საშუალებები, რომელიც საჭიროა ამ საქმისათვის, უნდა გადაეცეს „თბილისის გაჭირვებულთა დამხმარე საზოგადოებას“. საჭიროა თვითეული შეგნებული მოქალაქე, თვითეული დაწესებულება და ორგანიზაცია ჩაეწეროს ამ საზოგადოების წევრად და გაიღოს თავისი წვლილი გაჭირვებულთა და უმწეოთა სასარგებლოდ.

აღნიშნულ საზოგადოების მოწყობისა და მისი ეკონომიური ბაზის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების შემდეგ საჭიროა ცხოვრებაში გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი: 1) სრულიად აკრძალულ უნდა იქნეს ქუჩაში მათხოვრობა. ამის შესახებ საჭიროა გამოიცეს სათანადო დადგენილება; 2) უნდა მოეწყოს სპეციალური კოლონია პროფესიონალურ მათხოვრებისათვის, სადაც შემოღებულ იქნება მათთვის იძულებითი შრომის რეჟიმი ერთი წლის ვადით. ამის შემდეგ ისინი გადაყვანილ იქნებიან შრომის კოლექტივებში ან სპეციალურ სახელოსნოებში; 3) საჭიროა გაიხსნას რამოდენიმე სახელოსნო, სადაც ჯანმრთელ მათხოვრებს შეასწავლიან სხვადასხვა ხელობას; 4) მათხოვრები რომლებიც სცხოვრობენ თბილისში 5 წელზე მეტი და რომელთაც არ აქვთ დაკარგული შრომის უნარი, მოთავსებულ უნდა იქნენ შრომის არტელებში და კოლექტივებში; 5) საქართველოს მაზრებიდან ჩამოსული მათხოვრები უნდა გადაიგზავნონ თავიანთ სოფლებში. მათი შენახვა საჭიროა დაეკისროს გლეხკომებს ან ახლობელ ნათესავებს; 6) სოციალურად საშიში მათხოვრები, რომელთაც კავშირი აქვთ ბოროტმოქმედ წრეებთან, საჭიროა გადაეცეს სათანადო დაწესებულებებს; 7) დაავადებული მათხოვრები მოთავსებულ უნდა იქნენ სათანადო სამკურნალო დაწესებულებებში; 8) მათხოვრები, რომელთაც აქვთ შრომის დაწესებული სტაჟი ან დასახიჩრებული არიან ომში, აყვანილი უნდა იქნენ სოც. უზრუნველყოფაზე და დაენიშნოთ ყოველთვიური პენსია.

აი, მოკლეთ ის ღონისძიებანი, რომლებიც გატარებულ იქნება თბილისის გაჭირვებულთა დამხმარე საზოგადოების მოწყობის შემდეგ. ეჭვს გარეშეა, რომ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების დახმარებით და მოსახლეობის ფართო წრეების მონაწილეობით მათხოვრობის წინააღმდეგ ბრძოლას წარმატებით ვაწარმოებთ.

ქ. ხომერიკი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ყაჩაღების შეპყრობა

ქუთაისი, 27 მაისი. შეპყრობილია 9 ყაჩაღი, რომლებიც მოქმედებდენ ქუთაისის მაზრის ვანისა და სამტრედიის თემებში, სადაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შიშის ზარს სცემდენ მოსახლეობას. შეპყრობილი ყაჩაღები აღმოჩნდნენ: გ. თევზაძე, რომელიც ჯერ კიდევ მენშევიკების დროს იყო მიცემული პასუხისგებაში ყაჩაღობისათვის. **მინაშვილი, გიორგი თევზაძე, ე. ადეიშვილი, ა. გიორგაძე, ქ. კაცაძე, პ. მეფარიშვილი, გ. თევზაძე და ვ. თევზაძე.**

ყველა შეპყრობილი ყაჩაღები მოთავსებული არიან გამასწორებელ სახლში (ადს).

ახალი ხიდი

ქუთაისი. 27 მაისი. ოსეთის სამხედრო გზის მე-116 ვერსზე რაჭის სამაზრო აღმასკომმა დაასრულა ახალი ჩამოკიდებული ხიდის აგება. ხიდის სიგრძე უდრის 20 საჟენს. გარდა ამისა რაჭის აღმასკომმა დაამზადა მასალა და შეუდგა ხის ხიდის აგებას მდ. გარიულაზე ქალაქ ონთან. ამ ხიდს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მაზრისათვის. რადგან ის აერთებს მდინ. გარიულას მარჯვენა მხარეს მარცხენა მხარესთან (ადს).

ქალაქ ონის კეთილმოწყობა

ქუთაისი, 27 მაისი. რაჭის სამაზრო აღმასკომმა წესრიგში მოიყვანა დალორღილი და დატკეპნილი ქუჩები; გარდა ამისა 2 ვერსის მანძილზე შეაკეთა მისასვლელი გზები. ყველა ეს სამუშაო შესრულებულია შრომის ბეგარის წესით და მასზე დაიხარჯა 6.000 მანეთი (ადს).

მუშები კურორტებზე

ფოთი, 27 მაისი. ფოთის ქალაქის დამზღვევმა სალარომ წელს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაგზავნა 190 მუშა-მოსამსახურე (ადს).

კურორტი შოვი

ქუთაისი, 27 მაისი. კურორტ შოვში დასრულდა 54 ოთახიანი სანატორიუმის აშენება. შენობა აგებულია ფიჭვნარ ტყეში. კურორტზე შეუდგენ წყალსადენის გაყვანას და დიდი საბანაო აუზის მოწყობას. აუზის მოედანი უდრის 100 კვადრ. მეტრს (ადს).

ჯებირის აგება

ქუთაისი, 25 მაისი. მდ. რიონზე ქალაქ ონთან 30 საჟენის სიგრძეზე გაკეთებულია ჯებირი. რაც ამაგრებს მდინარის ნაპირებს. სამუშაო შესრულებულია შრომის ბეგარის წესით.

წერილები

თემსაბჭოს სექციების მუშაობის შესახებ

თემის საბჭოებში თითქმის ყველგან არის გამოყოფილი სხვადასხვა სექციები, როგორიცაა საგზაო სექცია, განათლების, სამშენებლო და სხვ. ეს სექციები მეთაურობენ თემში გზების გაყვანას და შეკეთებას, სწავლა - განათლების საქმეს და სხვ. ბევრ თემში სექციების მუშაობა ნაყოფიერია. სექციების ნაყოფიერი მუშაობით ორი ერთი და ორი ჩამორჩენილი სოფელი მოღონიერდა, წამოდგა ფეხზე.

მაგრამ ყველგან ერთნაირ სიფხიზლის და მუყაითობას როდი იჩენენ სექციები. ზოგიერთ თემში საბჭო გამოყოფს სექციას და საქმეც ამით თავდება, სექცია არაფერს არ აკეთებს, სიცოცხლის ნიშანს არ იძლევა, სოფლისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. ეს აიხსნება მით, რომ სექციების ხელმძღვანელებათ ხანდახან არ გაყავთ აქტიური ამხანაგები, რომელთაც უმუშავიათ სოფლის საზოგადოებრივ ასპარეზზე, იცნობენ სოფლის ცხოვრებას და მის ავ-კარგს.

გარდა ამისა თვით საბჭოებიც ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას სექციებს, არ ადევნებენ თვალყურს მათ მუშაობას. ხშირად მთელი წლის განმავლობაში საბჭო არ ისმენს სექციის მოხსენებას თავის მუშაობის შესახებ. საბჭო არ იცნობს რა გეგმები აქვს დასახული ამა თუ იმ სექციას მომავლისათვის.

საბჭომ სწორი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს სექციების მუშაობას; იმ სექციას წინააღმდეგ, რომელიც არაფერს არ აკეთებს ზომები უნდა მიიღოს, სექციაში უფრო ფხიზელი და მომქმედი ძალები უნდა შეიყვანოს და ამით გამოაცოცხლოს მისი მუშაობა. სექციების მუშაობაში უსათუოდ ჩაბმული უნდა იქნეს სოფლის ინტელიგენცია - მასწავლებელი, აგრონომი, ექიმი, ფერშალი და სხვ. საბჭო სისტემატიურად უნდა ისმენდეს სხვადასხვა სექციების მოხსენებას თავის მუშაობის შესახებ.

ამ ზომებით ჩვენ შევსძლებთ სექციების გამოცოცხლებას, რითაც ხელს შეუწყობთ სოფლად აღმშენებლობის განვითარებას, კულტურულად დაწინაურებას.

მ—ი.

წერილებიდან

ძლიერი ნიაღვარი (სოფ. ახალგორი, ცხინვალი). 24 მაისს მოვიდა ძლიერი წვიმა და სეტყვა, რამაც სოფელს დიდი ზარალი მიაყენა. ნიაღვარმა წაიღო ბაღ - ბოსტნები, ვენახები და სხვ. ნიაღვარმა აგრეთვე მთლად გაავსო სოფ. კოტის ხევის სახლები მიწით. კარგი იქნება თუ აღმასკომი მიიღებს ზომებს დაზარალებულთა დასახმარებლად.

ხ. ოვაშვილი.

უწესრიგობა თეატრში (ზესტაფონი, შორაპნის მაზ.). ზესტაფონში არის ორი თეატრი-ქალაქის და პროფკავშირების. ამ თეატრებში წარმოდგენის დროს დიდი უწესრიგობაა—ყვირილი, ხშირად ჩხუბიც იმართება და სხვ. ადმინისტრაციამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და წესრიგი დაიცვას.

ვ. ლენინელი.

ვენახის ახალი ჭირი (სოფ. კარდანახი). როდესაც ვაზმა კვირტი გამოიღო მოიკვანტა და აღარ იზრდება ფოთოლი. ასეთ მდგომარეობაშია ვენახების 75 პროცენტი. გლეხები დაღონებული არიან. მრჩეველ - დამრიგებელი არავინ არ არის. არის აქ აგრონომი, მაგრამ ის უმთავრესად სახალხო მამულში მუშაობს და გლეხობასთან კავშირი არ აქვს. საჭიროა გამოიგზავნოს [illegible] აგრონომი.

ვ. მაი.

მისაბაძი მაგალითი (სოფ. ნიკორწმინდა, რაჭა). ნიკორწმინდის მცხოვრებლებმა სამუდამოდ მოსპეს რელიგიური დღესასწაულების ნიკოლოზობის და პეტრე - პავლობის გადახდა. გლეხობამ დაადგინა საეკლესიო დღესასწაულის მოსპობის აღსანიშნავად მოწყობილი იქნას ნიკორწმინდაში [illegible].

გლეხები სთხოვენ მეზობელ თემ - აღმასკომებს, აცნობონ ეს თავიანთ თემში მცხოვრებ გლეხებს. ნიკორწმინდის გლეხები დარწმუნებული არიან, რომ მეზობელი სოფლები ასე შეგნებულად მიბაძავენ ნიკორწმინდელებს და თვითონაც მოსპობენ დღესასწაულებს.

ქოხ - სამკითხველოს ნაკლი (სოფ. კარდანახი, სიღნაღის მაზ.). ქოხ - სამკითხველოში გაზეთები კი მოდის, მაგრამ არ არის ისეთი ჟურნალი, როგორიცაა „საუნჯე“ და სხვ. არ გვაქვს საკმაოდ წიგნები სოფლის მეურნეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ნაკლი: სამკითხველოდან ზოგიერთებს ერთად გააქვთ 10—12 წიგნი და დანარჩენები უწიგნოთ რჩებიან. გარდა ამისა სამკითხველოში რუსული წიგნები მეტია ვიდრე ქართული. ამ ნაკლის გამოსწორება აუცილებელია.

ვ. მათიაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **სკოლის შენობა.** ზედა - სიმონეთში (ქუთ. მაზრა) წელს დამთავრდება შვიდწლედისათვის ახალი შენობის აგება.

— **სენაკის საკრედიტო ამხ-ბამ** გადასწყვიტა ააგოს აბრეშუმის პარკის ფარდული.

— **კედლის გაზეთი.** სოფ. წყების (სენაკის მაზრა) სამკითხველოსთან გამოდის კედლის გაზეთი „მეურნე“-ს სახელწოდებით.

— **არხების გაყვანა.** ლანჩხუთის რაიონის მცხოვრებლები მთავრობის დახმარებით შეუდგენ ჭაობების ამოშრობას და არხების გაყვანას.

— **ვენახების ახმობა.** სოფ. საროში და ხიზაბავრაში რაღაც ავადმყოფობამ ვენახები სავსებით გაახმო. სწარმოებს ამ ავადმყოფობის შესწავლა.

— **ტრაქტორი.** შორის თემის (გორის მაზრა) გლეხობამ გადასწყვიტა შეიძინოს მცირე ტრაქტორი.

— **გეგმაზე გაშენება.** სოფ. ალვანის (თელ. მაზრა) საბჭოს დადგენილებით სოფელში ახალი სახლების აგება სწარმოებს გეგმაზე.

— **ჭრა-კერვის სკოლა.** მეჯვრის ხევში (გორის მაზრა) ქალთა წრემ გახსნა ჭრა-კერვის სკოლა.

— **საფერშლო პუნქტი.** სოფ. ამაღლების თემში (ოზურგეთის მაზრა) დაარსდა საფერშლო პუნქტი.

—**ნათესების დაზარალება.** ახალგორის რაიონში (ოსეთი) შემოდგომის ნათესები სავსებით განადგურებულია მუდმივი წვიმების გამო.

მუშათა ცხოვრება

საოჯახო საღამო

(მუშათა ახალ კლუბში)

21 მაისს კოლოფების ქარხნის „ინტერნაციონალი“-ს ადგილკომმა, კულტკომისიასთან ერთად, მუშათა ახალ კლუბში (მბეჭდავთა კავშირის) მოაწყო საოჯახო საღამო.

ქარხნის მუშები ამ საღამოს თავიანთ ოჯახის წევრებით სიხარულით მოეშურებოდენ კლუბისაკენ.

საღამოს 9 საათზე დარბაზი უკვე სავსე იყო მუშებით, რომლებიც მოელოდენ წარმოდგენის დაწყებას. დარბაზში გრიალებდა მუსიკა.

პირველად იწყება ცოცხალი გაზეთების კითხვა მბეჭდავთა კავშირის ლურჯ-ხალათიანთა წრეების მიერ, რომლებიც სრულდება ცალ-ცალკე ქართულად, რუსულად და სომხურად. მათ კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს მუშებზე. განყოფილების დამთავრების შემდეგ უკრავს მუსიკა.

შემდეგ მსახიობების მიერ შესრულებული იქნა სამხიარულო ნომრები. ბოლოს იმართება ცეკვა, რითაც საღამო თავდება.

მუშები კმაყოფილნი დაიშალენ.

უნდა აღვნიშნო ერთი ნაკლი. დარბაზში, სადაც ჩვენი საღამო იყო მოწყობილი (საერთოთ ყველა საოჯახო საღამოები აქ იმართება) გამართული იყო ბუფეტი, რომელსაც ეჭირა დარბაზის ერთი მესამედი ნაწილი. ეს ბუფეტი ძალიან უშლიდა ხელს საღამოს ნორმალურ მსვლელობას, წარმოდგენის მსვლელობის დროს თითქმის არაფერი ისმოდა, ვინაიდან ბუფეტიდან დიდი ხმაურობა გამოდიოდა.

ვანო.

მეტი კავშირი ადგილებთან

ზაკტპოს გამგეობას კავშირი კოოპერატიულ აქტივთან და სავაჭრო წერტებთან უჭირავს ინსტრუქტორთა საშუალებით, რომელთა რიცხვი სულ ექვსია. ეს ექვსი კაცი ვერ სწვდება „ზაკტპოს“ მოქმედების მთელ ხაზს 200 ვერსის მანძილზე და ამიტომ ზოგიერთ უბნებში ინსტრუქტორის სტუმრობა იშვიათი მოვლენაა. ეს ევნება ზაკტპოს სავაჭრო წამოწყებათა მუშაობას და კერძოდ სადუქნო საკონტროლო კომისიების საქმიანობას.

საკონტროლო კომისიები სულ არის 74, რომლებიც ითვლება 660 წევრი. სათანადო ხელმძღვანელობით წყალობით, ამ კომისიებს დიდი დახმარების გაწევა შეეძლოთ ზაკტპოს ადგილობრივ წერტების მუშაობისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საკონტროლო კომისიების ხელახალი არჩევნები აგერ ეხლა დასრულდა და მათი შემადგენლობა მნიშვნელოვნად განახლებულია. არიან მართალია საკმაოდ მომზადებული ამხანაგები, რომლებიც რიგიანათ მუშაობენ გამგეობასთან, მაგრამ კავშირის უქონლობა ხალისს უკარგავს მათ. აღსანიშნავია ისიც, რომ შენიშვნების წიგნს გამგეობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს. საკონტროლო კომისიები ხედავენ რა, რომ მათ შენიშვნებს და წინადადებებს ყურადღებას არავინ არ აქცევს—შეამცირეს სხდომები. აუცილებელია, რომ გამგეობამ ინსტრუქტორთა რაოდენობა გაადიდოს და ხაზთან ცოცხალი კავშირი გააძლიეროს.

კოოპერატორი.

საყურადღებო წვრილმანი

— **წყალი არ არის.** მთაწმინდის უბანში [illegible] შესართავის ქუჩაზე არ არის წყალსადენი. ამ ქუჩის მცხოვრებთ წყალი ყიფიანის ქუჩიდან მოაქვთ. რას იტყვის წყალსადენის სამმართველო?

მოწყურებული.

— **„დაისვენეს“.** გემო-კვების მეოთხე ფაბრიკაში გაერთიანებულმა მუშა-მოსამსახურეებმა ჩინებულად „დაისვენეს“ ორ მაისს. ისინი გაემგზავრენ ნაძალადევის ტყეში, გაილეშენ ღვინით და შემდეგ ერთი მეორეს თავ-პირი დაულეწეს. ეხლა საქმე სასამართლოშია და ალბად ზოგიერთები [illegible] „მოისვენებენ“. დასასვენებელი დღეები დასვენებისათვის არის და არა მუშტი-კრივში ვარჯიშობისათვის. ეს ყველაზე უკეთ უნდა ესმოდეს კავშირის წევრებს და ფაბრკომს.

წი—ლდა.

— **ონკანი არის, წყალი არ არის.** მუშათა უბანში, ნაძალადევში, ლოტკის ქუჩაზე არის ერთი წყალსადენი მილი, რომელიც იღება დილის 7 საათზე და იკეტება ისევ დილის 9 საათზე. მართალია აქვე ახლოს არის კიდევ მეორე ონკანი, რომელიც დღე და ღამ ღია არის, მაგრამ უბედურობა იმაშია, რომ ამჟამად სწარმოებს ბაღების რწყვა, რის გამოც ძლიერ ხშირად წყალი ამ თავისუფალ ონკანში არ არის. ონკანთან დგას ხოლმე უშველებელი რიგი. საჭიროა რათა წყალსადენის გამგეობამ ეს ონკანი საღამოთიც გააღოს.

ირგურ.

— **რატომ არ სწერენ კავშირში.** რკინის გზის სამმართველოში არის გახსნილი ბუფეტი. ამ ბუფეტში მუშაობს 13-მდე ქალი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ორი წელია მსახურობს, არც ერთი მათგანი დღემდე არ არის ჩარიცხული პროფკავშირში. ჯამაგირს ისინი თვეში იღებენ 30 მანეთამდე. მაგრამ თუ რამე ნისია დაეკარგა ბუფეტის მოიჯარადრეს, ეს უნდა აანაზღაურონ მოსამსახურეებმა. რა არის ეს თუ არა ექსპლოატაცია?

მუშკორი ძია—ლევან.

— **დაუშვებელი დაუდევრობა.** (რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ). სადგ. ნავთლუღში ორთქლმავლების დიდი სამიმოსრო (სამანევრო) პუნქტია, როგორც განმრიგებელი სადგური აქ დღე და ღამ მიმოსვლაში განუწყვეტლივ მუშაობს ოთხი ორთქლმავალი. მიუხედავად ასეთი მოძრაობისა გარდა პირველ და მეორე ხაზისა ისრით ყვანაზე არ არის გაკეთებული ე. წ. „ბენდერის“ საისრე მაშუქი. უამისოდ მემანქანეებს ღამ-ღამობით ძლიერ უძნელდებათ მუშაობა. საისრე მაშუქს დიდი მნიშვნელობა აქვს სამიმოსრო წესიერ და უმარცხოთ მუშაობისათვის; თუ დროზე არ იქნა მიქცეული ყურადღება, მოსალოდნელია მარცხი.

ძია—ლევან.

— **„პრინციპი“-ს კაცი.** 22 მაისს ტრამვაი № 17 (მარშრუტი № 12) ბაქანზე შევიდა ერთ-ერთი მგზავრი. ვატმანმა მას დაუწყო ყვირილი და აიძულა სხვა ადგილზე გადასულიყო. ბაქანზე იყო ერთი მგზავრი.

მუშკორი—რადიუმი.

— **ლოთი საქმის მწარმოებელი.** ბორჯომის დამზღ. სალაროს საქმის მწარმოებელი ლოთობს. მას იშვიათად ნახავთ სამსახურში.

საჭიროა ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას მიექცეს ყურადღება.

ბორჯომელი მეთვალყურე

— **მუშათა საკონტროლო კომისიები.** 24 მაისს [illegible] მუშათა კოოპერატივის შენობაში შესდგა კრება, სადაც მოწვეული იყვნენ სხვადასხვა ქარხნების მუშებიც. კრებაზე არჩეულ იქნა კომისიები მუშათა კოოპერატივის მაღაზიებისათვის. ამ კომისიებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ როგორ ტარდება ფასების დაკლება მუშკოოპის მაღაზიებში. კომისიებზე მუშებთან ერთად არჩეულ იქნენ ანგარიშის მცოდნე პირებიც.

იმედია კომისიის წევრები გაამართლებენ მათზე დამყარებულ იმედებს.

ა. ბაჯ.

ჩვენი მიწერ-მოწერა

—**საბჭოს წევრს.** „ბავშვთა გასეირნება“ არ დაიბეჭდება.

— **ნაპერწკალს.** „სასიამოვნო საქმე“. არ დაიბეჭდება.

— **ზ—შვილს.** „ვინ ისჯება და ვინ უნდა დაისაჯოს“ მოათავსეთ კედლის გაზეთში.

— **სამტრედია. ი. ჭანკაძეს.** საკითხი [illegible] სათანადო პროფკავში- [illegible]

— **მაყურებელს.** თქვენი წერილი გადაეგზავნა აღმასკომის „უქსის“ გამგეს ამხ. კალანდაძეს.

— **ლ. ჯავახიშვილს.** შემოიარეთ რედაქციაში.

— **იპ. გურულს.** (ხაშური). თქვენი პატარა ფელეტონი გადაეცა ტარტაროზის რედაქციას.

— **მტვირთველ მუშას.** თქვენ მიერ აღძრულ საკითხზე უკვე იყო მოთავსებული წერილი [illegible]

სარვანის ველის მორწყვა

მორწყული იქნება 10.0000 დესეტინაზე მეტი.—ველის მოსარწყავად შემუშავებულ ვარიანტებიდან გაიმარჯვა ე. წ. „მოცხრინავის“ ვარიანტმა.—მთელი სამუშაოები დაჯდება 5 მილ. მანეთამდე.—წინასწარი სამუშაოები ველის მოსარწყავად დამთავრდა

გასული წლის ნოემბრიდან წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა სარვანის ველის (სოღანლუღის ველი) მოსარწყავად წინასწარი სამუშაოების შესრულებას. საველე სამუშაოებზე ყოველდღიურად მუშაობდა 30 მუშა და 7 ტეხნიკოსი. გამოკვლევებს ხელმძღვანელობას უწევდა ინჟ. ი. მჭედლიშვილი.

სულ სარვანის სარწყავი სისტემით მორწყული იქნება 10 — 12 ათასი დესეტინა მიწა. მთავარი არხის გამოსაყვანად შემუშავებული იყო ორი ვარიანტი: ერთი ვარიანტით მთავარი არხის სათავე დაიწყებოდა სოფ. შავსაყდართან, მდინარე ალგეთზე. აქედან წყალს გაიყვანდენ სოფ. კოდას მიმართულებით და მინდვრების მორწყვის შემდეგ წყალი არხის საშუალებით შეუერთდებოდა მდ. მტკვარს, ალგეთის ველის ბოლოს.

მეორე ვარიანტით, მთავარი არხის სათავე დაიწყებოდა იმავე მდ. ალგეთიდან მოხვრინავის (ადგილის სახელწოდება) ახლო. აქედან გამოსული არხი გაივლის სოფ. ბორბალოში, ვაშლოვანში, შუხუთში, მარაბდაში, კუმისში, წალასკურში, თელეთში და სოღანლუღთან შეუერთდება მდ. მტკვარს. მეორე ვარიანტის მიხედვით მორწყული იქნება მთელი ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ერთის მხრივ მდ. მტკვარიდან მდ. ალგეთის შესართავს შემოთ და მეორეს მხრივ ერევნის რკინისგზის ხაზებს შორის. ამავე ტერიტორიაზე საველე მუშაობის ჩატარების დროს ტეხნიკური პარტია წააწყდა ძველათ არსებული სარწყავი სისტემის ნიშნებს.

ამ ადგილას ძველ დროში გაყვანილი ყოფილა სარწყავი არხები და ტბის - ხევთან ამჟამადაც არსებობს დიდი წყალსაცავი აუზის ნაშთი. ძველი სარწყავი სისტემის გაყვანის თარიღი არაა გამორკვეული, მაგრამ იგი უნდა ეკუთვნოდეს მეჩვიდმეტე — მეთვრამეტე საუკუნეს.

მეორე ვარიანტი, დამუშავებული ინჟ. მჭედლიშვილის მიერ, მიიღო წყალთა სამმართველომ. ამ ვარიანტით სამუშაოთა შესრულება უფრო იაფი ჯდება და მეორეს მხრივ სარწყავი ტერიტორიაც მეტი გამოდის. ვინაიდან ზაფხულობით მდ. ალგეთზე წყალი ძლიერ კლებულობს და შესაძლებელია მორწყვისათვის აღარ ეყოფოდეს მდინარის წყალმა, ამიტომ მეორე ვარიანტით გათვალისწინებულია ძველი წყალსაცავი აუზის ადგილას ახალი წყალსაცავი აუზის მოწყობა. ეს აუზი დაიტევს 67 მილიონ კუბ. მეტრ წყალს. აუზში დაგროვდება წყლის დიდი მარაგი, რომელიც საჭიროების დროს გაშვებულ იქნება სარწყავ სისტემაში.

ამჟამად საველე სამუშაოები სავსებით დამთავრებულია და სწარმოებს შეკრებილი ცნობების დამუშავება საბოლოო პროექტის შესამუშავებლად.

ველის გამოკვლევის დროს შეგროვილ იქნა ბოტანიკური, გეოლოგიური და ტოპოგრაფიული ხასიათის ცნობები. მთავარი მაგისტრალური არხის გასაყვანი ადგილი გამორკვეულია. ამ მაგისტრალის სიგრძე იქნება 50 კილომეტრამდე.

მუშები კურორტებზე

ამიერ - კავკასიის სოცდაზღვევის მთავარი სამმართველოს სამკურორტო განყოფილებაში შემდეგი განაცხადეს მიმდინარე ზაფხულო სეზონში მშრომელთათვის საკურორტო დახმარების აღმოჩენის შესახებ:

სოცდაზღვევის მთავარმა სამმართველომ მიმდინარე სეზონისათვის იჯარით აიღო სანატორიუმები ქობულეთში, „არაზინდო“ აბასთუმანში, დილიჟანში (სომხეთი), და ჩრდილო - კავკასიაში — პიატიგორსკში, ესენტუკში, ჟელეზნოვოდსკში და კისლოვოდსკში.

საკურორტო დახმარების გეგმით, სოცდაზღვევის მთავარმა სამმართველომ 1926 წლის 1 ოქტომბრიდან და 1927 წლის 1 ოქტომბრამდე ყველა ამ კურორტები უნდა გაატაროს 3.821 კაცი.

ზამთრის სეზონის განმავლობაში გატარებულ იქნა 1.047 კაცი და მაშასადამე ზაფხულის სეზონისათვის რჩება 2.774 კაცი. ამათი გაგზავნა უკვე დაიწყო პირველი მაისიდან.

„არაზინდოში“ სულ გაიგზავნა 677 კაცი, ქობულეთში 400, დილიჟანში 150, არზნის კურორტებზე (სომხეთი, ერევნის მახლობლად) 16 კაცი, კისლოვოდსკში 720, ესენტუკში 435, პიატიგორსკში 48, ჟელეზნოვოდსკში 63. რაც შეეხება დარჩენილ 265 კაცს, ჯერ - ჯერობით გამოურკვეველია, თუ სად გაიგზავნებიან ისინი; მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ისინი, ალბად, გაიგზავნებიან ლიბანის სანატორიუმში.

საქართველოდან ზაფხულის განმავლობაში გაგზავნილ იქნება 636 კაცი (ზამთრის სეზონში გაგზავნილებთან ერთად 1.068), აზერბეიჯანიდან 1.916 კაცი (ზამთრის სეზონში გაგზავნილებთან ერთად 2.471), სომხეთიდან 187 (ზამთრის სეზონში გაგზავნილებთან ერთად 240). გარდა ამისა, სასწრაფო საჭიროებისათვის კურორტებზე გამზადებულია 42 ადგილი.

ავადმყოფთა გადაყვანის გასაადვილებლად რკინისგზასთან დაიდო შეთანხმება იმის შესახებ, რომ ბილეთები ავადმყოფებს მიეცეს ყოველგვარი რიგის გარეშე; დიდი ჯგუფების გაგზავნის დროს ავადმყოფებს ეძლევა ცალკე ვაგონები.

ავადმყოფების გაგზავნა აბასთუმანში და „არაზინდოში“ ბორჯომიდან სწარმოებს „ზაკავტოპრომტორგის“ ავტომობილების საშუალებით, რომელთანაც აგრეთვე არის დადებული შეთანხმება იმის შესახებ, რომ იგი ავტომობილებს პირველ მოთხოვნილებისთანავე აწვდის ავადმყოფებს ყოველგვარ რიგს გარეშე. ავადმყოფებს ეძლევა სპეციალური მოწმობა მგზავრობისათვის.

ბორჯომში ავადმყოფებისათვის მოწყობილია სპეციალური საევაკუაციო პუნქტი, რომლის გამგეს ევალება იზრუნოს ავადმყოფების გაგზავნაზე მატარებლით და ავტომობილით. ქობულეთშიაც არის მიღებული ზომები იმისათვის, რომ ავადმყოფებს გაუადვილდეს სადგურიდან სანატორიუმამდე მისვლა.

იმ ავადმყოფებს, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში იგზავნებიან, ეძლევათ განსაკუთრებული მოწმობები, რომლითაც მათ ეძლევა უფლება უფასოდ მიიღონ სამგზავრო ბილეთები.

სოცდაზღვევის მთავარმა სამმართველომ „არაზინდოს“ და ქობულეთის სანატორიუმებთან დაუდო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ავადმყოფების შენახვის, მკურნალობის და კვების ყველა პირობებს. კვება ყოველ დღე უნდა შეიცავდეს არა ნაკლებ 5.000 კალორიას.

რაც შეეხება დასასვენებელ სახლებს, ამ სახლებში მთელ ამიერ - კავკასიაში გაიგზავნება 16.016 კაცი. რესპუბლიკების მიხედვით ეს რიცხვი ასე ნაწილდება: საქართველოდან 4.619 კაცი, აზერბეიჯანიდან 10.497 კაცი და სომხეთიდან 900 კაცი. სამგზავრო ხარჯს დასასვენებელ სახლებამდე იხდიან თვითონ დასასვენებლად გამგზავრებულნი, მხოლოდ იმ მუშებისა და მოსამსახურეების გამონაკლისით, რომელთაც მცირე ხელფასი აქვთ და დასასვენებელი სახლი მნიშვნელოვან მანძილზეა დაშორებული მათი საცხოვრებელი ადგილიდან.

ლენინგრადის ტეხნ. ინსტიტუტის 100 წლის თავი

1928 წლ. 11 დეკემბერს სრულდება ლენინგრადის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის დაარსებიდან 100 წელი.

ტეხნოლოგების საიუბილეო კომისიამ ორგვარი მიზანი დაისახა:

1. დაახასიათოს ტეხნოლოგების მონაწილეობა საბჭოთა რესპუბლიკების მრეწველობის განვითარებაში და 2. შეკრიბოს მოკლე ცნობები იმ პირთა შესახებ, რომელთაც ლენინგრადის ტეხნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრეს.

ცნობები მოთავსდება სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოცემულ საიუბილეო კრებულში.

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების საიუბილეო კომისიის წინადადებით შემდგარია საიუბილეო ქვეკომისია, რომელშიაც შედიან თავმჯდომარედ: ინჟინერი გიორგი ვასილის ძე **ხარაჯიშვილი** (გზათა კომისარიატის ა.-კ. რწმუნებულის სამმართველოდან), წევრებად: ინჟინერები პ. გ. მამრაძე (საქართველ. [illegible] მეურნეობის სამმართველოდან) ნ. დ. ცინცაძე (საზ-ბა „სამშენი“-დან), ალ. ალ. ვახილიევი და გ. ს. მელიქ-ნუბაროვი (ზაჰესკომიდან). კომისია სთხოვს ყველა ამხანაგს, ვინც ლენინგრადის ტეხნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა, არა უგვიანეს ა. წ. 15 ივლისისა, ქვემო ნაჩვენები ფორმით, მოაწოდოს ცნობები კომისიის ერთ-ერთ წევრს.

1. გვარი, სახელი, მამის სახელი. 2. დაბადების წელი, 3. ინსტიტუტში შესვლის წელი, 4. ინსტიტუტის დამთავრების წელი, 5. რომელი ფაკულტეტი (განყოფილება) დაამთავრა, 6. მთავარი სპეციალობა, 7. სამსახურის ადგილი, 8. მისამართი, 9. ცნობები ინსტიტუტის დამთავრების შემდეგი დროის მოღვაწეობის შესახებ.

მთელი საინფორმაციო მასალა გადაეგზავნება ლენინგრადში საიუბილეო კომისიას კრებულში მისათავსებლად.

სასოფლო-სამეურნეო თათბირი აფხაზეთში

დასრულდა აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო თათბირი.

თათბირმა საჭიროდ არ სცნო შემდგომისათვის თამბაქოს ნათესების გადიდება აფხაზეთში იმ მოსაზრებით, რომ აფხაზურ თამბაქოს ფართო გასაღება საზღვარგარეთ მოსალოდნელი არ არის, ხოლო შინაურ ბაზარს არსებული თამბაქოს ნათესების სივრცეც აკმაყოფილებს. თათბირმა საჭიროდ სცნო თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესება.

თათბირმა დიდი ყურადღება მიაქცია სუბტროპიკული კულტურის გავრცელების საკითხს. მოსმენილ იქნა, საცდელ სადგურის გამგის კოზლოვის და პრაქტიკული ბოტანიკის ინსტიტუტის სოხუმის განყოფილების გამგის პროფ. კოსტეცკის მოხსენებები. მომხსენებლებმა აღნიშნეს ტეხნიკური კულტურების განვითარების დიდი შესაძლებლობა აფხაზეთში, თათბირმა მიზანშეწონილად სცნო სუბტროპიკული კულტურის გავრცელება აფხაზეთში. თათბირის მიერ აღძრული საკითხები დასამუშავებლად გადაეცა აფხაზეთის სახკომსაბჭოს სპეციალურ კომისიას.

წყალთა მეურნეობა

წყალთა სამეურნეო სესხის ფონდი და წყალთა სამეურნეო კოოპერაცია

ა.-კ. საგეგმო კომისიამ განიხილა პროექტები წყალთა სამეურნეო სესხის ფონდის და ამ ორგანოების დებულებათა შესახებ, რომელნიც ამ სესხს განაგებენ. ამავე საგეგმო კომისიის მიერვე განხილულია წყალთა სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი დებულებების პროექტი. პროექტები განხილულია მათი ამიერ-კავკასიის პირობებთან შეგუების თვალსაზრისით.

გადაწყვეტილია დაევალოს რესპუბლიკების საგეგმო კომისიებს მოიწვიონ დაინტერესებულ რესპუბლიკანურ ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი და ა. წ. 23 ივნისისათვის წარადგინონ თავიანთი მოსაზრებანი ამ პროექტების შესახებ.

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაევალა ამავე დროისათვის წარადგინოს თავისი მოსაზრებანი ამ პროექტების შესახებ.

პროექტების დამუშავების დროს საფუძვლად მიღებული უნდა იქნეს წყალთა სამეურნეო წარმოებათა თვითგამოსყიდვის პრინციპი.

წყალთა სამეურნეო გადასახადი

ა.-კ. საგეგმო კომისიამ წყალთა სამეურნეო გადასახადის დანიშნულებათ სცნო: საექსპლოატაციო ხარჯების დაფარვა და სახელმწიფოს მიერ ახალ წყალთა სამეურნეო ნაგებობათა მოსაწყობად დახარჯული თანხების აღდგენა, არსებულ ნაგებობათა გადაკეთება და წყალთა მეურნეობის სასამართლოების შენახვა.

რესპუბლიკის სათანადო ორგანოებს დაევალათ გამოარკვიონ, თუ სად უნდა იქნეს დაწესებული წყალთა სამეურნეო გადასახადი.

ცოფის ეპიდემია

პასტერის სახელობის ინსტიტუტში მოდის აუარებელი ცნობები, რომ რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებში მეტად გამრავლდა ცოფიანი საქონლის მიერ ადამიანთა დაკბენის შემთხვევები. როგორც ბათომის, სოხუმის და ქუთაისის პასტერის სადგურებში, ისე თბილისის პასტერის ინსტიტუტში გაიზარდა ავადმყოფების რიცხვი. მარტო თბილისში ამჟამად ექიმობს 200-მდე ცოფიანი საქონლისაგან დაკბენილი ავადმყოფი.

ამ ორი დღის წინეთ სად. გორის მახლობლად გაცოფდა ძროხები, რომელთა რძით მოიწამლა 7 კაცი. სოფ. ბულაურში (სურამის ახლო) ცოფიანმა ძაღლმა დალოკა 6 მოქალაქე. მაისის პირველ რიცხვებში სოფ. კვაცხუთში (რაჭის მაზრა) გაცოფდენ ძაღლები, რომლებმაც დაკბინეს რამოდენიმე კაცი.

პასტერის ინსტიტუტის ცნობით, ცოფის ასეთი ეპიდემია აიხსნება იმით, რომ შორეულ ადგილიდან გადმოსული არიან ცოფიანი ნადირები, რომლებმაც ცოფი გადაადვეს საქონელს. ჩვეულებრივათ ძაღლებს ცოფი ძალიან გვიან გამოაჩინდება. საფიქრებელია, რომ ზამთარში ბევრი ძაღლი დაცოფიანდა და ავადმყოფობა მათ სიცხეში გამოაჩინდა. ცოფის ასეთის ეპიდემია უკანასკნელი წლების განმავლობაში შესამჩნევი ხდება, როგორც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, ისე რუსეთში და უცხოეთში.

პასტერის ინსტიტუტში ამჟამად აწარმოებს მუშაობას ისეთი სამკურნალო საშუალების დასამზადებლად, რომ შესაძლებელი აღმოჩნდეს დახმარების აღმოჩენა ცოფით დაავადებულთათვის თვით სოფლებში. ეს ძალიან რთული ამოცანაა და თუ მოხერხდა მისი გადაჭრა,— ცოფის ეპიდემია [illegible] იქნება [illegible]

სვანეთის სიმდიდრეთა შესწავლა

27 მაისს, სვანეთში გაემგზავრა სამთო მრეწველობის ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. **ელბაქიძე** და გეოლოგი **ბახტაძე**. მათი გამგზავრების მიზანია სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრეების და მადნეულობის შესწავლა.

სამთო მრეწ. ტრესტის ცნობით, სვანეთში მოიპოება ტყვიის, აზბესტის, გრაფიტის და გოგირდის ალბადანის მადნები. მიმდინარე ზაფხულზე აღნიშნული მადნები დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი, რომ მომავალში შესაძლებელი გახდეს საექსპლოატაციო სამუშაოების დაწყება. გარდა ამისა არის ცნობები, რომ სვანეთში მოიპოება ოქრო ნარევი მადნები. გეოლოგ ბახტაძეს დავალებული აქვს შემოიაროს ყველა რაიონები და გამოარკვიოს სად რა მადანი მოიპოება.

ამხ. ელბაქიძე და ბახტაძე სვანეთში დაჰყოფენ ივნისის ბოლომდე.

ინფუზორიტის გატანა

სამთო მრეწველობის ტრესტს განზრახვა აქვს სასწრაფოდ შეუდგეს საინფუზორიო მიწის მადნების ექსპლოატაციას და გაიტანოს ინფუზორიტი საბჭოთა კავშირის ბაზარზე.

ინფუზორიტის მადნების გამოკვლევა სამთო მრეწველობის ტრესტმა მიანდო ინჟ. ყიფიანს.

პატარა ფელეტონი

უკანასკნელი ნოტა

მისტერ ჩერჩილ, ჩემბერლენ,
ბოულდუინო, ლემპსონ და ხიკს!
თქვენისთანა ბანდიტებთან
ლაპარაკი თუმც აღარ ღირს,
მაგრამ მაინც არ უყურებ
არც როზენგოლცს, არც ლიტვინოვს
და გიგზავნით მე ამ ნოტას
თქვენ შუბლ მაგრებს, თავ უტვინოს.
დღეის შემდეგ აღარ მოგწერთ,
არავითარს მე თქვენ ნოტას,
გადავრჩებით აწი მაინც
ჩემბერლენის ბოდვა-როტვას
ვსწყვეტ მე თქვენთან დიპკავშირსა;
მაგარ შუბლით ეგდეთ იქა,
ვიწვევ ყველა რწმუნებულებს.
დედანს აწერს ხელს

ხოზიკა.

P. S. მიიღეთ...
და სხვა მრავალი.
(წესი არის ეს და ვალი.
მე რომ თქვენთვის კარგი მინდა,....
ისემც დაგიდგებათ თვალი).

ხოზიკა.

საქართველოს ცაკში

ფონდიდან გაცემული დახმარებები და სესხი

სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: ოზურგეთის მაზრაში 1926 წლის პირველ ოქტომბრიდან 1927 წლის პირველ აპრილამდე გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებებს (გლეხკომებს) ფონდში შემოსავლით დაერიცხათ ფულით 22.849 მანეთი და 4 კაპ. ამ თანხიდან საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში გლეხკომებმა დახმარებათ დაურიგეს ინვალიდებს, ქვრივ - ობლებს, უმუშევრებით დარჩენილ წითელარმიელების ოჯახებს და ნივთიერად გაჭირვებულ პირებს 7.312 მანეთი და 85 კაპ. და ამ დროს განმავლობაში სათესლე მასალის შესაძენათ და მიწების დასამუშავებლათ სესხათ მისცა ღარიბ გლეხებს — 4.184 მანეთი და 97 კაპ.

ინვალიდები კოოპერატივში

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე ამხ. ქ. ხომერიკმა განკარგულება მისცა ქ. თბილისის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას — განყოფილებაში სოციალურ უზრუნველყოფაზე აყვანილ ინვალიდების საერთო რიცხვიდან დაჩქარებით გამოჰყოს და შეადგინოს პირველი, მეორე და მესამე ჯგუფის ისეთი ინვალიდების სია 150 კაცის რაოდენობით, რომლებიც ნივთიერად დიდ ხელმოკლეობას განიცდიან. ამ 150 კაცში 50 უნდა იყოს შრომის და 100 ომის ინვალიდი (150 ინვალიდში 25 პროც. ქალები უნდა იყვნენ). ეს 150 ინვალიდი კოოპერატივის ანარიცხების ხარჯზე ახლო მომავალში ჩარიცხული იქნება წევრებათ სამომხმარებლო კოოპერატივში და ყველა ამათ უფასოთ მიეცემათ საპაიო წიგნაკები.

პროფ. კორეიშას იუბილე

29 მაისს, სრულდება ლენინგრადის გზათა - მიმოსვლის ინსტიტუტის პროფ. ხ. დ. კორეიშას სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობის 50 წელი.

მიუხედავად ღრმად მოხუცებულობისა, ამჟამად პროფ. კორეიშა დაუღალავად განაგრძობს მუშაობას მთელ რიგ სამეცნიერო დაწესებულებებში.

ამიერ - კავკასიის რკინისგზათა გამგეობამ პროფესორს გაუგზავნა მისალოცი დეპეშა, რომელშიაც აღნიშნულია მისი დამსახურება ქვეყნის წინაშე ტეხნიკური ცოდნის გავრცელების საქმეში.

სახკომსაბჭოში

საძოვრების დამცველი მილიცია

მთა - დუშეთის საძოვრების დამცველ მილიციის შესანახი ხარჯის დასაფარავად 1927 წ. ივნისის 1-დან ნოემბრის 1-მდე, ფინსახკომის დასკვნის თანახმად, გადებულია 1.680 მანეთი.

ყაზბეგის სკოლის შენობის შეკეთება

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა დუშეთის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა ყაზბეგის სკოლის შენობის შემკეთებელი მუშების ხელფასის დავალიანების დასაფარავად დუშეთის სამაზრო აღმასკომის მიერ გაღებულია 3.617 მანეთის დაბრუნების შესახებ.

საბუღალტრო კურსების დებულების დამტკიცება

სახკომსაბჭომ დაამტკიცა გან. სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი “საბუღალტრო და ანგარიშ - წარმოების კურსები“-ს დებულების პროექტი.

სათევზაო ადგილების იჯარით გაცემის შესახებ გორის მაზრაში

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა გორის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა ლიახვისა და მტკვარზე (გორის მაზრის ტერიტორიაზე) სათევზაო ადგილების იჯარით გაცემის აკრძალვის შესახებ, რათა ადგილობრივ მოსახლეობას არ მოესპოს აღნიშნულ ადგილებით თავისუფლად და ფასგადაუხდელად სარგებლობის საშუალება.

კრედიტების აღდგენა

სახკომსაბჭომ საჭიროთ სცნო ეთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს მოახდინოს სათანადო განკარგულება, რათა აღდგენილ იქნეს სახელმწიფო გამომცემლობის კრედიტები: აფხაზეთისათვის— 12.000 მან., აჭარისტანისათვის — 8.000 მან. და სამხრეთ - ოსეთისათვის — 5.000 მან. რაოდენობით.

თამბაქოს ნათესები

აჭარისტანში

თამბაქოს ნათესების სივრცე აჭარისტანის მეთამბაქოობის რაიონებში ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად წელს დათესილ იქნება სულ 500 დესეტინა მიწა, ე. ი. გასულ წელთან შედარებით 20 პროცენტით მეტი. მეთამბაქოეებს აგროკულტურულ დახმარებას უწევს აჭარისტ. წარმოკავშირი, რომლის მიერ სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლისათვის ყოველ მეთამბაქოე გლეხს თვითეულ დესეტინაზე მიეცეს მოკლევადიანი სესხი 300 მანეთის რაოდენობით. ამასთან ერთად ამავე ორგანიზაციის მიერ ჩაქვში და ბათომში გახსნილია მოკლევადიანი სპეციალური კურსები— გლეხებისათვის თამბაქოს და [illegible] კულტურის შესასწავლად.

კვირას, 29 მაისს, ახალ მუშათა კლუბის შენობაში შესდგება

საღამო ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის

არსებობის 5-წ. თავის აღსანიშნავად

საღამოს პროგრამა:

1 ამხ. **მილცინის** მოხსენება: „ჩვენი სექცია 5 წლის განმავლობაში.
2 მბეჭდავთა კავშირის ლურჯხალათიანების წრის —„ვინტიკ“-ის გამოსვლა ახალი პროგრამით.
3. ამხ. **მიხ. დანილოვის** ლიტერატურული გამოსვლა და სხვ.

საკონცერტო განყოფილებაში დაუკრავს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე 2—1

კვირას, 29 მაისს, ქ. ქუთაისში, პროფკავშირთა ცენტრალური კლუბში გაიმართება მუშკორთა, სამკორთა და ახკორთა საერთო საქალაქო

კონფერენცია

დღის წესრიგში:

1. მუშკორთა მოძრაობის ამოცანები.
2. გაზეთ „კომუნისტი“-სა და „მუშა“-ს რედაქციის მოხსენებანი.
3. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის დასასრულ მოხდება შეჯიბრი საუკეთ. კედლ. გაზეთზე.

კონფერენციას ესწრებიან. ცენტრალურ ორგანოთა კორესპონდენტები, კედლის გაზეთთა სარედაქციო კოლეგიათა წევრები და კორესპონდენტები.

კონფერენცია გაიხსნება დღის 5. საათზე.

ქრონიკა

მისალმება საქართველოს ცაკს და სახ. კომ. საბჭოს

საქ. ცაკმა და სახკომსაბჭომ შემდეგი მისალმებელი დეპეშა მიიღეს: „შორაპნის მაზრაღმასკომის მეორე გაფართოებული პლენუმი, რომელიც მოწვეული იყო 23 მაისს აღმშენებლობის მიწად მოწყობის და სოფლის მეურნეობის განვლილ მუშაობის შეჯამებისათვის და ახალი გეგმების და ღონისძიებათა დასასახავად, მხურვალე სალამს უგზავნის თავის მთავრობას და რწმენას გამოსთქვამს, რომ მისი ხელმძღვანელობით იგი დაუღალავად განაგრძობს მაზრის კეთილ მოწყობის საქმეს".

ა.-კ. საცივარის კომიტეტის ხარჯთაღრიცხვა

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ა.-კავკასიის საცივარის კომიტეტის ხარჯთ აღრიცხვა მიმდინარე წლის ოთხი თვისათვის (ივნისი-სექტემბერი) 5.000 მანეთის რაოდენობით. და წინადადება მისცა ამ.-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მოაწყოს აღნიშნული კომიტეტი არა უგვიანეს მიმდინარე წლის ივნისისა.

საცივარის კომიტეტის ხარჯების დასაფარავად შესაძლებლად იქნა ცნობილი ანარიცხების აღება საცივარის საქმისათვის გადადებულ საბიუჯეტო თანხებიდან.

ყვარელის სამალარიო სადგური

ყვარელის სამალარიო სადგური გადაიტანეს თელავში. ადგილობრივი აღმასკომი ამ ნაბიჯს სიხარულით შეხვდა და აღუთქვა სადგურს ყოველგვარი დახმარება.

წარმოებათა ბალანსი

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ წარმოებათა ბალანსების განხილვის საბოლოო ვადათ დააწესა ა.-წ. პირველი ივნისი.

ლითონის ქარხნების გაერთიანება

2 ივნისს, თბილისში მოელიან საკავშირო ს. მ. უ. ს. სპეციალურ კომისიას ინჟ. კუტსკის თავმჯდომარეობით. კომისიის ჩამოსვლის მიზანია საქართველოს ლითონის მრეწველობის შესწავლა და თბილისის ზოგიერთ ლითონის ქარხნების გაერთიანების საკითხის გამორკვევა.

კომისია თბილისში დარჩება რამოდენიმე დღე.

ა.-კ. სასოფ. - სამ. ბანკი ახალ ბინაზე

ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკი გადავიდა ახალ ბინაზე, იმავე შენობის მეორე სართულზე.

ბანკის ძველ ბინაზე (ქვედა სართული) მოთავსდა ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

სხვადასხვა

— **თბილისის საქონლის ბირჟის წევრთა წლიური კრება.** ხვალ, დილის 10 საათზე, თბილისის საქონლის ბირჟის შენობაში შესდგება ბირჟის წევრთა მორიგი წლიური კრება.

ჯანსახკომში

◆ **ჯანსახკომთა თათბირი.** ა.-კ. ცაკმა გადასწყვიტა მოიწვიოს ცალკე რესპუბლიკების ჯანმრთელობის კომისართა თათბირი სახალხო ჯანმრთელობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შესადგენად.

◆ **სამალარიო რაზმები.** ჯანსახკომმა დაადგინა გაადიდოს მალარიის წინააღმდეგ მებრძოლ რაზმთა რიცხვი და დააგზავნოს მაზრებში.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაი.** ამჟამად თბილისში მუშაობს ტრამვაის 144 ვაგონი.

◆ **აბანოები მუშათა უბნებში.** კომუნალურმა განყოფილებამ გადასწყვიტა წელს მუშათა უბნებში ააგოს აბანოები.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზები** წელს გაყვანილი იქნება მამუკას სოფელში და ვაკეზე.

◆ **წყალსადენის ახალი მაგისტრალების** გასაყვანად მუშათა უბნებში აღმასკომმა გადასდო 165.000 მანეთი.

◆ **ადგილობრივი გადასახადების შესახებ** აღძრული საჩივრები განხილული იქნება არა რესპუბლიკანური საგადასახადო კომისიის, არამედ ადგილობრივ საგადასახადო კომისიების მიერ.

სხვადასხვა

◆ **„ელექტრობანკის" ა.-კ. განყოფილების ლიკვიდაცია.** 30 მაისს დაიხურება „ელექტრობანკის" ა.-კ. განყოფილება.

◆ **განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის** გაფართოებული პლენუმი გაიხსნება 30 მაისს განათლების მუშაკთა სახლში.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმძღვანელო წიგნები.** იბეჭდება და მალე გამოვა პროფესორ **ალექსანდრე დიდებულიძის**:—„ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები"— 1 ნაწ.—ვექტორიალური ანალიზი, იბეჭდება ამავე ავტორის ა) ფიზიკა მე-3-ე ტომი.—„აკუსტიკა და ოპტიკა", ბ) „ელექტროტეხნიკური განზომილება" მე-2 ტომი—ელექტრომზომლობა; დაიბეჭდა ინჟ. ალ. ჩიქოვანის „მასალათა გამძლეობის" ამოცანათა კრებული.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **მედსანმუშაკთა კლუბში** (ყოფ. „სტელლა"), 31 მაისს გაიმართება პირველი სიმფონიური კონცერტი ანატოლ ყარდაშევის დირიჟორობით.

◆ **მხიარული საღამო.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება დიდი მხიარული საღამო ოპერის და დრამის მსახიობთა მონაწილეობით.

◆ **კონცერტი-საღამო.** მზექალათა და საბჭ. მუშაკების კლუბში დღეს გაიმართება საღამო-კონცერტი.

◆ **თურქულ კლუბის გაფართოება.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა გააფართოოს თურქული კლუბი.

◆ **სამხატვრო აკადემიის** მსმენელთა ნამუშევარის გამოფენა გაგრძელდება 5 ივნისამდე.

— **პროლეტარულ მწერალთა შორის.** ხელოვანთა სასახლეში, დღეს შაბათს 28 მაისს, საღ. ექვს საათზე, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრთა შორის გაიმართება შემოქმედებითი საღამო. ამხ. კარლო კალაძე წაიკითხავს პოემას „ძახილი აღმოსავლეთს" კონსტანტ. ლორთქიფანიძე—პოემას „საბარგო ავტომობილი".

სასამართლო

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი

გუშინდელ სხდომაზე მხარეთა მიერ ბუღალტერ - ექსპერტებს მიეცა დამატებითი კითხვები.

ორშაბათს, 30 მაისს, დაიწყება მხარეთა კამათი.

„საქმიანი კამპანია"

დასრულდა წინასწარი გამოძიება ინვალიდთა ნადის „სინათლეს" ყოფილ წევრთა საქმეზე. პასუხისგებაშია მიცემული ნადის თავმჯდომარე **ალექსანდრე მასლოვსკი**, ნადის წევრი **იაკობ ფილერი**, მოლარე **აკაკი მეგრელიშვილი** და სავაჭრო განყოფილების გამგე **სერგო აკოფოვი**.

1925 წ. მარტის პირველ რიცხვებში, თბილისში დაარსდა ინვალიდთა არტელი „სინათლე". პირველ ხანებში ნადის საბრუნავ თანხას 500 მანეთი შეადგენდა. მოქ. ფილერს ნაცნობები ჰყავდა შაქრის ტრესტში და ამის მეოხებით ტრესტიდან გამოჰქონდათ შაქარი ნისიათ და ჰყიდდენ. ამგვარად გააჩაღეს სავაჭრო ოპერაციები.

პირველ ხანებში ნადის საქმიანობა გაფართოვდა, მაგრამ დაუდევარი თავმჯდომარის და მისი კამპანიის მეოხებით, შემდეგში ნადის მდგომარეობას გაუარესება დაეტყო.

მოქ. მასლოვსკის თავმჯდომარეობით შესდგა „თათბირი", რომელზედაც დაადგინეს ჯამაგირების მომატება. ასე მაგ., თავმჯდომარე თვეში ღებულობდა 300 მანეთამდე, აკოფოვი 200 მანეთს, ხოლო მოლარე კი 150 მანეთს.

მოქ. მასლოვსკი უყაირათობას იჩენდა საქმისადმი; ადგილი ჰქონდა ნადის ქონების გატაცებას და სხვა.

მასლოვსკი მოელაპარაკა აკოპოვს, მეგრელიშვილს, ფილერს და მათთან შეთანხმებით მოაწყო მთელი რიგი კომბინაციები. გარდა ამისა, მასლოვსკიმ და კამპანიამ ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად შეადგინეს ყალბი საბუთები.

სარგებლობდენ რა ნდობით, მათ ბოროტათ გამოიყენეს თანამდებობა; გამოჰქონდათ ტრესტიდან შაქრის დიდი პარტია, ხოლო მოგებას „ძმურად" ინაწილებდნენ.

ზემოთ ჩამოთვლილ პირთა „საქმიანობას" შედეგათ მოჰყვა ის, რომ ნადი გაკოტრდა და წარმოებას ლიკვიდაცია ეყო.

შაქრის ტრესტს კი მიაყენეს 7.710 მანეთის ზარალი.

მასლოვსკი და კამპანია ამ დღეებში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა სასტუმრო „ორიანტში"

გუშინ, დილის 11 საათზე, სასტუმრო „ორიანტში" (რუსთაველის პროსპექტი № 9), მოხდა შემდეგი უბედური შემთხვევა.

სასტუმროს თანამშრომელი **კონსტანტინე ჭარბაძე** (22 წლისა) მეორე სართულის აივანზე ამზადებდა იატაკის საწმენდ სითხეს. გასათხელებლად აიღო ორი ბოთლი ნავთი და მაზუთი, რომელიც ჩაასხა სითხით სავსე ვედროში და გასათბობათ დასდო მანგალაზე. ჯერ გააღვივა ნახშირი და შემდეგ ვედრო დასდგა მანგალაზე ისე, რომ ვედროსათვის ხელი არ გაუშვია. ნახშირზე ცეცხლის წაკიდების დროს უცაბედათ ცეცხლი მოხდა ვედროში. ჭარბაძემ თავისი ხალათი გადაახურა ვედროს. ხალათს წაეკიდა ცეცხლი და ჭარბაძე ცეცხლის ალში გაეხვია.

ცეცხლის ალი მოხვდა ჭარბაძეს პირში.

დამხმარე პირების მისვლამდე ჭარბაძეს ტანისამოსზე ერთბაშად წაეკიდა ცეცხლი.

მისაშველებლად მივიდენ თანამშრომლები: **ალექსანდრე ხიდურელი და სოლომონ გულვერდაშვილი.** შველა არ მოხერხდა, რადგან აივანის კარები დაკეტილი აღმოჩნდა. ბოლოს გადაახურეს მას სველი ტომარა, მაგრამ ჭარბაძეს დამწვარი აღმოაჩნდა ხელები, ფეხები, სასქესო ორგანო, მუცელი და პირისახე. ცეცხლის ალი იმდენად დიდი იყო, რომ დახმარების აღმოჩენის დროს დაშავდენ ხიდურელი და გულვერდაშვილი. პირველს დაეწვა ორივე ხელი, ხოლო მეორეს კი—ცალი ხელი. ჭარბაძის მდგომარეობა უნუგეშოა.

სახლის კედლის დანგრევა

გუშინ საღამოს, სამურზაყანოს შესახვევში (ნაძალადევი) ჩამოინგრა სახლის კედელი. სახლი ეკუთვნის კერძო პირს **უ. ნოვიკოვს.**

კედლის ნანგრევებში მოჰყვა სამი წლის **ელენე ცარევსკაია**, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ამხ. **შ. მელაძე**, მორიგი გამომძიებელი ამხ. **ქორქაშვილი.**

ხვალ აღმასკომის ტეხნიკური განყოფილების მიერ მოხდება სახლის ტეხნიკური შემოწმება.

მტკვარში გადავარდნა

გუშინ საღამოს, შემთხვევით მტკვარში გადავარდა **ნიკოლოზ ფირალოვი** (65 წლისა, მცხოვრები კომუნალური ქუჩა № 113) და დაიხრჩო.

დაჭრა

გუშინ საღამოს, **ერანოშ აბრამიანცმა** დანით დასჭრა და-ძმა **აგას და ვართანუშ ელბაქიანცი** (მახათის ქუჩა № 4).

ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

◆ **დაკარგვა.** 26 მაისს ელისაბედ აკოფის ასულმა ავეტისოვმა განუცხადა მილიციას, რომ 25 მაისს სახლიდან წასული მისი შვილი აშო კარაპეტისძე ავეტისოვი დღემდე არ დაბრუნებულა.

◆ **გვამის აღმოჩენა.** მე-5 სამილიციო რაიონის ფარგლებში მტკვარში აღმოჩენილი იქნა გვამი მე-8 შრომის სკოლის მოწაფის შალვა ქუთათელაძისა, რომელიც მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო 24 მაისს.

◆ **ქურდი ქალი.** 26 მაისს დააპატიმრეს ქურდი ქალი მარგარიტა სერგის ასული ტატულოვა.

რადიო-გადაცემა

28 მაისი: „კოლექტივიზმი სოფლის მეურნეობაში"—ქართულ ენაზე, „პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა საზაფხულო პერიოდში"—ქართულ ენაზე, ტეხნიკური კონსულტაცია, დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე და კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

29 მაისი: საგლეხო გაზეთი—ქართულ ენაზე, „პროფკავშირები ფასების დაკლებისათვის ბრძოლაში"—რუსულ ენაზე, კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე; „რა არის დისპანსერი"—ქართულ ენაზე; ტეხნიკ. კონსულტაცია, დეპეშათა-სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე და კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

30 მაისი: „ჩინეთის რევოლიუციის პერსპექტივები"—რუსულ ენაზე, „თავის ტვინის მექანიკა"—ქართულ ენაზე, საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე, დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე და კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

31 მაისი: „როგორ უნდა მოეწყოს მასიური სეირნობა და ექსკურსიები ქალაქ გარეთ—ქართულ ენაზე, საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—რუსულ ენაზე, კომკავშირის გაზეთი—ქართულ ენაზე, ტეხნიკური კონსულტაცია, დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე და კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

სას. სამ. კრედიტი

კრედიტები მეორე მეოთხედისათვის

მიმდინარე წლის მეორე მეოთხედის საკრედიტო გეგმის თანახმად რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს ძირითად თანხების ანგარიშში მიეცათ სულ 400.000 მანეთი, აქედან საქართველოს ბანკს—152.000 მან., აფხაზეთის ბანკს—18.000 მან., აჭარისტანისას—10.000 მან., აზერბეიჯანისას—126.000 მან., ნახიჩევანისას—14.000 მან. და სომხეთისას—80.000 მან.

ეს თანხები გაცემულია სასოფლო-მეურნეობისათვის მიზნობრივი კრედიტების მისაწოდებლად.

250.000 მან. აბაშის ჰიდრო ელსადგურისათვის

ა. კ. სასოფლო სამეურნეო ბანკმა დასდო ხელშეკრულება აბაშის ჰიდრო ელსადგურის სააღმშენებლო კომიტეტთან უკანასკნელისათვის 1932 წ. თებერვლამდე სესხათ 250.000 მან. მიწოდების შესახებ.

ა. კ. სას.-სამ. ბანკის აქციონერთა საბჭოს კრება

25 მაისისათვის მოწვეულია ა. კ. სასოფლო სამეურნეო ბანკის საბჭოს კრება. 26 მაისს კი შედგება ბანკის აქციონერთა კრება.

სოცდაზღვევის ანარიცხები

ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადასტურა, რომ ამ.-კავკასიის ყველა უწყებებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან, შრომის ხელფასის გაცემასთან ერთად უნდა შეიტანონ სოც. დაზღვევის ანარიცხები.

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო, ანარიცხების გაღება ხელფასის გაცემასთან ერთად შეუძლებელია, მაშინ, ანარიცხები ვადაგადებული უნდა იქნეს ხელფასის უახლოეს მორიგ გაცემის დროს.

ნარევი

პლანერი ციხეში

წმინდა თანამედროვე ცდა ციხიდან გაქცევისა აღმოაჩინეს რამდენიმე ხნის წინათ სან-კვენტის ციხეში (კალიფორნია), სადაც პატიმრები შედარებით თავისუფლებით სარგებლობენ. ციხის ავეჯის ფაბრიკის მრავალსართულიანი შენობის სახურავზე იპოვეს სრულიად დამთავრებული, პრიმიტიულად, მაგრამ რაციონალურად აგებული პლანერი, რომლის ცალკე ნაწილები დამზადებული აღმოჩნდა ამავე ციხის სხვადასხვა სახელოსნოებიდან წაღებულ მასალებიდან. პლანერის ფრთაზე გადაკრული აღმოჩნდა საწყობიდან მოპარული ფლაგები.

თანამედროვე რობინზონი

ვინმე ბანფილდმა 25 წელიწადი გაატარა ცოლთან ერთად ავსტრალიის სანაპიროების ახლო მდებარე კუნძულზე.

გემი „ინნისფეილ" მიდიოდა ამ კუნძულის ახლო და გემის რაზმმა შენიშნა ნაპირზე ქალი, რომელიც რაღაც ნიშნებს იძლეოდა. კაპიტანმა გაგზავნა ნაპირისკენ ნავი და მეზღვაურები დაეხმარენ ქალს მისი ქმრის — ბანფილდის დასაფლავებაში. ქვრივმა უარი განაცხადა კუნძულის მიტოვებაზე და კაპიტანმა ერთი მეზღვაური დროებით დასტოვა მის მოსავლელათ.

ბანფილდებს იჯარით აღეთ კუნძული და ცხოვრობდენ მასზე განდეგილებივით, იკვებებოდენ ბანანებით, ქართობილით, ფორთოხლით, იჭერდენ თევზს და მათი სარდაფები არას დროს არ ყოფილა ცარიელი.

კუნძულს შერჩა თავისი პირვანდელი სახე. პირველ ხანებში ახალი რობინზონები შეეცადენ მოეწყოთ კუნძულზე კულტურული მეურნეობა, მაგრამ შემდეგში ხელი აიღეს ამ განზრახვაზე. უნდოდათ გაეშენებიათ ფუტკარი, მაგრამ ვერც ეს მოახერხეს.

ბონფილდი არქიტექტორიც იყო, დურგალიც, მენავეც, მეზღვაურიც, ზეინკალიც და ყველაფრის მოხელე, რაც კი დასჭირდებოდა. კუნძულის სივრცე უდრის 3 კვ. მილს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

მოსახლეობისათვის სასროლ იარაღის ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 23 მუხლის თანახმად ადგენს:

1. ჩამოერთვას საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეთ ყოველგვარი სასროლი იარაღი რაც აქამდე რაიმე მიზეზის გამო ჩამორთმეული არ იყო.

შენიშვნა: დადგენილება ესე არ გავრცელდება სანადირო იარაღზე, რის შეძენა შენახვის და ტარება განსაზღვრულია ცალკე წესებით.

2. ყოველი მოქალაქე მოვალეა ჩააბაროს მის ხელთ ქონებული იარაღი ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

3. ჩამოსართმევი იარაღი ჩაბარდება თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან სოფლის საბჭოს, ხოლო ქალაქად — მილიციის სამმართველოს.

შენიშვნა: იარაღის მიღების შესახებ გაიცემა სათანადო ქვითარი.

4. სასროლი იარაღი არ ჩამოერთმევა ისეთ პირს, რომელსაც იარაღის შენახვა და ტარება ნებადართული აქვს არსებული წესისამებრ სამსახურის ხასიათისა და მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით ან ომში და რევოლიუციონური დამსახურებისათვის.

შენიშვნა: ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე გაცემულ ყოველ მოწმობას შენახვისა და ტარების უფლების შესახებ ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს იმ წესით და იმ ვადაზე, რასაც სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო განსაზღვრავს.

5. ამა დადგენილების განსახორციელებლად სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა სპეციალური კომისია სამი პირის შემადგენლობით, რომელთაც აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი დანიშნავს.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 226 მუხლის თანახმად.

7. დაევალოს საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

8. დაევალოს აფხაზეთის ს. ს. რ. და აჭარისტანის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ სასწრაფო წესით სათანადო დადგენილებანი.

9. დადგენილება ესე ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—შ. ელიავა.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1927 წლის მარტის 22

თბილისი—სასახლე.

ბრძანება № 61

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსი

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს მიერ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთათვის სასროლ იარაღის ჩამორთმევის შესახებ ა. წ. 22 მარტის თარიღით გამოცემულ დადგენილების განსავითარებლად —საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო ბრძანებს:

1) ყველა მოქალაქენი, რომელთაც აქვთ სასროლი იარაღი და სამხედრო მასალა (ვაზნები, ყუმბარები და სხვ.) სათანადო ნებართვის გარეშე,—ვალდებულნი არიან ჩააბარონ ასეთები ორი კვირის განმავლობაში, ე. ი. ა. წ. 12 ივნისამდე რაიონულ მილიციის სამმართველოში სათანადო ქვითარების მიღებით.

2) ყველა მოქალაქენი, რომელთაც მიღებული აქვთ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ნებართვა იარაღის ტარებაზე,—ვალდებულნი არიან ერთი თვის ვადაში, ე. ი. ა. წ. 1 ივლისამდე ხელ-ახალ რეგისტრაციაში გაატარონ იარაღი საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკურ სამმართველოში.

შენიშვნა: ა) მოქალაქენი, რომელნიც თავის დროზე არ გამოცხადდებიან ხელ-ახალ რეგისტრაციაზე და არ წარმოადგენენ ცნობას გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ, ჰკარგავენ იარაღის ტარების უფლებას მომავალში.

ბ) საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ გაცემული ნებართვები (ხელ-ახალ რეგისტრაციაში გაუტარებელი) იარაღის ტარებაზე ძალაში რჩება მხოლოდ 1927 წლის 1 ივლისამდე.

მოქალაქენი, რომელნიც არ ჩააბარებენ სათანადო ადგილზე იარაღს ან ხელ-ახალ რეგისტრაციაში არ გაატარებენ მას, მიცემული იქნებიან კანონიერ პასუხისმგებლობაში საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

ბრძანება ესე ძალაში შედის 29 მაისიდან.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე ლ. ბერია.

ქ. თბილისი, 1927 წ. 23 მაისი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

რა რაოდენობით იხდიან პენსიონერები ბინის ქირას

პასუხი

ის პენსიონერები, რომელთაც თვიურად ეძლევა პენსია ოც მანეთამდის, იხდიან საცხოვრებელ ფართობის ყოველ კვადრ. მეტრზე ოთხ კპეიკს. ისინი კი, ვინც პენსიას იღებს ოც მანეთზე ზევით, ბინის ქირას თითოეულ კვად. მეტრზე იხდის საპენსიო თანხის მიხედვით თანახმად საბინაო ტარიფის მუხ. 4-ისა (იხ. საბ. ტარიფის მუხ. 13 და მასთან დართული შენიშვნა).

დასვენების განსაკუთრებული დღის შესახებ

აბაშის მილიციის თანამშრომელს აკ. ლაბარტყავას

პასუხი

თქვენ ამბობთ, რომ სენაკის მაზრაში მილიციელებისათვის გასასვლელი (კვირეული) დღედ მიღებულია ორშაბათი და ამიტომ გვეკითხებით „ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად" გიპასუხოთ, თუ რომელი დღე უნდა მივცეთ „განსაკუთრებულ დასასვენებელ დღედ".

გიპასუხებთ

ასეთ დღედ თქვენთვის უნდა იქნეს დაწესებული მხოლოდ სამშაბათი იმ თვეებში, რომლებშიც განსაკუთრებულ დასასვენებელ დღედ გამოცხადებულია ორშაბათი. ვინაიდან ამის შესახებ არსებულ დადგენილების მიზანია — მისცეს მომუშავეს საშუალება, რათა მან დაისვენოს ორი დღის განმავლობაში განუწყვეტლად და არა ნაწილ - ნაწილად. ეს დადგენილება უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში სწორად.

სოფ. დიდი - ჯიხაიშის მცხოვრებს ნიკოლოზ ვაშაკიძეს

პასუხი

თქვენ გვწერთ, რომ თქვენი ბიძა გარდაიცვალა 1923 წ. მას დარჩენ ობლები და ცოლი, რომელმაც შემოიყვანა სახლში ზესიძე. ბავშვებს ჰყავთ მეურვედ მეორე ბიძა, რომელსაც სურს „გააძევოს" ბავშვების „ადგილ-მამულიდან" ობლების დედა და მისი ქმარი, (ე. ი. ობლების მამინაცვალი.) გვეკითხებით, ამის უფლება აქვს თუ არა მეურვეს.

გიპასუხებთ

მისი ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება მიწის კოდექსის მუხ. 40 და მასთან დართულ შენიშვნას და ყოვლად დაუშვებელია. ბავშვების დედას და მის ქმარს (ობლების მამინაცვალს), რომელნიც ცხოვრობენ ობლებთან, კომლის საერთო მიწების და ქონების სარგებლობაში აქვთ იგივე უფლებები, რაც აქვთ თვით ობლებს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 28 მაისს საღამოს 6 საათზე, „ბავშვთა მეგ. საზ-ბის" კომი-ტის ბინაზე (კომინტერნის ქ. 4) შესდგება საერთო კრება მე-4-ხე რაიონის ბავშვთა მეგ. საზ. რწმუნებულებისა უჯრედების მდივნების თანდასწრებით.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 28 მაისს, ნაშუადღევის 1 საათზე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საკლუბო საბჭოს სხდომა შესდგება დღეს, 28 მაისს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში.

— საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ანტონ სერგოს ძე გელოვანს 30 მაისს დილის 9 საათზე გამოცხადდეს საქ. ცენტრ. საკონტრ. კომისიაში (რუსთაველის პროს. 24, მესამე სართული, ოთახი 11).

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო კოლეგიის სხდომა შესდგება სამშაბათს, 31 მაისს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში.

— საქ. რემედასის ცეკა ამით იუწყება, რომ დღეს, 28 მაისს, საღამოს 6 საათზე, შესდგება **საქ. რემედასის ცეკას პრეზიდიუმის სხდომა.**

დასწრება ყველა წევრებისა სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, ა. წ. 28 მაისს, საღამოს 6 საათზე. თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილების ბინაზე მიმღები კომისიის სხდომაზე: 1) ბიქტორ ათანასეს ძე ნინიძე, 2) ივანე არტემის ძე ნაზარბეკოვი, 3) მოსე სიმონის ძე ლობიძე, 4) გრიგოლ სერგეის ძე ალავიძე, 5) შალვა გიორგის ძე დოდებია, 6) ვასილ გიორგის ძე ცაბაშვილი, (ცაბაევი), 7) ნიკოლოზ დავითის ძე ბერიაშვილი, 8) ილარიონ თედორეს ძე ჯიხვაია, 9) გრიგოლ ალექსანდრეს ძე იტრიევი, 10) ალექსანდრე ალექსანდრეს ძე პანჩაძე, 11) სევერიან ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, 12) ვასილ ივანეს ძე უმიკოვი, 13) პოლიკარპე სევერიანის ძე ჭანკვეტაძე, 14) ვარდენ ალექსის ძე წიკლაური, 15) ივანე სამსონის ძე ნაფეტვარიძე, 16) თამარა ვლადიმერის ასული ვოიტაშ, 17) ალიოშ ეფრემის ძე მანუკოვი, 18) მიხეილ დიმიტრის ძე ელიზბარაშვილი, 19) ნადია რევაზის ასული ცერიძე, 20) კალისტრატე ნესტორის ძე შეროზია, 21) მაქსიმე ესტატეს ძე თოხაძე, 22) გიორგი ბაგრატის ძე ჟუჟუნაძე, 23) მიხეილ პავლეს ძე გასპაროვი, 24) ალექსანდრე სილიბისტროს ძე დონდუა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა შესდგება დღეს, 28 მაისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილების ბინაზე.

— საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, ა. წ. 28 მაისს, საღამოს 5 საათზე, კომპარტიის რაიკომის კლუბში (კახეთის ქ. 1) გაიხსნება საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის პოლიტგანათლების მესამე რაიონული კონფერენცია.

სავალდებულოა პოლიტსკოლების ყველა ხელმძღვანელთა, დელეგატთა და აგრეთვე უჯრედთა აგიტპროპების დასწრება დაუგვიანებლად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემოდ დასახელებულ სტუდენტებს, და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც 26 — 27 აკადემიურ წელში დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის ცეკას სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ლიცინოვთან 1) გაბრიელ ლევანის ძე კაკაბაძე, 2) იაირაკლის ძე მიქაძე, 3) ილია ივანეს ძე მატარაძე, 4) პლატონ ნოშრევანის ძე თავხელიძე, 5) ლავრენტი სიმონის ძე გეგეშიძე, 6) ლავრენტი ივანეს ძე დადუნაშვილი, 7) დომენტი გიორგის ძე ცხაკაია, 8) რაჟდენ რუხაძე, 9) ანა იოსების ასული იორაშვილი, 10) ივანე ზაქარიას ძე არგვაძე, 11) სერგეი იოსების ძე რეხვიაშვილი, 12) პელაგია ტიბის ას. თოდრია, 13) დავით გიორგის ძე ნუცუბიძე, 14) არჩილ ივანეს ძე გვილავა.

— **კვირას, 29 მაისს, დილის 10 საათზე,** საქართველოს ახალგ. ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტის შენობაში შესდგება პოლიტგანათლების მეორე რაიკონფერენცია.

მანდატები მიღებულ უნდა იქნას ქალაქის რაიკომში დღეს, 28 მაისს, დილის 10 საათიდან, ნაშუადღევის 3 საათამდე.

— **კვირას, 29 მაისს დილის 10 საათზე** ნაძალადევის სალექციო დარბაზში შესდგება ლენინის უბნის ყოფილ ახალ. მარქსისტთა თათბირი. აღრიცხვაზე აყვანილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

რაიბიურო

— ქალაქის და ხოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა სარევიზიო კომისიასთან ერთად შესდგება ორშაბათს, 30 მაისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში.

თბილისის მუშკოოპის კომუჯრედის № 32-ის ბიურო აუწყებს ამხანაგებს, რომ 25 მაისს გარდაიცვალა კომუჯრედის წევრი, დაუღალავი და ენერგიული მუშაკი

ამხ. იოსებ კუდავა

გამოსვენება შაბათს 28 მაისს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან, დაკრძალვა ყოფილ ნიკოლოზის სასაფლაოზე. (ნ)

ულრმესად დამწუხრებულნი: დედა ოლღა პეტრეს ასული, ძმები ვახტანგი და ნიკოლოზ დავითის-ძე შველიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ კვირას 29 მაისს დილის 11 ნახ. საათზე, ერთი წლის თავზე ტრაღიკულად დაღუპულ

ქეთო შველიძის

მოსაგონებლად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი გერმანელთა სასაფლაოზე. 2869

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი, დედა ოლია, მამა ილიკო, ბაბუა ზოსიმე, ბებია მატრონა; ბიძები ისიდორე, სევერიანე, სარდიონი, დათიკო; ბიცოლა: ოლღა, მამიდა ალათი ქუთათელაძეები, ბებია თებრონე ნასყიდაშვილი, სიძე ილარიონი, მამიდა ნადია, [illegible] ნარსიები, ქვისლი გიორგი, დეიდა ნინო ჯინჭარაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ტრაღიკულად დაკარგულის პირველის შვილისა, მეორეების შვილისშვილისა, მესამეების—ძმის შვილისა, მე-8 შრომის სკოლის მოწაფესი

შალვა ილიკოს-ძე ქუთათელაძის

გამოსვენება დანიშნულია საკუთარი ბინიდან ჭავჭავაძის ქ. № 25, კვირას, 29 მაისს, დილის 12 საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2866

ღრმად დამწუხრებულნი ქვრივი ანასტასია სპირიდონის ასული, ქალები ნატალია, ნინა, ელენე, ბაბულია, ლიუბა თავიანთი ქმრებით და თამარა, ვაჟი გიორგი თავის მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ მათი საყვარელი

ურუმან ქაიხოსროს-ძის მგელაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღის აღსანიშნავათ კვირას, 29 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. 2852

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი მეუღლე პელაგია, ქალიშვილი თებრონე გრიგოლაიასი, ვაჟიშვილები: ანდრო, გრიშა, კოკი, ბესარიონ და ნიკო ესაკიები და ჟორჟიკა საღარაძე, ძმები: მელიტონ და დიმიტრი ესაკიები, რძლები: ალექსანდრა და ნადია ესაკიებისა, შვილისშვილები: მარგო გრიგოლაია, სერგო, მიშა და ნელი ესაკიები, და ძმისშვილები: ლეო და ბაბილინა ესაკიები უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 24 მაისს, ღამის 12 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

მიხეილ ბესარიონის-ძე ესაკია

რომლის დაკრძალვის დრო დანიშნულია შაბათს, 28 მაისს ნაშუადღევის 5 საათზე. გამოსვენება მოხდება;—ჯორჯაძის ქუჩა, სახ. № 48. დასაფლავება ნახუტრის სასაფლაოზე. ნ. 1250

თბილისის ქალაქის ბანკის ფოთის განყოფილების თანამშრომლები აცხადებენ, რომ 24 ამა მაისს ფოთში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი უფროსი და მეგობარი, ამავე განყოფილების მმართველი

მიხეილ ბესარიონის-ძე ესაკია

ნ. 1250

თბილისის ქალაქის ბანკის და მისი ფილიალების თანამშრომლები გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას თბილისის ქალაქის ბანკის ფოთის განყოფილების მმართველის ამხ.

მიხეილ ბესარიონის ძე ესაკიას

გარდაცვალების გამო. გამოსვენება დანიშნულია შაბათს, 28 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე ქ. ფოთში—არჩილ ჯორჯაძის ქუჩა, სახლი თბილისის ქალაქის ბანკისა, დაკრძალვა ნახუტარის სასაფლაოზე. ნ. 1246

თბილისის ქალაქის ბანკი თავის ფილიალებით გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას თბილისის ქალაქის ბანკის ფოთის განყოფილების მმართველის ამხ.

მიხეილ ბესარიონის-ძე ესაკიას

გარდაცვალების გამო. გამოსვენება დანიშნულია შაბათს, 28 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე ქ. ფოთში არჩ. ჯორჯაძის ქ., სახლი თბილისის ქალ. ბანკისა, დაკრძალვა ნახუტურის სასაფლაოზე. ნ. 1246

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანნა ფარნაოზის ასული, შვილები: შალვა, თომა, ფარნა და ქიონე ფიცხელაურები, დები: ელისაბედი, ნატა თომას ასული ნასიძე ქმრით, ელენე თომას ასული ბოსიკაშვილები, ნინა თომას ასული მაკაროვის. დისწული გურან დუხუტა პეტრეს ასული რიჟამაძე, მირიან პეტრეს-ძე კარბელაშვილი ცოლით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ოთხშაბათს, ღამის 10 საათზე, გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ვასილ თომას-ძე ფიცხელაური

დაკრძალვა მოხდება კვირას, 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან ყიფიანის ქ. № 30. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. 2863

სახელგამის გამოცემები

სიმონ ხუნდაძე

სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში

დაიბეჭდა და იყიდება: ტომი პირველი

შესავალი

1. სოციალისტური აზროვნების უმთავრესი მომენტები რუსეთსა და ჩვენში.
2. ჩვენი ეკონომიკა მე-19 საუკ. მეორე ნახევარში.

განყოფილება პირველი: ბურჟუაზიული უტოპიური სოციალიზმი ჩვენში

თავი I ბურ. უტოპიური სოციალიზმის ხასიათი ევროპასა და ჩვენში.
„ II 60-იანი წლების ჩვენი ინტელიგენცია.
„ III გაზ. „დროების" სოციალისტური ტენდენციები:
1. მუშათა საკითხი და ინტელიგენცია
2. კამათი ლასალის თეორიების გარშემო.
3. პირველი ინტერნაციონალი და ჩვენი ინტელიგენცია.
4. პარიზის კომუნა და ჩვენი ინტელიგენცია.
IV. ნ. ინაშვილი და ქალთა განთავისუფლების საკითხი.
V. გრ. თარხან-მოურავი და ასოციაციის საკითხები.
VI. მ. ქიქოძის წერილები საქართველოს მომავალზე.
VII. ნიკო ნიკოლაძე—სოციალისტი.
VIII. ან. ფურცელაძის სოციალისტური წერილები.
IX. საერთო დასკვნები. გვ. 258. ფ. 2 მ.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ ტომი მეორე.

ნაროდნიკული და მარქსისტული სოციალიზმი ჩვენში.

განყოფილება მეორე: წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი ჩვენში.

თავი I გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა ბატონყმობის შემდეგ და ნაროდნიკულ მოღვაწეობის დასაწყისი 60-იან წლებში.
„ II 70-იანი წლები და ქართველი ნაროდნიკების რევოლიუციონური მოღვაწეობა.
„ III 80-იანი წლების ნაროდნიკობა:
1. გ. მაიაშვილი და მისი ნაროდნიკობის ხასიათი.
2. ჟურნ. „იმედი" და უმთავრესი ნაროდნიკული მიმდინარეობანი.
3. აგრარული საკითხი და ჩვენი ნაროდნიკები.
4. მუშათა საკითხი და ნაროდნიკები.
5. ეროვნული საკითხი ქართველ ნაროდნიკების გაშუქებით.
თავი IV წერილები მარქსისა და მარქსიზმის გარშემო 80-იან წლებში.
„ V. 90-იანი წლები და ნაროდნიკულ მოღვაწეობის კრიზისი.
„ VI. ნაროდნიკობის სოციალური საფუძვლები და მისი მნიშვნელობა ჩვენი აზროვნების ევოლიუციაში.

განყოფილება მესამე: მარქსიზმი საქართველოში (1892—96)

თავი I. ნიადაგის მზადება მარქსიზმისათვის ჩვენში.
„ II. რევოლიუციონური მარქსიზმის თეორია და პრაქტიკა.
„ III. ბურჟუაზიული ინტელიგენციის მარქსისტულ მიმდინარეობასთან შეთანხმების ცდები.
„ IV. წვრილ-ბურჟუაზიული მიმდინარეობა 90-იან წლების მარქსიზმში.
„ V. 90-იან წლებიდან 1905 წლისაკენ.

იყიდება იმავე ავტორის წიგნი: ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში გვ. 126. ფასი 60 კ.

ნ. 1240 1—1

აპოლლო
ტელ. 7—61.

არფასტო
ტელ. № 19—22.

სოლეი
ტელ. 20—44.

დარბაზი
ტელ. 14—03.

0—20 ნ. 1094

ბარბარა ლა-მარ იშვიათ მხატვრულ სურათში
„მეკობრეთა შთამომავლები"
ყველამ უნდა ნახოს ეს შესანიშნავი სურათი

ნ. კოვანკო, რიმსკი და კოლინი საუკეთესო სურათში
„ქალი ნიღაბში"
(ამ სურათს არაფერი საერთო არა აქვს თბილისში ნაჩვენებ სურათთან—„ქალიშვილი ნიღაბში)".

განსაკუთრებული ინტერესის გამო—კიდევ ოთხი დღე
მხოლოდ „სოლეიში"—„დეკაბრისტები"
ყოველ დღე ანშლაგები. იჩქარეთ ნახვა

მეტად საინტერესო სურათის
„ნიუ-იორკის საიდუმლოებანი"-ს
ახალი ეკზემპლიარი 6 სერიათ, 35 ნაწ. მთავარ როლში ცნობილი პირლ უაიტ. 1—2 სერია ერთად.

ანონსი: ჩქარა 2 საუკეთესო სურათი: სამის სიყვარული, „СОЛИСТКА ЕГО ВЕЛИЧЕСТВА"

კვირას, 29 მაისს, დასაწყისი ნაშუადღევის 1 ს.

დოლი
ამ.-კავ. დერბი 1000 მ.
ახალგაზრდა ცხენების აღლუმი
შემდეგი დოღი:—5 და 12 ივნისს
ნ. 1247

ვანო გოთუა
აცხადებს ივანე აროშელიძის საყურადღებოდ, რომ ის გამოცხადდეს მასთან, რომ მიიღოს დახმარება მისი ანგარიშების გასასწორებლად და მის მიერ მიღებულ ვალდებულებათა ასასრულებლად.
გამოცხადების ვადა სამი კვირა. 3—1

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის 6 ივნისს 1927 წლ. დღის 12 საათზე სოფ. დარკვეთში წირქვალის თემში სერგო კაციტაძის მოძრავ ქონებას: 1 ერთი სასიმინდეს, ძირს ხულით, დახურული კრამიტით 1/6 ნაწილს დაფასებული ყველა 80 მან., დასაკმაყოფილებლად უფლის კაციტაძის ვალის, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა ჭიათურის სახ. სასამართლოსი 9 აპრილის 1927 წ. თარიღით, № 250.

ნ. 1245

პარიზის ქრა-კერვის
უნივერ. დამთავრებული
მარო რევიშვილი
ჩამოვიდა და ღებულობს მოწაფეებს და დაკვეთებს საშუალო ფასებში. აქვს პარიზის ქრა-კერვის დიპლომი. პირობების გაგება შეიძლება ყოველ-დღე ჭავჭავაძის ქუჩა № 25 მარქაროვის სახლებში. ნ. 1222

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწილებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. ბელი ფურცელი, ჩ. გ.

ვინაიდან რიონის ჰიდროელსადგურის ასაგებათ
ამჟამად სწარმოებს მხოლოდ წინასწარი მუშაობა, რომელიც სრულდება არსებულ შტატის მიერ,

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ განცხადებანი სამსახურში და სამუშაოებზე მიღების შესახებ პრეზიდიუმის და აგრეთვე რიონის ელსადგურის ამგებ კომიტეტის მიერ

არ იქნებიან განხილულნი.

თხოვნა—არ მოგვმართოთ ასეთი განცხადებებით.

ნ. 1251. საქ. ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმი.

ამა წლის 29 მაისს. კვირას, დღის 12 საათზე უნივერსიტეტის მთავარ შენობის ქიმიურ აუდიტორიაში

შესდგება

სამკურნალო ფაკულტ. საჯარო სხდომა

რომელზედაც ანატომიის კათედრის ასისტენტი

ექ. ვლადიმერ ცეცხლაძე

დაიცავს დოქტორის ხარისხის მისაღებათ წარმოდგენილ სადისერტაციო შრომას, თემაზე: „ადამიანის დიდი ბადექონის მორფოლოგიური თავისებურებანი და მათი მნიშვნელობა ამ ორგანოს ფუნქციების გასაშუქებლად".

ფაკულტეტის მიერ ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულნი არიან პროფ. ალ. ნათიშვილი, კახიანი და პრივატ-დოცენტი წულუკიძე. ნ.

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართ. აღმასრულებ.

ძოძუაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 31 მაისს 1927 წლ. დღის 1 საათ. სახლში, № 54 გუნიბის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ფარსიშვილების მოძრავ ქონებას: ბუფეტის და ტანსაცმელ. სარკიანი შკაფებს, შეფასებულს 180 მან., მოქ. ივანე ზარიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილ. 1 უბ. სახ. სასამართლოსაგან 26 მარტს 1927 წლ. თარიღით, № 1273 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2864

დაკარგვა მემანქანის მოწმობა გაცემული 1902 წ. გზების მთავარ. სამმართველოსაგან № 233657 ვასილი თევდორაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2868

დაკარგულია მურადოვის მიერ ალეკპერ-სოიუნ-ოღლის აღმასრულებელი ფურცელი, ჩ. გ.

დაკარგა მემანქანის თანაშემწეობის მოწმობა თარიღით № 311462, მიხეილ აბესაძეს სახელზე, ჩ. გ. 2863

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1685, ვლადიმერ ნესტორისძე ცაავას სახელზე, ჩ. გ. 2865

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

პროფესორმა
გრ. მ. მუხაძემ
ლენინგრადში გამგზავრების გამო
შესწყვიტა
ავადმყოფების მიღება 15 ივნისამდე. 10|1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. სალ. ლენინის ქ. № 49 ტელეფ. 4—82 №

ექიმი
კონსტ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო ორგანოების, ვენერიული, სიფილისი, კანის ავადმყოფობანი და ქირურგიული ავადმყოფობანი (სიმსივნე, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, სიფილისი, სუსუნატი). ელექტრონით წამლობა. პლეხანოვის გამზ. 10, ვორონცოვის მახლობლათ. ავადმყოფები მიიღება დილის 7 საათიდან შუადღის 12-მდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ქალები მიიღება 2-დან 3 საათამდე. 25—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ქლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური თის მზე. იონნო-ტერაპია. მიიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—16

დაკარგა პასპორტი № 33 მარიამ კონსტანტინეს ასული კოვაიჩუკის სახელზე, ჩ. გ. 2871

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 3049, კრისტეფორე დავითისძე მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 2870

დაკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 6403, გაბო მჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2867

დაკარგა კავშირის წიგნაკი ამბარცუმ კაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 2852

დაკარგა სარწმუნო მოწმობა სავაჭრო წარმოებაზე მე-2 ხარ. № 202 | 134—29 ოქტომბ. 26 წ. და თუთუნის პატენტი № 101 შაქრო ფირადოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1248

კომსაკომის სტამბა. კამოს ქ. 68.